ლევან ასათიანი

სტალინი
და
ქართული ლიტერატურის საკითხები

ნარკვევები

„საბჭოთა მწერალი"
1954

ა ვ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ

ამ კრებულში შესულ ნარკვევებსა და შენიშვნებს საერთო თემა აერთიანებს. ყველა ისინი დაკავშირებული არიან დიდი სტალინის სახელთან, მის ლიტერატურულ მოღვაწეობასთან.

კრებულში მოცემულია ცდა — გაშუქებულ იქნას რიგი საკითხებისა, რომლებიც მანამდე არ ყოფილან სათანადოდ შესწავლილნი, თუმცა მათ გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდათ ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარების სწორი გათვალისწინებისათვის.

მუშათა რევოლუციური პოეზიის გამოვლინება ქართულ არალეგალურ და ლეგალურ ბოლშევიკურ პრესაში, ქართული ბოლშევიკური პროკლამაციების ენა და სტილი, ი. ბ. სტალინის აღრინდელი ნაშრომები და ბრძოლა ქართული ენის სიწმინდისათვის, — ყველა ეს საკითხი ამ კრებულში პირველად ხდება კვლევისა და დაკვირვების ობიექტად. ცალკე ნარკვევია მიძღვნილი ი. ბ. სტალინის შეხედულებებისადმი საბჭოთა ლიტერატურისა და კულტურის საერთო საკითხებზე, რომლებიც გამოთქმულია მის კერძო

მიმოწერაში საბჭოთა მწერლობისა და კულტურის მოღვაწეებთან. ავტორი ეხება აგრეთვე ი. ბ. სტალინის ნაწარმოებთა მხატვრული ფორმის საკითხებს, კერძოდ, სატირისა და იუმორის გამოყენებას მის ნაშრომებში, ქართველი, რუსი და უცხოელი კლასიკოსი მწერლების თხზულებათა უკუფენას მის წერილებსა და ზეპირგამოსვლებში.

კრებულის რამდენიმე თავი ეძღვნება ქართული პრესის ისტორიის ცალკეულ ფაქტებს, აგრეთვე დაკავშირებულთ ი. ბ. სტალინის ლიტერატურულ-ეურნალისტური მოღვაწეობის აღრინდელ პერიოდთან. დასასრულ, სპეციალურ წერილებში გაშუქებულია ქართული ლიტერატურის გამოჩენილი წარმომადგენლების — აკაკი წერეთლისა და ილიკო ევდოშვილის პოეტური წვლილი ქართული რევოლუციური აზროვნების განვითარებაში.

საკითხების უმეტესობა, განხილული ზემოხსენებულ ნარკვევებსა და შენიშვნებში, აღძრულია გენიალური ლენინის მოწაფისა და მისი საქმის განმგრძობის დიდი სტალინის თხზულებათა ლიტერატურულ-მხატვრული თვალსაზრისით შესწავლის პროცესში, უკანასკნელი წლების მანძილზე. ავტორი ამ მიმართულებით კვლავ განაგრძობს თავის მუშაობას. შედეგი ამ ძიებისა თავის დროზე გამოქვეყნდება მომდევნო კრებულის სახით.

* * *

უკვდავია დიდი სტალინის ხსოვნა, უსაზღვროა და წარუშლელი ხალხის გულში მისდამი სიყვარული. ეს წიგნიც, როგორც დაფნის ერთი რტო, მისი დიდების კვარცხლბეკთან კრძალვით დადებული, ნაწილია ამ ღრმა და უმჯობი გრძნობისა.

ი. ბ. სტალინის ადრინდელი ნაშრომები და ბრძოლა ქართული ენის სიწმინდისათვის

შესანიშნავ მოგონებაში „ლენინის შესახებ“ დიდმა სტალინმა სამაგალითო ოსტატობით, მოკლედ და გარკვევით დაახასიათა თავისი გენიოსი მასწავლებლის ლიტერატურული სტილის ნიშნეული თვისებები. ამ მოგონებაში ამხანაგი სტალინი იხსენებს იმ ძლიერ შთაბეჭდილებას, რომელიც მოახდინა მასზე ვ. ი. ლენინის პირველმა პირადმა ბარათმა 1903 წელს, სადაც დიდი და ღრმა მნიშვნელობის თეორიული აზრები მკაფიო და უბრალო გამოთქმებით იყო გადმოცემული. „მხოლოდ ლენინს შეეძლო,—ამბობს სტალინი,—უაღრესად დახლართულ საგნებზე ასე უბრალოდ და გარკვევით, სხარტად და გაბედულად წერა,—როდესაც თვითეული ფრაზა კი არ მეტყველებს, არამედ ტყვიასავით ვარდება“ (ტ. 6, გვ. 63-64). ი. ბ. სტალინისათვის იდეალური იყო ვ. ი. ლენინის სამწერლო სტილი. მაგრამ მისთვის ასევე იდეა-

ლური იყო ლენინის ზეპირი გამოსვლების სტილიც.

რა ახასიათებდა დიდ ლენინს, როგორც ორატორს? ამხანაგი სტალინი, იგონებს რა ლენინის ორ გამოსვლას 1905 წელს ტამერფორსის კონფერენციაზე, შემდეგნაირად ახასიათებს მათ: „დარწმუნების არაჩვეულებრივი ძალა, არგუმენტაციის სიმარტივე და სიცხადე, მოკლე და ყველასათვის გასაგები ფრაზები, არავითარი პრანჭვა-გრეხა, არავითარი თავბრუდამხვევი ჟესტები და ეფექტიანი ფრაზები, რომელთა მიზანია შთაბეჭდილების მოხდენა,—ყველაფერი ეს ხელსაყრელად განასხვავებდა ლენინის სიტყვებს ჩვეულებრივი „საპარლამენტო“ ორატორების სიტყვებისაგან“ (ტ. 6, გვ. 65).

ვ. ი. ლენინის ლიტერატურული სტილის დამახასიათებელი ნიშნები საოცარი სიზუსტით ახასიათებენ ი. ბ. სტალინის სამწერლო სტილსაც. ის, რაც სამაგალითოდ მიაჩნდა თავისი უკვდავი მასწავლებლის და მეგობრის სამწერლო სტილში, ი. ბ. სტალინმა საუკეთესოდ გამოიყენა თავის ნაშრომებში, საუკეთესოდ გვიჩვენა თავის ზეპირ გამოსვლებშიაც.

სავსებით გასაგებია, რომ ი. ბ. სტალინი თავის ლიტერატურულ-პუბლიცისტურ შემოქმედებაში იმთავითვე უდიდეს ყურადღებას აქცევდა

ფორმისა და სტილის საკითხებს, კერძოდ, ენის სიწმინდეს, მის სიფაქიზეს, სიზუსტესა და გამომეტყველ ძალას.

ასეთი მოკრძალებული დამოკიდებულება ენისადმი სამწერლო პრაქტიკაში გამომდინარეობდა იმ ღრმა თეორიული შეხედულებებიდან ენის ბუნებასა და მის საზოგადოებრივ როლზე, რომელიც ჯერ კიდევ 900-იან წლებში შეიმუშავა ი. ბ. სტალინმა მარქსისა და ლენინის შრომების საფუძველზე. თავის ცნობილ წერილში „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?“ (1904 წ.) ი. ბ. სტალინი აღნიშნავდა, რომ „ენა განვითარებისა და ბრძოლის იარაღია“. ამავე შრომაში ი. ბ. სტალინი ვრცელ განმარტებას აძლევდა ამ ლაკონიურ ფორმულას და გვაჩვენებდა, თუ როგორ უნდა ყოფილიყო გაგებული იგი მეფის რუსეთის ჩაგრული ხალხების ცხოვრებისა და ბრძოლის მაგალითზე. „სხვადასხვა ერებს სხვადასხვანაირი ენა აქვთ,—წერდა ი. ბ. სტალინი.—რუსეთის პროლეტარიატის ინტერესები მოითხოვს: რუსეთის ერების პროლეტარებს სრული უფლება ჰქონდეთ ისარგებლონ ი მ ე ნ ი თ, რომელზედაც უფრო თავისუფლად შეუძლიათ სწავლა-განათლება შეიძინონ, რომელზედაც უფრო კარგად შეუძლიათ ებრძოლონ მტრებს კრებებზე, საზოგადოებრივ, სახელმწიფო და სხვა დაწესებულებებში. ა მ ნ ა ი რ ენად ცნობილია ს ა მ შ ო ბ ლ ო ე ნ ა“.

თავისი შეხედულებები ენის შესახებ სტალინმა უფრო ვრცლად, უფრო დიდი მასშტაბით გადაშალა 1950 წელს „პრავდის“ ფურცლებზე წარმოებულ საენათმეცნიერო დისკუსიაში. „ენა, — გვასწავლის ი. ბ. სტალინი, — არის საშუალება, იარაღი, რომლის შემწეობითაც ადამიანებს ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან, უზიარებენ ერთმანეთს აზრებს და აღწევენ ურთიერთგაგებას... თუ არ არსებობს საზოგადოებისათვის გასაგები და ყველა მისი წევრისათვის საერთო ენა, საზოგადოება წყვეტს წარმოებას, ირღვევა და აღარ არსებობს, როგორც საზოგადოება. ამ გაგებით ენა, რომელიც ურთიერთობის იარაღია, ამასთანავე საზოგადოების ბრძოლისა და განვითარების იარაღს წარმოადგენს“. (ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, სახელგამი, 1951 წ., გვ. 20).

ი. ბ. სტალინის ადრინდელი ნაშრომები, დაწერილნი ქართულ ენაზე, როგორც ვიცით, შესულია მისი თხზულებების პირველ ორ ტომში. ეს ნაშრომები, ისევე, როგორც მომდევნო პერიოდის რუსულად დაწერილი თხზულებები ი. ბ. სტალინისა, წარმოადგენენ ენის, როგორც „საზოგადოების ბრძოლისა და განვითარების იარაღისადმი“ განსაკუთრებული გულისხმიერების, ყურადღებისა და პატივისცემის სამაგალითო ნიმუშებს. ი. ბ. სტალინის ლიტერატურული სტილი, ისევე, როგორც სტილი

მარქსის, ენგელსისა და ლენინისა, მუდამ ინარჩუნებს ნორმისა და მისაბაძი მაგალითის მაღალ დონეს.

ი. ბ. სტალინის ლიტერატურული ენის შესწავლა საგანგებო კვლევას მოითხოვს. ჩვენი ნარკვევის მიზანს შეადგენს შევეხოთ მხოლოდ რამდენიმე საკითხს, დაკავშირებულს ი. ბ. სტალინის ქართულად დაწერილი ნაშრომების ენისა და სტილის თავისებურებასთან.

ი. ბ. სტალინის ყველაზე ადრინდელი, ქართულად დაწერილი ნაშრომები ეკუთვნიან 1901 წელს. არალეგალურ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ „ბრძოლაში“ (№ 1), როგორც ვიცით, მოთავსებულია მისი მოწინავე წერილი „რედაქციისაგან“ და სტატია „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი უახლოესი ამოცანები“ (№ 2-3). უკვე ამ წერილებში საუკეთესოდ მოჩანს ოცდაერთი წლის ჭაბუკი ავტორის ლიტერატურული დახელოვნება. ენის სისადავე, სიცხადე და სურათოვნება, ხალხური გამოთქმებისადმი მიდრეკილება, ემოციური ძალა სიტყვისა, რიტმიულობა ფრაზის გამართვაში, მხატვრული სახეების, შედარებების, ეპითეტების სიმდიდრე — ყველაფერი, რაც საერთოდ ახასიათებს ი. ბ. სტალინის ნაწერებს, მთელი სიცხადით არის გამოვლინებული მის ადრინდელ ნაშრომებში.

საკმარისია მოვიყვანოთ ორი ადგილი სტალინის წერილიდან „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი უახლოესი ამოცანები“, რომ ჩვენთვის ცხადი გახდეს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ავტორი ქართული სიტყვის გამომეტყველ ძალას: „...ბევრმა ქარიშხალმა, ბევრმა სისხლის ნიაღვარმა გადაიარა დასავლეთ ევროპის თავზე იმის გულისთვის, რომ მოსპობილიყო შეეიწროება უმრავლესობისა უმცირესობისაგან, მაგრამ ვარამი ისევ გაუქარვებელი რჩებოდა, წყლული ისევ მწვავე და ტანჯვა დღითი-დღე უფრო აუტანელი“ (ტ. 1, გვ. 11). მეორე ადგილი ამ წერილიდან არა ნაკლები სიძლიერით გვიჩვენებს სტალინის ენის მხატვრულ ძალას, მის მიდრეკილებას ხალხური ენის სურათოვნებისადმი: „ისტორია გვასწავლის, რომ ამგვარ პირობებში მუშები ღველფიდან ბატიბუტს მხოლოდ ბურჟუაზიისათვის კრეფენ. ბურჟუაზია ჩვეულებრივ დიდი სიამოვნებით სარგებლობს მუშების დაძარღვული მკლავებით თვით-მპყრობელ მმართველობასთან ბრძოლაში, და როცა გამარჯვება უკვე მოგებულია, თვითონ ითვისებს მის ნაყოფს და მუშებს კი რიყეზე უშვებს“ (ტ. 1, გვ. 29).

მეტად საგულისხმოა ის გარემოება, რომ ქარ-

თული ენისადმი ფაქიზი დამოკიდებულებით, მხატვრული სურათოვნებითა და გამომეტყველი ძალით ხასიათდება ამხანაგ სტალინის შრომასთან ერთად ბევრი სხვა მასალაც, მოთავსებული გაზეთ „ბრძოლის“ ფურცლებზე. აქ ხშირად გვხვდება ხალხური გამოთქმა, ხალხურივე მსუბუქი იუმორი, აგრეთვე ციტირება ან პერიფრაზა ქართველ პოეტთა ცნობილი სტრიქონებისა. ასე, მაგალითად, წერილში „მუშათა მოძრაობა კავკასიაში 1899-1901 წ. წ.“ ვკითხულობთ: „ახლა, როგორც ახალ ნაწვიმარზე სოკოებმა, ისე წამოყვეს თავი ახალ-ახალმა წრეებმა“ („ბრძოლა“, 1901 წ., № 2-3, გვ. 11). ამავე წერილში ვკითხულობთ: „ბურჟუაზიამ... მშვენივრად იცის სხვისი ხელით ნარის გლეჯა“.* ხალხური იუმორით არის შეფერილი ეპითეტი, მიმართული მესამე დასის ოპორტუნისტული უმრავლესობისადმი, ნ. ჟორდანიას მეთაურობით: გაზეთი მათ „რძენაწყენ მარქსისტებს“ უწოდებს (წერილი „პოლიტიკური ბრძოლა“, გაზ. „ბრძოლა“ № 1, გვ. 3). გაზეთის ფურცლებზე არაერთხელ გვხვდება ილია ჭავჭავაძის ლექსის სტრიქონების პერიფრაზა. ასე, მაგალითად, „ბრძოლის“ № 1-ში, ერთ-ერთ კორესპონდენციაში ნახმარია სტრიქონი „სიმართლის ხმამ დაიქუხა“—პერიფრა-

---

*ხაზგასმა ჩვენია.—ავტ.

ბა. ილიას სტრიქონისა „სიმართლის ხმა ქვეყნადა ჭუხს“. მეორე ადგილას „ბრძოლაში“ (№ 2-3, გვ. 10) ვკითხულობთ: „არ ისმოდა არსაიდან ხმა, არსით ძახილი“ (ილიას ლექსიდან „ელეგია“).

ზემომოყვანილი მაგალითები ცხადად გვიჩვენებენ, რომ ახალგაზრდა სტალინი, ისევე, როგორც მისი თანამებრძოლები, თავიანთ პუბლიცისტურ შემოქმედებაში ემყარებოდნენ, ერთი მხრივ, ქართულ ხალხურ ენობრივ სტიქიას, მეორე მხრივ, იმ ახალი ქართული ლიტერატურული ენის ტრადიციას, რომელიც შექმნეს ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა.

მაგრამ ახალგაზრდა სტალინი თავისი ლიტერატურული სტილის გამომუშავების დროს მარტო ბაშობლიური ენის საწყისებს როდი ემყარებოდა. თავისი სტილის დადგენის პროცესში იგი საუკეთესოდ იყენებდა მარქსიზმის კლასიკოსების — მარქსის, ენგელსის, ლენინის შრომებს, რუსული და დასავლეთევროპული მხატვრული ლიტერატურის კლასიკოსთა მემკვიდრეობას, სადაც მოცემულია შინაარსისა და ფორმის, აზრისა და მისი სიტყვიერი სამოსელის იდეალური შეხამების უბადლო ნიმუშები.

ი. ბ. სტალინი არა მარტო თვითონ იცავდა ახალი ქართული ლიტერატურული ენის ნორმებს, არამედ სხვებსაც უსწორებდა ენობრივ შეცდო-

მებს, არავის აძლევდა ნებას შეებღალა ქართული ენის სიწმინდე, დაებერგა, დაენაგვიანებინა მისი ლექსიკური შემადგენლობა ბარბარიზმებით, პროვინციალიზმებით, შეელახა ქართული გრამატიკის დადგენილი წესები.

წლების მანძილზე ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობდა ქართულ არალეგალურ და ლეგალურ ბოლშევიკურ პრესას, როგორც მისი ორგანიზატორი და იდეური სულისჩამდგმელი, როგორც მისი დაუღალავი რედაქტორი. თუ გადავფურცლავთ 1901—1907 წლების ქართულ ბოლშევიკურ გაზეთებს: „ბრძოლას“, „ახალ ცხოვრებას“, „ახალ დროებას“, „მნათობს“, „ჩვენს ცხოვრებას“, „დროს“, თუ გავეცნობით ამ გაზეთების ფურცლებზე მოთავსებულ მასალას, როგორც პუბლიცისტურ-თეორიულ წერილებს, ისე მხატვრულ ნაწარმოებებს — ლექსებს, პროზას, სატირულ ფელეტონებს — დავრწმუნდებით, რომ ყველაფერს, მნიშვნელოვანი სტატიიდან მოკიდებული, სულ ლბრალო კორესპონდენციამდე, ატყვია ქართული ენის ბრწყინვალედ მცოდნე რედაქტორის ხელი. აქ, ამ მდიდარსა და მრავალფეროვან საგაზეთო მასალაში, რედაქტორი, იცავს რა მარქსისტულ-ლენინური იდეების სიწმინდეს, იმავე დროს იცავს იმ ენის სიწმინდესაც, რომლითაც გამოხატულია ამ მაღალი, კეთილშობილური იდეების წარმტაცი ში-

ნაარსი. ახალგაზრდა სტალინი — რედაქტორი! ეს ცალკე თემაა, დიდი და მომხიბლავი არა მარტო მკვლევარებისთვის, არამედ მხატვრული სიტყვის ოსტატებისთვისაც. არსებობს მთელი რიგი მოგონებები მუშებისა, კომუნისტური პარტიის ძველი მოღვაწეების, სადაც აღწერილია ი. ბ. სტალინის — რედაქტორის დაუღალავი, თავდავიწყებული, შთაგონებული მუშაობა ბოლშევიკური გაზეთის რედაქციაში (ბევრ შემთხვევაში ეს რედაქცია მკაცრად კონსპირირებულ ოთახს წარმოადგენდა ქალაქის მივარდნილ რაიონში). რამდენი ღამე უთენებია ახალგაზრდა სტალინს გაზეთის მასალების სწორებაში! ზოგჯერ ეს მასალა დაწერილი იყო მუშა-ავტორების გამოუცდელი ხელით. საჭირო იყო მათი გამართვა, გარანდვა, მტკიცე ლიტერატურული ენის ნორმებში ჩაყენება. ამიტომაცაა, რომ ქართულ ბოლშევიკურ გაზეთებს ახასიათებდა გამართული ქართული ენა, მოხდენილი სტილი, ლიტერატურული ნორმების შეუბღალავი სიწმინდე.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ი. ბ. სტალინი მუდამ მტკიცედ იცავდა მშობლიური ენის სიწმინდეს. ქართველ მენშევიკებთან და ანარქისტებთან ბრძოლის დროს, როდესაც საქმე შეეხებოდა მატერიალისტური ფილოსოფიისა თუ პარტიის ტაქტიკის საკითხებს, თვით უმწვავესი პოლემიკის პროცესშიაც

კი ი. ბ. სტალინი არ ივიწყებდა და უდიდეს ყურადღებას აქცევდა ქართული ენის დაცვის საქმეს.

თვითმპყრობელობის დროს, როდესაც სასტიკად იდევნებოდა მცირე ერების და მათ შორის ქართველი ხალხის ეროვნული ენა, კულტურა, საზოგადოებრივი ცხოვრება, აღმაშფოთებელი იყო, რომ ქართველი მენშევიკი-პუბლიცისტები, ეს „ძალად-მარქსისტები“, როგორც ამხანაგი სტალინი უწოდებდა მათ, – აბუჩად ეპყრობოდნენ, უგუნური თავქარიანობით ეკიდებოდნენ მშობლიურ ენას — ქართველთა ეროვნების სიმტკიცის ამ ერთ-ერთ საიმედო ბურჯს. და აი, ძალიან დამახასიათებელია ამ დროს ი. ბ. სტალინის შრომა „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“, ცალკე ბროშურად გამოცემული 1905 წლის რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში. ამ შრომაში ი. ბ. სტალინი ორჯერ უსწორებს ნოე ჟორდანიას უხეირო ქართულს. ერთხელ, როდესაც ნოე ჟორდანია ამბობს: „პოლიტიკა უეკონომიოთო“, ი. ბ. სტალინი იქვე უსწორებს და ფრჩხილებში წერს: „უნდა იყოს: უეკონომიკოდო“ (ტ. 1, გვ. 91). მეორე ადგილას, იმავე წერილში, ი. ბ. სტალინი წერს: „თავისი აზრის გასათეთრებლად „უმრავლესობის თუ უმცირესობის“* ავტორს მარქსის (?) სიტყვები მოჰყავს:

* სათაური ნოე ჟორდანიას წერილისა, რომელიც ან-ის ფსევდონიმით დაიბეჭდა მენშევიკურ გაზეთ „სოციალ-დემოკრატის“ 1905 წ. № 1-ში. — ა ვ ტ.

„რომელიმე კლასის თეორეტიკი თეორეტიულათ მიდის იმ დასკვნამდის, რომლისაკენაც თვითონ კლასი უკვე მივიდა პრაქტიკულათ“. ორში ერთი: ან ქართული არ იცის ავტორმა, ანდა მბეჭდავის შეცდომაა: არც ერთი ქართველი არ იტყვის — „რომლის კენაც უკვე მივიდაო“; უნდა იყოს: ან „რომელთანაც უკვე მივიდა“, ანდა „რომლისკენაც უკვე წავიდა“. თუ ავტორს უკანასკნელი გამოთქმა აქვს მხედველობაში (ე. ი. — რომლისკენაც უკვე წავიდა), უნდა შევნიშნო, რომ მას სწორად არ გადმოუღია მარქსის სიტყვები. მარქსი ასეთს არაფერს ამბობს. ხოლო თუ ავტორს პირველი გამოთქმა აქვს მხედველობაში, მაშინ მის მიერ მოყვანილი წინადადება ასეთ სახეს მიიღებს: „რომელიმე კლასის თეორეტიკი თეორეტიულად მიდის იმ დასკვნამდის, რომელთანაც თვითონ კლასი უკვე მივიდა პრაქტიკულ[ა]დ“. ე. ი. თუ მარქსი და ენგელსი თეორიულად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ კაპიტალიზმი უნდა დაინგრეს და სოციალიზმი აშენდეს, ეს იმას ნიშნავს, რომ პროლეტარიატმა უკვე უარყო პრაქტიკულად კაპიტალიზმი, უკვე დალეწა კაპიტალიზმი და ააშენა მის ადგილზე სოციალისტური ცხოვრება!

საწყალი მარქსი! ვინ იცის კიდევ რამდენ სისულელეს მიაწერენ ჩვენი „ძალად მარქსისტები!“ (ტ. 1, გვ. 111-112).

ეს მაგალითები ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ იმაზე, თუ როგორ იბრძოდა ი. ბ. სტალინი ქართული ენის სიწმინდისათვის.

ი. ბ. სტალინი მარტო გრამატიკულ შეცდომებს როდი უსწორებდა ნოე ჟორდანიას. იგი არ ურიგდებოდა ქართულ ენაში პროვინციული გამოთქმებისა და სიტყვების ხელოვნურად დანერგვის ცდებსაც. პოლემიკის დროს ი. ბ. სტალინი უეჭველად შეამჩნევდა მეწინააღმდეგის ენობრივ სიმახინჯეს და იქვე გაუსწორებდა ხოლმე, ზოგჯერ ხაზგასმითაც კი, დაშვებულ შეცდომას. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ნოე ჟორდანიას წინააღმდეგ მიმართული წერილი „პასუხად „სოციალ-დემოკრატს“ (1905 წელი), სადაც ი. ბ. სტალინი ნ. ჟორდანიას მიერ პროვინციული ჟარგონიდან ნასესხებ სიტყვას „გარედმიდან“ ასწორებს სიტყვით „გარედან“. „განა აზრის სიღატაკე არაა, — წერს ი. ბ. სტალინი, — როცა ის (ნოე ჟორდანია. — ლ. ა.) კაუცკის სიტყვებიდან დაასკვნის, რომ „სოციალიზმი გარედმიდან არ შედისო“?... განა იგივე კაუცკი არ ამბობს, რომ „სოციალისტური შეგნება გარედანაა შეტანილი პროლეტარიატის კლასთა ბრძოლაშიო“? (ტ. 1, გვ. 158).

ი. ბ. სტალინი საჭიროდ სთვლიდა, რომ ქართული ლიტერატურული ენა, სიფაქიზესა და მაღალმხატვრულობასთან ერთად, მისაწვდომი და გა-

საგები ყოფილიყო მშრომელთა ფართო მასებისათვის. აქაც ი. ბ. სტალინი სავსებით იზიარებდა ვ. ი. ლენინის შეხედულებებს ლიტერატურული ენის შესახებ. ვ. ი. ლენინი მუდამ ხაზს უსვამდა მარქსის ენის გენიალურ სისადავეს, იგი სთვლიდა, რომ მარქსიზმის არსებით ნიშანს ლიტერატურული სტილის უბრალოება წარმოადგენს. ამიტომაც იყო, რომ ლენინი ამბობდა: „მარქსიზმის მაქსიმუმი პოპულარობისა და სისადავის მაქსიმუმს უდრისო“ (Ленинский сборник, IV, 291). სხვა ადგილას ვ. ი. ლენინი წერდა მარქსსა და ენგელსზე: „მარქსისა და ენგელსის გენიოსობა, სხვათა შორის, იმაში გამოიხატა, რომ მათ ეზიზღებოდათ გელერტული თამაში ახალი სიტყვებით, შეთხზული ტერმინები, თვალთმაქცური „იზმები“ და პირდაპირ და უბრალოდ ამბობდნენ: არის მატერიალისტური და იდეალისტური ხაზი ფილოსოფიაში, ხოლო მათ შორის - აგნოსტიციზმის სხვადასხვა ელფერი“ (ტ. 14, გვ. 178, მე 4 გამოც.). მეტად საგულისხმოა თვით ფრიდრიხ ენგელსის აზრი ლიტერატურული სტილის შესახებ, გამოთქმული ბერნშტეინისადმი გაგზავნილ წერილში (1882 წ.). ფრ. ენგელსი მაღლა აყენებდა იმ პარტიულ მწერლებს, რომლებსაც „შეუძლიათ შეეხონ საკითხის არსს და თავიდან აიცილონ ყველა მეორეხარისხოვანი მოსაზრებანი, ამასთან ერთად წერენ

ძალზე უბრალოდ და ცხადად“ (Архив Маркса и Энгельса, ტ. I, გამოც. მე-3, გვ. 321).

მარქსიზმის კლასიკოსების ამ მოთხოვნას ლიტერატურული სტილის სისადავისა და სიცხადის შესახებ მტკიცედ და განუხრელად იცავდა ი. ბ. სტალინი ჯერ კიდევ თავის ადრინდელ ნაწერებში. მას არა ერთგზის ჩაუტარებია დიდი მუშაობა ამ მიმართულებით; მეტად დამახასიათებელია ამ მხრივ ამხანაგ ი. ბ. სტალინის მუშაობა წერილების სერიაზე „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“ ცნობილია, რომ ამ ნაშრომის პირველი ოთხი წერილი ი. ბ. სტალინმა გამოაქვეყნა 1906 წელს გაზეთ „ახალ ცხოვრებაში“. ამ სტატიების ბეჭდვა შეწყდა გაზეთის დახურვის გამო. 1906 წლის დეკემბერსა და 1907 წლის 1 იანვარს ზემოხსენებული წერილები დაიბეჭდა გაზეთ „ახალ დროებაში“, მხოლოდ რამდენადმე შეცვლილი სახით. რედაქციამ ამ წერილებს დაურთო შენიშვნა: „ჩვენ საჭიროდ ვცანით ყველა წერილების გამოშვება, თავით ბოლომდე, და წინადადება მივეცით ავტორს ადვილ-გასაგებ ენაზე გადაეკეთებინა ხსენებული წერილები, რაც მან სიამოვნებით შეასრულა“ (ხაზი ჩვენია. ლ. ა.). ამგვარად გაჩნდა ნაშრომის „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“-ს პირველი ოთხი ნაწილის ორი ვარიანტი (ი. ბ. სტალინის თხზულებე-

ბის პირველ ტომში პირველი ვარიანტი დაბეჭდილია დამატების სახით).

ნაშრომის „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“-ს ვარიანტების შედარება ცხადყოფს, რომ ავტორს მეორე ვარიანტზე გარკვეული ხასიათის მუშაობა ჩაუტარებია, რათა მისი ფილოსოფიური ნაშრომი მისაწვდომი და გასაგები გამხდარიყო მშრომელთა ფართო მასებისათვის. ავტორს თეორიული დებულებების ცხადსაყოფად თავის ნაშრომის მეორე ვარიანტში ზოგან ჩაურთავს ცალკეული მაგალითები. ასე, მეორე თავში, იქ, სადაც ლაპარაკია საზოგადოების განვითარებასა და გარეშე პირობების ცვლასთან ერთად ადამიანთა შეგნების ცვლაზე, ავტორს საილუსტრაციოდ მოუყვანია ისტორია ღარიბი მეჩექმისა, რომელიც კეტავს თავის პაწია სახელოსნოს და ადელხანოვის ფაბრიკაში შედის მუშად. აქ ფრთები ეკვეცება მეჩექმის წვრილბურჟუაზიულ ოცნებას, პირველად ესახება მას გულში პროლეტარული სულისკვეთება. ჩქარა იგი გაფიცვაში იღებს მონაწილეობას, სოციალისტურ იდეებს ეწაფება. ამგვარად, მატერიალური მდგომარეობის შეცვლას ბოლოს და ბოლოს თან მოჰყვება მეჩექმის შეგნების შეცვლაც. ამ ნათელი მაგალითის ჩართვით, ი. ბ. სტალინი უბრალო მკითხველისათვის უფრო გასაგებად ხდის დიალექტიკური მატერიალიზმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესსა და პრინციპულ დებულებას.

ასეთი იყო ამხანაგ ი. ბ. სტალინის ზრუნვა ქართული ენის ხალხურობისა, სისადავისა და სიცხადისათვის. მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურება მისი მუშაობა ქართული სალიტერატურო ენის განკარგებისა და განვითარებისათვის. ი. ბ. სტალინის შრომები მდიდარია მხატვრული სახეებით, ხალხური გამოთქმებით, ლიტერატურული ციტატებით; მის სიტყვას ახასიათებს მედგარი ძალა და მოქნილობა, მისი სტილი შეფერილია გარკვეული ემოციური განწყობილებით ქართული ენის მდიდარი ბუნება თვალსაჩინოდ არის გამოვლინებული მის ადრინდელ ნაშრომებში. თუ ჩავუკვირდებით ი. ბ. სტალინის ქართულად დაწერილ ნაშრომების სტილს, ჩვენთვის ცხადი გახდება, რომ მისი ლიტერატურული ენისათვის დამახასიათებელ ერთ-ერთ ნიშანს წარმოადგენს მხატვრულობისა და სისადავის შეერთება მაგრამ ენის სისადავე და ხალხურობა ი. ბ. სტალინს არასოდეს არ ესმოდა, როგორც დაუმუშავებელი გამოყენება ხალხის სალაპარაკო ენისა. არა მარტო პუბლიცისტურ და თეორიულ შრომებში, არამედ სახელდახელო ფურცლებსა და პროკლამაციებშიაც კი ი. ბ. სტალინის ენა ინარჩუნებდა მაღალ ლიტერატურულ დონეს იმ დონეს, რომელიც იდეალურად მიაჩნდა ლენინს. გავიხსენოთ ლენინის აზრი ჩვენი საწარმოო გაზეთების ენაზე:

„საწარმოო გაზეთი. — წერდა ვ. ი. ლენინი, — უნდა იყოს პოპულარული, იმ აზრით, რომ გასაგები იყოს მილიონებისათვის, მაგრამ ამ მხრივ, არამც და არამც არ უნდა გადავარდეს უკიდურესობაში. კი არ უნდა დაეშვას განუვითარებელ მკითხველამდე, არამედ განუხრელად ძლიერ ფრთხილი თანდათანობით აამაღლოს მისი განვითარება“ (ტ. 31, გვ. 494).

ი. ბ. სტალინის ადრინდელ ნაშრომებში ჩვენ ვამჩნევთ სწორედ ამ ტენდენციას – ხალხისათვის გასაგები, უბრალო ენა იმავე დროს გამოირჩეოდეს მაღალი ლიტერატურული დონით, გამდიდრებული იყოს პოეტური სახეებით, მხატვრული შედარებებითა და ეპითეტებით. ი. ბ. სტალინის ენის ხალხურობის ერთ-ერთ ნიშანს წარმოადგენს მისი სიახლოვე ცოცხალ სასაუბრო ენასთან, მისი სიმდიდრე ხალხური გამოთქმებით, ანდაზებით, ფრთოვანი სიტყვებით.

ი. ბ. სტალინი, გამოსული მშრომელი ხალხის წიაღიდან, ბავშვობიდანვე შეზრდილი მშრომელი მასების ცხოვრებასთან, კარგად მცოდნე ხალხური პოეზიის, ზეპირსიტყვაობის, მრავალსაუკუნეთა მანძილზე დაგროვილი სიბრძნისა, თავის ლიტერატურულ ნაშრომებში უხვად იყენებდა ხალხურ ბრძნულ გამოთქმებსა და მახვილსიტყვაობას. რამდენიმე მაგალითი ჩვენთვის ცხადყოფს,

თუ რა ოსტატურად იყენებდა ი. ბ. სტალინი ხალხური მეტყველების ნიმუშებს. წერილში „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?“ (1904 წ.) ი. ბ. სტალინი აღნიშნავს, რომ საქართველოს „ეკონომიური განვითარება თანდათან ხიდსა სდებს ქართველი ბურჟუაზიის მოწინავე წრეებსა და „რუსეთს“ შორის, ეკონომიურად და პოლიტიკურად აკავშირებს ამ წრეებს „რუსეთთან“ და მით ნიადაგს ურყევს ისედაც შერყეულ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს“. ამ ფრაზას სტალინი ამთავრებს ენამახვილი სტრიქონით — „ესეც მეორე ლახტი ჩვენს ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს!“ (ტ. 1 გვ. 35). მეორე ადგილას, იმავე წერილში, ი. ბ. სტალინი, ეკამათება რა სოციალ-ფედერალისტებს, დაცინვით შენიშნავს: „გავყვეთ მათ, ვნახოთ, სად მიგვიყვანენ: ნათქვამია, მტყუანს სიმტყუვნის კარამდე მიჰყეო“ (ტ. 1, გვ. 37.). წერილში „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“ (1905 წ.) ი. ბ. სტალინი, ეხება რა მენშევიკების ლიდერებს პლეხანოვს, მარტოვსა და აქსელროდს — დაცინვით წერს: „ამ შესანიშნავ ბელადებს რამდენიმე „პრინციპი“ აქვთ ჯიბეში და როდესაც რა დასჭირდებათ, იმას ამოიღებენ, ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო!“... (ტ. 1, გვ. 121). ასევე ხშირად იყენებს ი. ბ. სტალინი სხვა შრომებში ისეთ

მოარულ გამოთქმებს, როგორიცაა, მაგალითად: „ერთი ალთას, მეორე ბალთას“ (ტ. 1, გვ. 121, 303); „ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო“ (ტ. 1, გვ. 285, 355) და მრავალი სხვა.

ი. ბ. სტალინს ეკუთვნის კლასიკური, თავისი უბრალოებით და სიზუსტით, შედარება ვლადიმერ ილიას-ძე ლენინისა მთის არწივთან. „ის, ვინც ჩვენს პოზიციაზე დგას, — წერდა ი. ბ. სტალინი 1904 წელს,—მტკიცე და შეუდრეკელი ხმით უნდა ლაპარაკობდეს. ამ მხრივ ლენინი ნამდვილი მთის არწივია“ („წერილი ქუთაისიდან“, ტ. 1, გვ. 55).* როგორც ცნობილია, დიდმა ლენინმა, გაიცნო რა ი. ბ. სტალინის ზემოხსენებული ბარათის ტექსტი, თავის მხრივ დაწერა წერილი, სადაც სტალინს „მგზნებარე კოლხიდელი“ უწოდა.

სტალინის შინაგანი მგზნებარება, ცეცხლოვანი ტემპერამენტი განსაკუთრებით გამოსჭვივის იმ ნაშრომებში, რომელიც მას 1905 წლის რევოლუციის ქარტეხილის დღეებში აქვს დაწერილი. ი. ბ. სტალინის ყურადღება არასოდეს არ განელებულა მისი ნაწერების გარეგანი ფორმისადმი. აიღოთ თუნდაც მისი წერილი „შეიარაღებული აჯანყება და ჩვენი ტაქტიკა“. დაბეჭდილი გაზ. „პროლე-

* ხაზგასმა ყველგან ჩვენია. — ავტ.

ტარიატის ბრძოლის“ 1905 წლის 15 ივლისის ნომერში. აი რა დიდი ძალა იგრძნობა ამ სტრიქონებში: „რევოლუციის ალი უფრო და უფრო ძლიერდება და ხან აქ, ხან იქ ადგილობრივ აჯანყებას იწვევს... ყოველივე ეს წინასწარი ნიშნებია მოახლოებული ჰექა-ქუხილისა. ეს ჰექა-ქუხილი ახლოვდება, შეუჩერებლივ ახლოვდება, და დღეს იქნება თუ ხვალ გადმოხეთქს რუსეთზე ყოვლად ძლიერ გამწმენდ ნიაღვრად, რომელიც ყოველივე დაძველებულს, მომპალს წალეკავს და რუსეთის ხალხს მორეცხავს მრავალ საუკუნეთა სირცხვილს, თვითმპყრობელობად წოდებულს“ (ტ. 1, გვ. 125).

იმავე გაზეთის 15 ოქტომბრის ნომერში სტალინი ბეჭდავს წერილს „რეაქცია მწვავდება“. აი როგორი სტრიქონებით იწყება სტატია: „შავი ღრუბლები გროვდება ჩვენს თავზე. ბებერი თვითმპყრობელობა სულს იდგამს და „ცეცხლითა და მახვილით“ გვეგებება. რეაქცია მწვავდება! ტყუილად მიგვითითებთ მეფის „რეფორმებზე“, რომლებმაც უმსგავსი თვითმპყრობელობა უნდა გაამაგროს: „რეფორმები“ მხოლოდ ნიღაბია იმ ტყვიების და მათრახებისა, რომლებითაც ასე უხვად გვიმასპინძლდება პირსისხლიანი მთავრობა“ (ტ. 1, გვ. 165).

რევოლუციური მოძრაობის კულმინაციის ჟამს ი. ბ. სტალინის ნაწერებში უკვე მკვეთრად ჟღერს

მომწოდებელი ძახილი; ამ ნაწერების სტილი აღწევს მაღალ პათეტიკურობას, საზეიმო ნაღარის ხმად გაისმის ეს მგზნებარე სიტყვები. დამახასიათებელია ამ დროს დაწერილი სტალინური პროკლამაციების ტონი და შინაარსი: მოკვეთილი ფრაზები, ლაპიდარული გამოთქმები, მკვრივად შეკრული წინადადებები ამ პროკლამაციებისა დიდის ძალით გადმოსცემენ პოლიტიკური ვითარების დაძაბულ ხასიათს. აბა ყური დავუგდოთ, როგორ იწყება 1905 წლის 19 ოქტომბრის პროკლამაცია („ყველა მუშას"): „რევოლუცია გრგვინავს! რუსეთის რევოლუციური ხალხი ყალყზე შედგა და საიერიშოდ შემოერტყა მეფის მთავრობას! ფრიალებს წითელი დროშები, შენდება ბარიკადები, იარაღს ისხამს ხალხი და იერიშით მიდის სახელმწიფო დაწესებულებებზე. კვლავ გაისმა მამაცთა ყიჟინა, კვლავ ამღერდა მიყუჩებული ცხოვრება. რევოლუციის გემმა იალქანი აუშვა და თავისუფლებისაკენ გაეშურა. ამ გემს რუსეთის პროლეტარიატი ხელმძღვანელობს" (ტ. 1, გვ. 180).

ასევე საზეიმო პათოსით ჟღერენ ი. ბ. სტალინის სიტყვები იმავე 1905 წლის მეორე პროკლამაციაში („მოქალაქენო"): „მძლავრი ბუმბერაზი —სრულიად რუსეთის პროლეტარიატი კვლავ ამოძრავდა, — წერს ი. ბ. სტალინი, — მთელ რუსეთს მოედო ფართო საგაფიცვო მოძრაობა. თითქოს ჯა-

დოსნური კვერთხით ანიშნესო, რუსეთის მთელ თვალუწვდენ სივრცეზე ცხოვრება ერთბაშად შეჩერდა... პროლეტარიატი ბრძოლაში იწვევს წყეულ ორთავიან ურჩხულს...“ (ტ. 1, გვ. 176).

1906 წელს გაზეთ „ელვას“ ფურცლებზე ი. ბ. სტალინი ბეჭდავს წერილს „აგრარული საკითხი“, რომლის პირველი აბზაცი იკითხება როგორც მხატვრული პროზა: „გატყდა ძველი დროება, შეირყა სოფლის მყუდროება. ჯერ კიდევ გუშინ დაცემული გლეხკაცობა დღეს ფეხზე დგება და წელში იმართება, ჯერ კიდევ გუშინ უსუსური გლეხთა მოძრაობა დღეს ნიაღვარს ემსგავსება და ძველი წესწყობილების წინააღმდეგ მიექანება: გზა დამიცალეთ, თორემ გადაგლახავთო“ (ტომი 1, გვ. 203).

ი. ბ. სტალინის ლიტერატურული სტილის ერთერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ლიტერატურული სახეების, აფორიზმების, სენტენციების გამოყენება ამა თუ იმ აზრის ნათელსაყოფად, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარის გასაშუქებლად. ი. ბ. სტალინი ხშირად სარგებლობს ქართველი, რუსი და უცხოელი მწერლების ნაწარმოებებით. ლიტერატურული სახეები და შედარებანი საუკეთესო იარაღს წარმოადგენდნენ ი. ბ. სტალინისათვის პოლიტიკურ ბრძოლაში. ი. ბ. სტალინის ადრინ-

დელ, ქართულად დაწერილ ნაშრომებშიც არა ერთხელ გვხვდება ლიტერატურული ციტატები, ცნობილი სენტენციები და აფორიზმები. მაგალითად, წერილში „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“ (1905 წ.) ი. ბ. სტალინი ძალიან მოხერხებულად იყენებს რუსთაველის სტრიქონებს თავისი აზრის დასასურათებლად (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. ქვემოთ, გვ. 159—161).

ი. ბ. სტალინი უხვად იყენებს აგრეთვე რუსი და უცხოელი კლასიკოსების ლიტერატურულ სახეებსაც. მის ადრინდელ ნაშრომებში, მაგალითად, არა ერთხელ გვხვდება დონ კიხოტის სახე, რომელსაც ავტორი დაცინვით ხან ქართველ ფედერალისტებს ადარებს (ტ. 1, გვ. 35), ხან ქართველ ანარქისტებს (ტ. 1, გვ. 348-349).

ცნობილ შრომაში „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“ ი. ბ. სტალინი, ოსტატურად იჭერს რა ანარქისტების ერთ-ერთ „თეორეტიკოსს“ ზერელე და დაუკვირვებელ მსჯელობაში, უნტერ-ოფიცრის ცოლის ამბავს იგონებს გოგოლის „რევიზორიდან“ (ტ. 1, გვ. 290).

გოგოლი აგონდება ამხანაგ ი. ბ. სტალინს სხვა ნაშრომებშიაც, სადაც იგი ეხება მენშევიკების პუბლიცისტებს. ერთ ადგილას, მაგალითად, მენშევიკ პუბლიცისტებს იგი ადარებს გოგოლის ცნობილ გმირს „შეშლილის წერილებიდან“ (ტ. 1, გვ. 142).

„ანარქიზმის თუ სოციალიზმის?“ ერთ-ერთ თავში ი. ბ. სტალინი ქართველი ანარქისტების უთავბოლო „კრიტიკაზე“ იგონებს კრილოვის ცნობილ გამონათქვამს: Беда, коль пироги начнет печь сапожник! (ტ. 1, გვ. 305).

ი. ბ. სტალინის ადრინდელ ნაშრომებში, კერძოდ პროკლამაციებში, რამდენიმე ადგილას ძალიან მოხერხებულად არის გამოყენებული მ. გორკის სტრიქონები ცნობილი ნაწარმოებებიდან „ქარიშხალას სიმღერა“ და „სიმღერა შევარდენზე“. 1905 წლის ერთ პროკლამაციაში ვკითხულობთ: „კვლავ გაისმა მამაცთა ყიჟინა“... დაე უფრო მძლავრად დასჭექოს მეხმა, დაე უფრო მძლავრად დაქროლოს ქარტეხილმა! გამარჯვების წამი მოახლოვდა!“ (ტ. 1, გვ. 180, 182).

ი. ბ. სტალინის ადრინდელი შრომებისათვის, ისევე, როგორც შემდეგი დროის ნაწერებისათვის, დამახასიათებელია აგრეთვე ხშირი გამოყენება სხვადასხვა მოგონებებისა, იუმორისტული ამბების, ენამახვილი გამონათქვამისა. ასეთი ჩანართი ადგილები ცხოველმყოფელ ძალას აძლევენ, ნათელს ფენენ, იოლად შესათვისებელს ხდიან ი. ბ. სტალინის თეორიულ შრომებს, პოლიტიკურ სტატიებს, საზოგადოებრივი საკითხებისადმი მიძღვნილ წერილებს. ასეთი ჩანართების გამოყენება მოწმობს ი. ბ. სტალინის გენიალურ უნარს ადვილი და მი-

საწვდომი გახადოს ფართო მასობრივი მკითხველისათვის რთული პოლიტიკური და საზოგადოებრივი პრობლემების შეთვისება. ი. ბ. სტალინის ადრინდელ ნაშრომებში ასეთი ხასიათის ჩანართებს მიეკუთვნებიან: „ბრძენი ანატომის“ ამბავი, 50-იანი წლების რუს მეტაფიზიკოსთა კითხვები, უკომპასო გემი, ქურდის ოინი, დასასჯელი კაცის ხვეწნა და სხვ. (ტ. 1, გვ. 46, 49, 99, 124, 149).

ი. ბ. სტალინის ლიტერატურული სტილის ერთერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს მისი იუმორი და სატირა. მთელი მსოფლიოსათვის ცნობილია დიდი სტალინის სატირის ძალა, მიმართული საბჭოთა ქვეყნის მტრების — იმპერიალისტების, ბნელი ძალების წინააღმდეგ. იუმორსა და სატირას, როგორც პოლიტიკური ბრძოლის იარაღს, იმთავითვე მარჯვედ იყენებდა ი. ბ. სტალინი. „იუმორი მისაწვდომია მხოლოდ ღრმა და ძლიერ განვითარებული სულისათვისო“, ამბობდა ბესარიონ ბელინსკი. მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ უკვე ახალგაზრდა სტალინი შესანიშნავად ფლობს ამ მახვილ იარაღს. რა საუცხოოა თუნდაც მისი ირონიით აღსავსე მსჯელობა მეფის კაზაკთა მათრახის შესახებ. (წერილში „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი უახლოესი ამოცანები“, 1901 წ.): „მათრახი ახლა „სრული დემოკრატიული თანასწორობით“, განურჩევ-

ლად სქესისა, ხნოვანობისა და წოდებისაც კი, გადადის ერთის ზურგიდან მეორეზე. ამ მხრივ მათრახი დიდ სამსახურს გვიწევს იმით, რომ აჩქარებს „ცნობისმოყვარის" გარევოლუციონერებას. დასამშვიდებელი იარაღიდან ის გამოფხიზლების იარაღად იქცევა" (ტ. 1, გვ. 27).

მაგრამ ახალგაზრდა სტალინის სატირის ძალა მიმართული იყო არა მარტო მეფის ხელისუფლების და კაპიტალისტურ-მემამულური წყობილების წინააღმდეგ. იგი არანაკლები შეუპოვრობით ესხმის თავს ასეთივე იარაღით მენშევიკებს, ანარქისტებს, ბურჟუაზიულ ლიბერალებს.

ი. ბ. სტალინი მენშევიკებს „კუდა-ძუა პოლიტიკის მიმდევართ" უწოდებს და იქვე განმარტავს, რატომ: ეს ის ხალხია, „ვინც პარტიის მიზანს ცხოვრების უბრალო მიყოლამდე აქვეითებს, ვინც უკან მისჩანჩალებს ცხოვრებას და არა წინ მიუძღვის, როგორც ეს შეგნებულ მოწინავე რაზმს შეჰფერის" (ტ. 1, გვ. 126).

სხვა ადგილას ი. ბ. სტალინი ამხილებს მენშევიკების გონებაშეზღუდულობას და დოქტრინიორობას, „თუ საფრანგეთში ბურჟუაზიამ,—წერს ი. ბ. სტალინი, — რომელიც სათავეში ედგა რევოლუციას, ისარგებლა მისი ნაყოფით, ნუთუ რუსეთშიც მან უნდა ისარგებლოს ამ ნაყოფით, მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციის სათავეში

პროლეტარიატი დგას? დიახ, ამბობენ ჩვენი მენშევიკები, რაც იქ, საფრანგეთში მოხდა, აქაც, რუსეთშიც ის უნდა მოხდესო. ეს ვაჟბატონები მეკუბოვესავით ზომას უღებენ დიდი ხნის მიცვალებულს და ამ საზომით ზომავენ ცოცხლებს". (ტ. 1, გვ. 143. ხაზი ჩვენია. ლ. ა.).

წერილში „რეაქცია მწვავდება" (1905 წელი) ი. ბ. სტალინი თავს ესხმის ლიბერალურ ბურჟუაზიის წარმომადგენლებს და წერს: „ლაპარაკი არ უნდა, რომ მელაკუდა ლიბერალები რევოლუციას უფრო უღალატებენ, ვიდრე ნიკოლოზ II-ს" (ტ. 1, გვ. 167). არანაკლები სიმწვავით განიცდიდნენ ი. ბ. სტალინის ირონიის სიმძაფრეს ქართველი ანარქისტ-კროპოტკინელებიც. აი ერთი ადგილი ნაშრომიდან „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?": „ანარქისტები გვიკიჟინებენ, — წერს ი. ბ. სტალინი, — რომ „დიალექტიკა... არ გვაძლევს საშუალებას გამოვიდეთ ან გამოვხტეთ თავის თავისაგან, არც გადავახტეთ თავის თავს"... ეს კი სრული ჭეშმარიტებაა, ბ-ნო ანარქისტებო, აქ კი ცამდის მართალი ხართ, პატივცემულნო: დიალექტიკური მეთოდი მართლაც არ იძლევა ასეთ საშუალებას. მაგრამ რატომ არ იძლევა? იმიტომ, რომ „თავის თავიდან გამოხტომა და თავის თავზე გადახტომა" თხების საქმეა, დია-

ლექტიკური მეთოდი კი ადამიანებისთვისაა გამოგონილი. აი, სად არის საიდუმლოება!..“ (ტ. 1, გვ. 291).

ი. ბ. სტალინი მენშევიკების წინააღმდეგ გამოქვეყნებულ წერილებში არა ერთხელ მიმართავდა მათი პროვინციული ჟარგონის, ცალკეული სიტყვების და კუთხერი გამოთქმების პაროდირების ხერხს. პაროდირების ნიმუშს წარმოადგენს ი. ბ. სტალინის მიერ სხვადასხვა დროს პოლემიკურ წერილებში ნახმარი გამოთქმა „გაკუჭებულა“. წერილში „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“ (1905 წ.), მაგალითად, ი. ბ. სტალინი წერს: „რა დააშავა „უმრავლესობამ“, რატომ „გაკუჭებულა“ ჩვენი „უმცირესობა“?“ (ტ. 1, გვ. 86). ასევე დასცინის იგი ნ. ჟორდანიას წერილში „პასუხად „სოციალ-დემოკრატს“ (1905 წ.): „რას ამბობს ამის წინააღმდეგ ჩემი მოპირდაპირე? ბევრს არაფერს მაინცდამაინც. ის გინებას უფრო ბევრ დროს ანდომებს, ვიდრე საკითხების გარკვევას. ჩანს, ძალიან გაკუჭებულა!“ (ტ. 1, გვ. 156). წერილში „ჩვენი კავკასიელი კლოუნები“ (1907 წ.) ი. ბ. სტალინი კვლავ უბრუნდება ამ გამოთქმას და იძლევა მის სასაცილო ვარიაციებს: „ჩვენი წერილების გამო, წერს იგი, — მენშევიკურ გაზეთ „ლახვარს“ კუჭი მოსვლია, გაფხუკიანებულა, — ჩანს, კუჭში მოხვედრია

ჩვენი ბრალდება. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან გასართობი ამბავია...“ (ტ. 2, გვ. 39).

ზემოალნიშნული პროვინციული გამოთქმის სერიოზულ თეორიულ წერილებში, პოლემიკის დროს, სასაცილო ფორმით გადმოცემა და პაროდირება, ცხადია, წარმოადგენდა ი. ბ. სტალინის მიერ ქართული ლიტერატურული ენის სიწმინდისათვის წარმოებული ბრძოლის ერთ-ერთ სახეს...

ასეთია მოკლედ და ერთის თვალის გადავლებით საკითხების ის რიგი, რომელიც შეეხება ი. ბ. სტალინის ადრინდელი ნაშრომების ენასა და სტილს, მის თვალსაჩინო წვლილს, შეტანილს ახალი ქართული ლიტერატურული ენის განვითარების საქმეში.

ქართული ბოლშევიკური პროკლამაციების ენა და სტილი

ცარიზმის რეჟიმის პირობებში მშრომელთა ფართო მასების რევოლუციური დარაზმვისა და იდეური ხელმძღვანელობის საქმეში უაღრესად დიდსა და მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ უკვდავი ლენინის იდეებით გასხივოსნებული ბოლშევიკური პროკლამაციები.

ი. ბ. სტალინი მუდამ ხაზგასმით აღნიშნავდა რუსეთის რევოლუციური მოძრაობის გადამწყვეტ გავლენას საქართველოში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმოშობასა და განვითარებაზე. ი. ბ. სტალინი წერდა, რომ „ქართული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა არ წარმოადგენს კერძო, მარტო ქართველ მუშათა მოძრაობას საკუთარი პროგრამით. ის ხელიხელგადახვეულია მთელი რუსეთის მოძრაობასთან და, მაშასადამე, ექვემდებარება რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას“ (ტ. 1, გვ. 6).

არალეგალური ფურცლების გამოცემა ამიერკავკასიაში ფართო ხასიათს იღებს ცხრაასიანი წლების დასაწყისიდან. ამ ფურცლების მაღალ ღირსებაზე მეტყველებენ ლენინური „ისკრის“ (1902 წ. № 25) სტრიქონები: „საუცხოოდ დაწერილი პროკლამაციები გამოდიოდა რუსულ,. ქართულ და სომხურ ენებზე და ავსებდა თბილისის ყველა უბანს“.

თვალსაჩინო ნაწილი ზემოხსენებული პროკლამაციებისა დაწერილი იყო პირადად ი. ბ. სტალინის მიერ.

ი. ბ. სტალინის მიერ დაწერილი პროკლამაციები წარმოადგენენ მარქსიზმ-ლენინიზმის შესანიშნავ ნაწარმოებებს, სადაც ნათელ განმარტებას ჰპოვებენ ბოლშევიკური სტრატეგიისა და ტაქტიკის მთავარი და რთული საკითხები პირველი რევოლუციის მომზადებისა და მისი აღმავლობის პერიოდში.

საკმარისია გავეცნოთ ი. ბ. სტალინის პროკლამაციებს, დაწერილს 1904 — 1906 წლებში, რომ ნათელი გახდეს, თუ რა დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მათი ავტორი ყოველ დაწერილ სიტყვას, ყოველ წინადადებას, რა დიდ მნიშვნელობას აძლევდა იგი შინაარსისა და ფორმის ჰარმონიულობას, ენის სისადავესა და ხალხურობას, მის შეუბღალავ სიწმინდეს, ლენინის დიადი

იდეების გადმოცემას მოკლე, მკვეთრი და ნათელი ფრაზის შემწეობით.

გარდა ზემოხსენებული ნიშნებისა, ი. ბ. სტალინის პროკლამაციები · გამოირჩევიან თავისი მხატვრული ღირსებებითაც. ამ პროკლამაციებში ავტორი ხშირად მიმართავს პოეტურ სახეებსა და შედარებებს, აგრეთვე ხალხურ გამოთქმებს, ანდაზებს და მახვილსიტყვაობას. არაიშვიათად ვხვდებით ამ პროკლამაციებში დამახასიათებელ სტრიქონებსაც ცნობილი პოეტური ნაწარმოებებიდან.

ი. ბ. სტალინის პროკლამაციები მდიდარ მასალას გვაძლევენ მისი სტილისა და წერის თავისებური მანერის გასათვალისწინებლად პოლიტიკურ-პუბლიცისტური ლიტერატურის ამ სპეციფიკურ ჟანრში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმდროინდელი პროკლამაციების საგრძნობი ნაწილი დაწერილი იყო ი. ბ. სტალინის მიერ. მაგრამ ის პროკლამაციებიც, რომელთა ავტორები ჯერ კიდევ არ არიან დადასტურებით გამორკვეულნი, ატარებენ ი. ბ. სტალინის ღრმა აზრისა და ლიტერატურული მანერის ბეჭედს. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ი. ბ. სტალინი, უმეტეს შემთხვევაში, სხვა ამხანაგების მიერ შედგენილ პროკლამაციების ტექსტებსაც გულმოდგინედ უკეთებდა პოლიტიკურსა და ლიტერატურულ რედაქციას.

სანამ უშუალოდ ი. ბ. სტალინის მიერ დაწერილ პროკლამაციებს შევეხებოდეთ, ჩვენ გვინდა მოვიყვანოთ მხატვრული გამოთქმებისა და შედარებების რამდენიმე ნიმუში, რომლებიც სამკაულებად ახლავან ბოლშევიკურ პროკლამაციათა ტექსტებს და აცხოველებენ მათს შთამაგონებელ ძალას.

რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტის 1904 წლის თებერვლით დათარიღებულ პროკლამაციაში, მაგალითად, ძალიან პოეტურად არის გამოთქმული რევოლუციური მუშათა კლასის ღრმა ოპტიმიზმი. „მოვა ჟამი, — წერს პროკლამაციის ავტორი. — და ეს ახლა არც ისე შორსაა, — ხარიპარია განთიადმა კაი ხანია გვიჩვენა თავისი სხივოსანი პირი, იქუხებს მთელ დედამიწის ზურგზე გამოღვიძებული პროლეტარიატი...“ (იხ. „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პროკლამაციები 1904—1906 წ. წ.“. თბილისი, სახელგამი, 1939 წ., გვ. 10).

სხვა ადგილას, იმავე პროკლამაციაში, ავტორი შენიშნავს: „უკვე მოახლოვებულია რევოლუციის ჭარიშხალის გამანადგურებელი ზუზუნი“.

ამგვარ მხატვრულ თქმებთან ერთად პროკლამაციის ტექსტში ვხვდებით რუსთაველის გამონათქვამის მოხერხებულ გამოყენებასაც: „რუსეთი სხვაა,—წერს ავტორი,—და რუსეთის თვითმპყრობელობა სულ სხვაა—„შუა უზის დიდი ზღვარი“,— პოეტის თქმის არ იყოს“ (იქვე, გვ. 9).

ახლა თუ ავიღებთ ი. ბ. სტალინის ხელით დაწერილ პროკლამაციას — „გაუმარჯოს პირველ მაისს“,* ჩვენ ვნახავთ პოლიტიკური აგიტაციის მიზნებისათვის მხატვრულ-პოეტური სტილის შესანიშნავი მომარჯვების ნიმუშს. „ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში, — წერს ი. ბ. სტალინი, — გადაწყვიტეს ყველა ქვეყნის მუშებმა ყოველწლიურად იდღესასწაულონ დღევანდელი დღე... ეს იყო 1889 წელს, როცა ყველა ქვეყნის სოციალისტთა პარიზის კონგრესზე მუშებმა დაადგინეს სწორედ დღეს, პირველი მაისის დღეს, როცა ბუნება ზამთრის ძილისაგან იღვიძებს, ტყეები და მთები მწვანით იმოსება, ველ-მინდორი ყვავილებით ირთვება, მზე უფრო მხურვალედ ათბობს, ჰაერში განახლების სიხარული იგრძნობა, ხოლო ბუნება ფერხულს მართავს და ზეიმობს,—მათ გადაწყვიტეს სწორედ დღეს ხმამაღლა და აშკარად ამცნონ მთელ მსოფლიოს, რომ მუშებს კაცობრიობისათვის მოაქვთ გაზაფხული და კაპიტალიზმის ხუნდებისაგან განთავისუფლება, რომ მუშები მოწოდებული არიან განაახლონ მსოფლიო თავისუფლებისა და სოციალიზმის საფუძველზე“ (ტ. 2, გვ. 233).

---

* დაწერილია მოსკოვში 1912 წლის აპრილის დამდეგს. დაიბეჭდა ფარულად თბილისში ლეკალურ სტამბაში (იხ. ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 425, შენიშ. 101).

1905 წლის დასაწყისში თვითმპყრობელობის აგენტების პროვოკაციის წყალობით, ბაქოში მოეწყო ორი მოძმე ხალხის ურთიერთზე მისევა და ხოცვა-ჟლეტა. იმავე წლის 13 თებერვალს დაწერილ პროკლამაციაში — „გაუმარჯოს საერთაშორისო ძმობას“ — ი. ბ. სტალინი უდიდესი მრისხანებით ამხილებს თვითმპყრობელური რეჟიმის გარეწარ მესვეურთ. აი რა მხატვრული ენით, ამაღლებული პათოსითა და ფოლადისებური ლოგიკით ამათრახებს ი. ბ. სტალინი ცარიზმის არამზადებს: „მეფის მთავრობამ, — ვკითხულობთ ამ პროკლამაციაში, — თავისი ტახტის გასამაგრებლად „ახალი“ საშუალება გამოიგონა. ის შუღლს თესავს რუსეთის ეროვნებებს შორის, ერთმანეთს უსისხლიანებს მათ... გასთიშე და იბატონე—ასეთია მეფის მთავრობის პოლიტიკა. ასე მოქმედებს იგი რუსეთის ქალაქებში... ამასვე იმეორებს კავკასიაშიც. საზიზღარი! მოქალაქეთა სისხლით და ცხედრებით ცდილობს იგი გაამაგროს თავისი საზიზღარი ტახტი! ბაქოში მომაკვდავ სომეხთა და თათართა კვნესა; ცოლების, დედების, ბავშვების ცრემლი; სისხლი, უდანაშაულოდ დაღვრილი სისხლი პატიოსანი, მაგრამ შეუგნებელი მოქალაქეებისა; შეშინებული სახეები უმწეო ადამიანებისა, რომლებიც გარბიან, რომ სიკვდილს გადაურჩენ; დანგრეული სახლები, გაძარცული მაღაზიები და ტყვიის სა-

შინელი, განუწყვეტელი ზუზუნი, — აი რით ამაგრებს თავის ტახტს მეფე — პატიოსან მოქალაქეთა მკვლელი“ (ტ. 1, გვ. 79-80).

აღწერს რა გამომეტყველ და პლასტიკურ სახეებში ძმათა შორის სისხლის ღვრის საშინელ სურათს, ი. ბ. სტალინი პროკლამაციის დასკვნითს ნაწილში მოუწოდებს სხვადასხვა ერთა მშრომელებს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ სოლიდარული და მედგარი ბრძოლისაკენ.

აქ, სხვათა შორის, არ შეგვიძლია არ გავიხსენოთ მოხუცი აკაკი წერეთლის პოზიცია სომეხთათართა შორის ამტყდარი საძმათაშორისო ხოცვა-ჟლეტის მიმართ. კავკასიის ხალხთა ისტორიის ამ უაღრესად დრამატულ მომენტში დიდმა ქართველმა პოეტმა და მოქალაქემ აღიმაღლა თავისი ავტორიტეტული ხმა და ურთიერთზე მისეულ მოძმე ერებს მიმართა ლექსით („რჩევა მოძრაობის დროს“), სადაც შერიგებისაკენ მოუწოდებდა მათ და წინადადებას აძლევდა საერთო ძალებით, ვაჟკაცურად გამკლავებოდნენ მეფის ბიუროკრატიას:

„ღვთის მადლსა, რა დროს ეს არის:
ძმა ძმაზე ლესავს ხანჯალსა?!
იღუპებიან ორივე,
არც ღონეს ზოგვენ, არც ძალსა.

ორივეს მტერი ერთია
შორეული, გადამთიელი;
ერთ ტაფაშია ორივე,
ერთი ადგიათ ულელი!..

შეერთდით, ძმებო! შეერთდით!
ხელი ხელს მიეცით ძმურად
და მტერს დაუბნედით გარეშეს
თამამად... ვაჟკაცურადა!..“

იცნობდა თუ არა მოხუცი აკაკი ახალგაზრდა ი. ბ. სტალინის ისტორიული პროკლამაციის შინაარსს? ამის შესახებ ჯერჯერობით არაფრის თქმა არ შეგვიძლია. ის კი ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს ლექსი, სადაც პოეტური სტრიქონებით გამოთქმულია ი. ბ. სტალინის პროკლამაციაში გამოხატული ერთა სოლიდარობისა და ცარიზმისადმი დაპირისპირების ცხოველმყოფელი იდეა, სასახელო დოკუმენტს წარმოადგენს არა მარტო დიდი ქართველი მგოსნის შემოქმედებაში, არამედ მთელ ქართულ პოეზიაშიც.

1905 წლის მარტში რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი პროკლამაციით მიმართავს ქართლ-კახეთის გლეხკაცობას, რომელიც ამ დროს უკვე აზვირთებულია თვითმპყრობელურ - მემამულური რეჟიმის მჩაგვრელი ძალის წინააღმდეგ.* ეს პრო-

* იხ. „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პროკლამაციები, 1904 — 1906 წ. წ.“. თბილისი, 1939 წ., გვ. 111—118.

კლამაცია ყოველმხრივ საინტერესო დოკუმენტს წარმოადგენს. ქართველი გლეხკაცობის მძიმე და გაუხარელი ცხოვრების ღრმა ცოდნა მოჩანს მის ყოველ სტრიქონში. ტექსტი დაწერილია გლეხური მასებისათვის გასაგები, მარტივი და სადა, გულში ჩამწვდომი ენით. ამავე დროს პროკლამაცია ისე იკითხება, როგორც მხატვრული ნაწარმოები.

პოეტური ალღოთი დაჯილდოებული, გამოცდილი ლიტერატორის კალამი იგრძნობა პროკლამაციის საერთო სტილსა და კომპოზიციურ წყობაში.

აბა დაუკვირდით, რა მოკლე, მკვეთრი, ამასთან ღრმააზროვანი და მნიშვნელოვანი ფრაზებით იწყება ეს მოწოდება, ცეცხლმოდებული პატრუქის მსგავსად გადასროლილი შურისძიებით მძვინვარე გლეხურ მასაში:

„გატყდა ძველი დროება. დაირღვა სოფლის მყუდროება. სოფელმაც გაახილა თვალი და ახმაურდა. გუშინ ქედწახრილმა, მიწასთან გასწორებულმა გლეხკაცობამ დღეს თავი მაღლა აიღო, წელში გაიმართა და ამაყად შესძახის სისხლის მწოველებს: ჩ ვ ე ნ ც ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ი ვ ა რ თ და ა დ ა მ ი ა ნ უ რ ც ხ ო ვ რ ე ბ ა ს ვ ი თ ხ ო ვ თ ო!.. და განა დრო არ იყო გამოღვიძებისა? გადახედეთ წარსულს. გახსოვთ „ბატონყმობის გადავარდნა“, როცა მეფის მთავრობამ საჯაროდ გამოაცხადა:

ბატონყმობა აღარ არის, დღეიდან თავისუფალი იქნებითო?“...

შემდეგ პროკლამაციაში მხილებულია მეფის მთავრობის მიერ ჩატარებული „საგლეხო რეფორმის“ მთელი სიყალბე, გლეხების უსინდისო მოტყუება, მათი მამაპაპეული მიწების მებატონეთათვის მიკუთვნების უსამართლობა. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ გლეხობას ორმაგი ტვირთი დაეწვა: საბატონო გადასახადებს სახელმწიფო გადასახადებიც მიემატა, მემამულეების უღელთან ერთად მეფის უღელიც დაადგეს გლეხკაცობას.

„წყევლა და სიკვდილი მეფის მთავრობას, — ვკითხულობთ პროკლამაციაში, — რომელმაც ასე ახლართ-დახლართა ჩვენი გაჭირვებული ცხოვრება! თუ ერთი უღელი სამძიმო იყო ჩვენთვის, ორი უღელი უფრო დაგვამძიმებდა. და აი, გაჭირდა ცხოვრება, შიმშილობა შემოგვეპარა, ჩვენი ცოლშვილი შიშვლად დაიარება, მეტი მოთმენა შეუძლებელია. ჩვენს გაჭირვებაში ქვაც კი ხმას ამოიღებს. დაფიქრდით აბა. ის, ვინც დედამიწას გული გაუხსნა და ზურმუხტად აახავერდა, ვინც ტყეები გაჩეხა და სოფლები გააშენა, ვინც წელებზე ფეხს იდგამს და დღე-მუდამ ოფლს იწურავს, ის, ვინც ქვეყანას ძუძუს აწოვებს — ის ხალხი გლეხკაცობაა; და აი, სწორედ ეს ხალხია დღეს სიღარიბესა და შიმშილობაში ჩავარდნილი. დიახ, მე-

ტი მოთმენა შეუძლებელია, აქ ქვაც კი ხმას ამოიღებს“...

შემდეგ პროკლამაციის ტექსტი შეიცავს რევოლუციური გლეხკაცობის მოთხოვნებს, რომელთა რეალიზაციამ უნდა მოუპოვოს მას ადამიანური ცხოვრება.

პროკლამაციის ავტორი ცდილობს გამოიყენოს გლეხური ფიგურალური თქმები, ხალხში ხმარებული მოსწრებული სიტყვები. ასეთებია, მაგალითად: „სულამდე ხელი ჩაგვაწვდინეს, თავისუფლება მოგვისპეს“; „ორ უღელში შებმულნი სიღარიბისა და შიმშილობის კერძად გადაგვაქციეს“; მეფის მთავრობის მოხელეებს ავტორი გლეხური გამოთქმით „მუქთაყლაპიებს“ უწოდებს, „როგორც ძაღლისაგან ბატკანი ვერ დაიბადება, — წერს იგი,—ისე ამ მთავრობისაგან სიკეთეს არას უნდა ველოდეთ“.

დიდი მგზნებარებით და ტემპერამენტით არის დაწერილი ბოლშევიკური პროკლამაციები პირველი რევოლუციის ქარიშხლის ამოვარდნის ჟამს. 1905 წლის ივლისშია შედგენილი კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის შესანიშნავი პროკლამაცია, დაბეჭდილი ქუთაისის ბოლშევიკურ არალეგალურ სტამბაში.

„პროლეტარიატი იბრძვის, პროლეტარიატი არ ცხრება, — ამ სიტყვებით იწყება პროკლამაცია,—

მისი მადლიანი რევოლუციური მარჯვენა სასტიკი სიძლიერით ხვდება გაკოტრებულ-გათახსირებულ თვითმპყრობელობის გვერდებს და სახიკვდილოდ ჰკოდავს მის დაავადებულ სულსა და გულს. მთელ რუსეთს რევოლუციის ცეცხლი ედება. იტრუსება ორთავიანი არწივის ფრთები, ირყევა მეფის სამფლობელო. ძრწის შეშინებული მტარვალობა, იმსხვრევა ძველი ფეოდალური მონობის ბორკილები. მაგრდება, მტკიცდება დროშა სამართლიანობისა და თავისუფლების, დროშა შრომის განთავისუფლების და თანასწორობისა. და აი, ყველა ამაებში რევოლუციური მუშა ხალხი თამაშობს მთავარ როლს, მებრძოლი პროლეტარიატი ახდენს ამ ღრმა ცვლილებებს. პირველად მან აახროტინა ხალხის სისხლით შეთითხნილი მთავრობა, მან ჩააჩოქა, მან წააბორძიკა თვითმპყრობელობის გველეშაპი"... *

ბოლშევიკური პროკლამაციების ტექსტი, იმისდა მიხედვით, თუ რა შინაარსს ატარებდა იგი, რომელ საზოგადოებრივ ფენისადმი იყო მიმართული, — იცვლიდა თავის ლექსიკურ შემადგენლობას, ინტონაციურ ხასიათს.

თავისებური სტილისტურ-ლექსიკური სპეციფიკურობით ხასიათდებოდნენ და ერთმანეთისაგან

* „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პროკლამაციები 1904—1906 წ. წ.". თბილისი, 1939 წ., გვ. 141.

განირჩეოდნენ გლეხების, მუშების, ჯარისკაცებისა და საერთოდ მოქალაქეთა ფართო მასებისათვის განკუთვნილი პროკლამაციები.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ქართლ-კახეთის გლეხკაცობისადმი მიმართული პროკლამაცია დაწერილია გლეხური მასებისათვის გასაგები, მარტივი ენით. პროკლამაციის ტექსტში ოსტატურად არის გამოყენებული ხალხური გამოთქმები, გლეხისთვის ნაცნობი ბუნების სურათები, სოციალური გარემოს ნივთიერი სამყარო და სხვ.

რევოლუციური მოძრაობის აზვირთების დღეებშია დაწერილი ი. ბ. სტალინის შესანიშნავი პროკლამაცია „ყველა მუშას“.

იწყება იგი რევოლუციური ქარტეხილის შესანიშნავი აღწერით:

„რევოლუცია გრგვინავს! რუსეთის რევოლუციური ხალხი ყალყზე შედგა და საიერიშოდ შემოერტყა მეფის მთავრობას! ფრიალებს წითელი დროშები, შენდება ბარიკადები, იარაღს ისხამს ხალხი და იერიშით მიდის სახელმწიფო დაწესებულებებზე. კვლავ გაისმა მამაცთა ყიჟინა, კვლავ ამღერდა მიყუჩებული ცხოვრება. რევოლუციის გემმა იალქანი აუშვა და თავისუფლებისაკენ გაეშურა. ამ გემს რუსეთის პროლეტარიატი ხელმძღვანელობს!“..

თავდება პროკლამაცია მედგარი ბრძოლისაკენ

მოწოდებით: „დაე უფრო მძლავრად დასჭექოს მეხმა, დაე უფრო მძლავრად დაჰქროლოს ქარტეხილმა! გამარჯვების წამი მოახლოვდა!“ (ტ. 1, გვ. 180—182).

ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ი. ბ. სტალინი თავის პროკლამაციებში (ისევე, როგორც სხვა ნაწერებშიც) არაიშვიათად იყენებდა ცალკეულ სტრიქონებს ცნობილი რევოლუციური ლექსებიდან. მაგალითისათვის შეიძლება დასახელებულ იქნას 1905 წლის 8 იანვარს დაწერილი პროკლამაცია სათაურით: „კავკასიის მუშებო, დროა შური ვიძიოთ“.

ამ პროკლამაციაში ერთ ადგილას ვკითხულობთ: „რუსეთის რევოლუცია გარდუვალია. იგი ისევე გარდუვალია, როგორც გარდუვალია მზის ამოსვლა! განა შეგიძლიათ შეაჩეროთ მზის ამოსვლა?“ ამ მხატვრულად გამოთქმულ აზრს ცოტა ქვემოთ მოსდევს სტრიქონი: „უკვე იწყება ქარიშხალი, გარიჟრაჟის მაუწყებელი“ (ტ. 1, გვ. 77).

ეჭვი არაა, რომ ეს სტრიქონი ანალოგიურია ირ. ევდოშვილის სტრიქონისა ლექსიდან „სიმღერა“ (1900 წ.), რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა საქართველოს მუშათა მასებში. გავიხსენოთ დასაწყისი სტროფები ამ სახელგანთქმული რევოლუციური ლექსისა:

„რაც უნდ ღამე იყოს ბნელი ,
ცა ღრუბლებით მოიბედოს,
არსად ჩანდეს ვარსკვლავები,
მთვარემ გზა ვერ გაიკვეთოს:

მაინც ველით განთიადსა,
არ შედრკება ჩვენი გული,
უკვე ადგა ქარიშხალი,
განთიადის მოციქული!“* და სხვ.

ი. ბ. სტალინი, შესანიშნავი მცოდნე და დამფასებელი ქართული რევოლუციური პოეზიისა, როგორც ვხედავთ, საჭირო შემთხვევებში მარჯვედ იყენებდა მის ნიმუშებს ფართო სააგიტაციო მიზნებისათვის.

ასეთია ბოლშევიკური პროკლამაციებისა და მათ შორის პირადად ი. ბ. სტალინის მიერ დაწერილი პროკლამაციების სტილი, მხატვრული ღირსებანი, ენობრივი თავისებურებანი.

* ირ. ევდოშვილის თხზულებანი, 1953 წ., ტ. I, გვ. 39.

ქართული მუშათა რევოლუციური პოეზიის სათავეებთან

ქართულ არალეგალურ და ლეგალურ ბოლშევიკურ პრესაში, 1901 — 1907 წლების მანძილზე, თეორიული და პარტიულ-პოლიტიკური ხასიათის სახელმძღვანელო წერილებთან ერთად, მუშათა კლასის განმათავისუფლებელი მოძრაობის ამსახველი მასალების გვერდით სისტემატურად იბეჭდებოდა რევოლუციური შინაარსის ორიგინალური და თარგმნილი მხატვრული თხზულებანი. მათ შორის, თავისი რაოდენობითა და აგრეთვე მნიშვნელობითაც, მთავარი და საპატიო ადგილი ეკავათ ლექსებსა და სიმღერებს.

რევოლუციური პოეზია, აღმოცენებული მუშათა კლასის წიაღში და გამოვლინებული ბოლშევიკური პრესის ფურცლებზე, მჭიდროდ უკავშირდებოდა პარტიის საერთო საბრძოლო მიზნებსა და ამოცანებს. ეს სიმღერები და ლექსები მეტად ბასრ იარაღს წარმოადგენდნენ იმ სასტიკსა და შეუ-

პოვარ კლასობრივ ბრძოლაში, რომელსაც საქართველოს მშრომელები აწარმოებდნენ თვითმპყრობელური რეჟიმისა და კაპიტალისტური წყობის წინააღმდეგ.

დიდი ბელადები—ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი მუდამ დიდსა და საპატიო როლს ანიჭებდნენ მხატვრულ ლიტერატურას მუშათა კლასის საერთო განმათავისუფლებელ მოძრაობაში. თავის კლასიკურ ნაშრომში: „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ (1905 წ.) ვ. ი. ლენინმა მკვეთრი და ნათელი ფორმულის სახით წამოაყენა ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი, კატეგორიული მოთხოვნა იმისა, რომ ლიტერატურული საქმე უსათუოდ და აუცილებლად გამხდარიყო სოციალ-დემოკრატიული პარტიული მუშაობის შემადგენელ ნაწილად.

მოსყიდულ ბურჟუაზიულ ლიტერატურასთან დასაპირისპირებლად ვ. ი. ლენინმა წამოაყენა ჭეშმარიტად თავისუფალი, პროლეტარიატთან აშკარად დაკავშირებული, სოციალიზმის იდეებით გამსჭვალული ლიტერატურის პრინციპი. ეს ლიტერატურა, ვ. ი. ლენინის სიტყვით, მოწოდებული იყო ემსახურნა „მილიონობით და ათეული მილიონობით მშრომელებისათვის, რომლებიც შეადგენენ ქვეყნის მშვენებას, მის ძალასა და მომავალს“.

ლიტერატურის პარტიულობის ლენინური პრინ-

ციპი საფუძვლად ედო იმ პოეტურ ნაწარმოებებს, სწორედ იმ ლექსებსა და რევოლუციურ სიმღერებს, რომლებმაც თავიანთი გამოვლინება ჰპოვეს ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით გამოცემულ ქართულ გაზეთებში. დიდი სტალინი, როგორც ორგანიზატორი და ხელმძღვანელი ბოლშევიკური პრესისა, ამ პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ მხატვრულ ნაწარმოებებს მიზნად უსახავდა მშრომელ მასებში რევოლუციური იდეების დანერგვას და ღრმა პროტესტის გაღვივებას უსამართლო სოციალური და პოლიტიკური წყობის წინააღმდეგ.

პირველი ქართული ბოლშევიკური გამოცემა, რომელმაც თავის ფურცლებზე ფართო ადგილი დაუთმო მუშათა რევოლუციურ პოეზიას, იყო ი. ბ. სტალინისა და ლადო კეცხოველის ხელმძღვანელობით შექმნილი ლენინურ-ისკრული მიმართულების გაზეთი „ბრძოლა“.

ეს პირველი არალეგალური ქართული გაზეთი 1901 - 1902 წლების მანძილზე გამოდიოდა. სულ გამოიცა ამ გაზეთის ოთხი ნომერი: № 1—1901 წ. სექტემბრისა, № 2-3 (შეერთებული)—იმავე წლის ნოემბერ-დეკემბრისა და № 4—1902 წლის დეკემბრისა.

გაზეთი „ბრძოლა“ პირველი ნომრის მოწინავე წერილში, რომელიც ი. ბ. სტალინის კალამს ეკუთვ-

ნის, ქართული თავისუფალი გაზეთის როლისა და დანიშნულების შესახებ წერდა: „ქართული გაზეთი ვალდებულია გააცნოს მკითხველებს ყველა პრინციპული თეორიული და ტაქტიკური საკითხი. ამავე დროს იგი ვალდებულია უდგეს სათავეში ადგილობრივ მოძრაობას და ყოველ მოვლენას ააშკარავებდეს ჯეროვნად, არ დატოვოს არც ერთი ფაქტი აუხსნელად და მისცეს პასუხი ყოველ კითხვაზე, რომელიც აწუხებს ადგილობრივ მუშებს“... „გაზეთი, — ვკითხულობთ ქვემოთ იმავე მოწინავეში,— როგორც სოციალ-დემოკრატების ორგანო, უნდა უდგეს სათავეში მუშათა მოძრაობას, უჩვენებდეს მას გზას, აცილებდეს მას თავიდან შეცდომებს. ერთი სიტყვით, გაზეთის უპირველესი მოვალეობაა, რომ იგი იდგეს რაც შეიძლება ახლოს მუშათა მასასთან, ჰქონდეს საშუალება მუდამ იქონიოს მასზე გავლენა, იყოს მისი შეგნებული და ხელმძღვანელი ცენტრი“.

სთვლიდა რა ქართველ მშრომელთა ბრძოლას რუსეთის რევოლუციური მოძრაობის განუყოფელ ნაწილად, ი. ბ. სტალინი იმავე მოწინავე წერილში აღნიშნავდა: „გაზეთი ვალდებულია განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს რუსეთის პოლიტიკურ მდგომარეობას, აღნუსხოს ყოველი შედეგი ამ მდგომარეობისა და რაც შეიძლება ფარ-

თოდ დააყენოს საკითხი პოლიტიკური ბრძოლის საჭიროებაზე"*.

გაზეთი „ბრძოლა" ჩინებულად ასრულებდა ი. ბ. სტალინის მიერ დასახულ ამოცანებს. თავის იდეურ-პოლიტიკურ აღმზრდელობითს გავლენას საქართველოს მუშათა კლასზე და მშრომელთა ფართო მასებზე იგი ახორციელებდა არა მარტო პრინციპული ხასიათის თეორიული და პუბლიცისტური წერილებით, არამედ პოეტური, მხატვრული სიტყვის საშუალებითაც.

გაზეთში მოთავსებულ ლექსებსა და სიმღერებს, როგორც ორიგინალურს, ისე თარგმნილს, ახასიათებდა მაღალი იდეურობა, მძაფრი სოციალური და პოლიტიკური მიზანდასახულობა, თემატიკის აქტუალობა, საზოგადოებრივად მნიშვნელოვან მოვლენებზე სწრაფი გამოხმაურება, რევოლუციური პათოსი და მებრძოლი, მოწოდებითი ტონი.

სანამ არსებითად შევეხებოდეთ გაზეთ „ბრძოლაში" დაბეჭდილ მხატვრულ მასალას, ზედმეტი არ იქნება აღვნიშნოთ ერთი მეტად დამახასიათებელი გარემოება—სახელდობრ ის, რომ გაზეთის რედაქცია უდიდეს ყურადღებას აქცევდა და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა თავის

---

* ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 7—8.

ფურცლებზე მოთავსებული წერილებისა და კორესპონდენციების გარეგნულ ფორმას. გაზეთი ცდილობდა, რომ სტილი ამ წერილებისა ყოფილიყო სადა, გასაგები, ქართული ენის ბუნებასთან ზედმიწევნით შეგუებული, ამავე დროს მოხდენილი და ლამაზი, მხატვრული სახეებითა და შედარებებით გამდიდრებული და გამშვენებული.

საკმარისია წავიკითხოთ „ბრძოლის“ პირველი ნომრის პირველ გვერდზევე, მეთაური წერილის წინ მოთავსებული მოკლე მიძღვნა გაზეთის მუშა მკითხველებისადმი, რომ დავრწმუნდეთ, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა ამ გაზეთში პოეტური ფერადებით შემკულ, ძარღვიან ქართულ სიტყვას. მოგვყავს სანიმუშოდ ტექსტი ამ მოკლე, მკვეთრი და ამავე დროს ღრმა შინაარსით აღსავსე ნაწარმოებისა, რომელიც „მუშის“ ფსევდონიმით არის ხელმოწერილი და უნდა ეკუთვნოდეს ლადო კეცხოველის კალამს*.

„მ ი ი ღ ე თ და შ ე ი ტ კ ბ ე თ! — ამ სიტყვებით იწყება ეს დოკუმენტი, — ვუძღვნი ჩემს უძვირფასეს ამხანაგებს, ჩემთან ჰირში და ლხინში შეზრდილთ, რკინის გრდემლივით ცეცხლში გამოწრთობილთ, ცხოვრების წაღმა-უკუღმა ტრიალში მებრ-

* ამის შესახებ ცნობა დაცულია მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში.

ძოლ, უშიშარ გმირთ, სიმართლისათვის თავდადებულთ, ადამიანის ზნეობრივად ამამაღლებელთ, დავრდომილთა და ჩაგრულთა გამამხნევებელთ, უსამართლობის ბორკილთა დამლეწთ, ადამიანის შემბორკავ ჯაჭვთა დამამსხვრეველთ, მეცნიერების გამანთავისუფლებელთ, შემზარავ საპყრობილეთა დამნგრეველთ, მანდილოსანთა პატიოსნების აღმადგენელთ, ბნელში მანათობელთ და გასალკლდეებულ ვაჟკაცთ, თავისუფლების, სიყვარულის და ერთობის დროშის მატარებელთ, ერთგულ და სიმართლისათვის ტანჯულ-წამებულ ამხანაგებს!“

ასეთია ეს შესანიშნავი მიმართვა, — მგზნებარე რევოლუციური პათოსით ანთებული, ვაჟკაცური სულით აღსავსე, სიტყვის მედგარი ძალის შეგნებითა და მხატვრული გემოვნებით აღბეჭდილი.

თუ რაოდენ საპატიო ამოცანა ეკისრებოდა პოეტურ ნაწარმოებებს რევოლუციური იდეების პროპაგანდის საქმეში, ამას საუკეთესოდ ნათელყოფს სიხშირე მათი ბეჭდვისა ბოლშევიკური გაზეთების ფურცლებზე. ასე, მაგალითად, „ბრძოლის“ ოთხ ნომერში გამოქვეყნდა ექვსი ლექსი, მათ შორის ორი ნათარგმნი; გაზეთ „ახალ დროებაში“, რომელიც 1906 წელს სულ 6 ნომერი გამოვიდა, დაიბეჭდა რვა ლექსი, მათ შორის ერთი ნათარგმნი.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას,

რომ ბოლშევიკურ გაზეთებში ლექსებთან ერთად იბეჭდებოდა სატირული ფელეტონები, მხატვრულ-პუბლიცისტური ნარკვევები და მხატვრული პროზის სხვა ნიმუშები, ჩვენთვის ცხადი გახდება ის ყურადღება, რომელიც ექცეოდა პარტიისა და პირადად ი. ბ. სტალინის მხრივ მხატვრულ ლიტერატურას პარტიული პრესის ფურცლებზე.

„ბრძოლის“ პირველი ნომერი გამოვიდა 1901 წლის ისტორიული საპირველმაისო დემონსტრაციის შემდეგ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ი. ბ. სტალინი და რომელიც უაღრესად მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენდა საქართველოსა და ამიერკავკასიის მუშათა რევოლუციურ მოძრაობაში, მის დასაწყის ეტაპებზე.

მუშათა დემონსტრაციამ თბილისის ქუჩებში უდიდესი რევოლუციური ზემოქმედება მოახდინა მთელ კავკასიაზე. თბილისის დემონსტრაციის შესახებ ლენინური „ისკრა“ წერდა:

„ის ამბავი, რომელიც კვირას, 22 აპრილს * მოხდა თბილისში, ისტორიულად ღირსშესანიშნავია მთელი კავკასიისათვის: ამ დღიდან კავკასიაში იწყება აშკარა რევოლუციური მოძრაობა“ („ისკრა“, № 6, 1901 წლის ივლისი).

---

* მაისობის დღედ დანიშნულ იქნა პირველი კვირადღე პირველი მაისის შემდეგ; ეს დღე ძველი სტილით 22 აპრილზე მოდიოდა.—ა ვ ტ.

გაზეთმა „ბრძოლამ“ ამ ისტორიულ ფაქტს თავის პირველსავე ნომერში მიუძღვნა საინფორმაციო ცნობა და საგანგებოდ ამ თემაზე დაწერილი ლექსი „ოცდაორ აპრილს“, „შავბიჭას“ ფსევდონიმით ხელმოწერილი.

„თბილისი არასდროს არ მოსწრებია იმგვარ მოძრაობას,—წერდა გაზეთი,—როგორც წრევანდელს; ჯერ არ გათავებულიყო შარშანდელი შესანიშნავი გაფიცვა რკინიგზის მუშებისა, რომ ახალი გაფიცვები ერთი მეორეს მოჰყვა, მუშების მოძრაობამ უმაღლეს წერტილამდე მიაღწია და ოცდაორ აპრილს მოქმედება ქუჩაზე გადმოვიდა“.

ეს საპირველმაისო დემონსტრაცია „ბრძოლამ“ უფრო დაწვრილებით აღწერა მომდევნო ნომერში (№ 2 3) და სათანადო პოლიტიკური შეფასება მისცა მას. აი როგორაა აღწერილი ეს დემონსტრაცია სტატიაში „მუშათა მოძრაობა კავკასიაში 1899—1901 წ. წ.“ (მოგვყავს ნაწყვეტები):

„22 აპრილს, თბილისში, შიგ შუა ქალაქში, დღის შუაგულ, ურიცხვი ხალხის თვალწინ აფრიალდა წითელი დროშა, მუშათა საერთაშორისო რევოლუციური დროშა, შემკული მუშების დიდებულ მოძღვართა სურათებით და შესანიშნავი დევიზის ზედწარწერით: „ყველა ქვეყნის მუშებო, შეერთდით!“ და სხვ. დროშის აფრიალებასთან ერთად გაისმა მედგარი ხმები: „გაუმარჯოს პო-

ლიტიკურ თავისუფლებას!“, „ძირს ტირანია!“ და სხვ.“

შემდეგ გაზეთი, ეხება რა დემონსტრაციის შემადგენლობას, დაწვრილებით გვიამბობს მუშების შეტაკების ამბავს პოლიციასთან. „თვალის დახამხამებაში,—წერს გაზეთი,– (დემონსტრაციას.—ლ. ა.) დაესხა თავს ურიცხვი ცხენოსანი ჯარითურთ თავით ფეხამდე შეიარაღებული პოლიცია, რომელიც ჯერ კიდევ ერთი კვირის წინადვე შესდგომოდა მზადებას ამ შემთხვევის ასაცილებლად... და მთელი ქალაქი საომარ ფეხზე დაუყენებია. დიახ, თავს დაესხნენ მუშებს და ასტყდა კიდეც შემზარავი ხელჩართული ომი. პოლიციის და ჯარის გამხეცება უკიდურეს წერტილს გადასცდა და ბევრი მუშა მხოლოდ ბედმა გადაარჩინა სიკვდილს, თუმცა სასიკვდილოდ კი იყო დაჭრილი და ნაცემ-ნაგვემი. რასაკვირველია, ხეირი არც მტრებს დაჰყრიათ და მუშებმა, თავისი სწორედ გმირული თავდაცვის დროს, რამდენიმე მათგანს საგრძნობელი დაღი დაამჩნიეს, მძიმედ დასჭრეს რა ერთი პრისტავი მისი გარადავოითურთ. რაღა თქმა უნდა, ამ დროს ბევრი მუშა შეიპყრეს და დაატუსაღეს...“.

„ 22 აპრილმა, — დასძენს გაზეთი, — ჩვენს მუშებს უკვე სავსებით დაანახვა და საბოლოოდ დაარწმუნა, რომ დღესდღეობით ყველაზე უფრო

საჭიროა ბრძოლა მთავრობასთან, ბრძოლა პოლიტიკური თავისუფლების მოსაპოებლად“ *.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ დიდმნიშვნელოვან მოვლენას ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში გაზეთმა „ბრძოლამ“ თავის ფურცლებზე მიუძღვნა საგანგებოდ ამ შემთხვევისათვის დაწერილი ლექსი. ეს პოეტური ნაწარმოები უსათაუროა და შვიდი სტროფისაგან შესდგება.

სანიმუშოდ გვინდა მოვიყვანოთ პირველი სამი სტროფი ამ ლექსისა.—იგი წარმოდგენას მოგვცემს ნაწარმოების იდეურ შინაარსზე და მის მხატვრულ თავისებურებაზედაც:

ოცდა ორ აპრილს, ოცდა ორ აპრილს
არ დაივიწყებს ჩამომავლობა!.
ყველას აუჭგერს სიამით გულსა
მუშა ხალხისა გმირთა-გმირობა.

და გმირთა-გმირებს, წინამორბედებს,
დაედგათ ძეგლი ხელუხლებელი,
მათ, ვინც შელეწა და დააბსტვრია
საერთო ტაძრვის მძიმე უღელი.

მათ, ვინც შესწირა, ზვარაკად დადგა
თავი მოძმეთა საჭირნახულოდ,

---

* „ბრძოლა“, 1901 წ., № 2—3, გვ. 12—13, წერილი: „მუშათა მოძრაობა კავკასიაში 1899—1901 წ. წ.“

არ შეუშინდა მტარვალთა მახვილს,
დროშა აღმართა სასიხარულოთ...

და სხვ.

როგორც ვხედავთ, პოეტი თავის აღტაცებულ სტრიქონებს უძღვნის იმ გმირთა გმირებს საქართველოს მუშათა კლასიდან, იმ „წინამორბედებს“, ვინც 1901 წლის საპირველმაისო დემონსტრაციაზე მედგრად შეებრძოლა ხალხის მჩაგვრელებს და თამამად ასწია ჰაერში წითელი დროშა.

ავტორი ლექსის მეორე ნახევარში პოეტურად განმარტავს ამ დროშის მნიშვნელობას, იმ დიად შინაგან აზრს, რომელსაც გამოხატავდა მისი ამაყი ფრიალი. ავტორის სიტყვით, წითელი დროშა გულისხმობს მუშათა კლასის თავისუფლებასა და ერთობას, განურჩევლად ეროვნებისა; იგი ჭეშმარიტებისა და სიმართლისათვის ბრძოლის სიმბოლოა; მან ნუგეში უნდა სცეს სოციალურად დაბეჩავებულ მასებს; კლასობრივი ბრძოლის ქარცეცხლში ეს დროშა „მუშის სისხლითა და ოფლით არის შეზავებული და დამძიმებული“. დასასრულ პოეტი გარკვეულ მისამართსაც აძლევს წითელი დროშის ქვეშ მებრძოლ ამხანაგებს. მისი სიტყვით, მუშათა კლასის ალამი არის არა მარტო „ბურჟუას ძირიანად მომსპობი და ამომგდები“, არამედ საზოგადოების იმ ფენებისაც, ვისაც ბურჟუაზიის „დუდუკისათვის ფეხი აუყოლებია“; ეს

დროშა, ავტორის ღრმა რწმენით, კაცობრიობისათვის მიმნიჭებელია ბედნიერი ცხოვრებისა,—„იმ დღის, როდესაც ყველგან, ყოველთვის ინტარყოფებს სული ყოველი“.

ასეთია ლექსის შინაარსი და მისი იდეური გამიზნულობა. იგი კარგად გამოხატავს მებრძოლი რევოლუციონერის უშუალო განცდებსა და ფიქრებს.

ფსევდონიმი „შავბიჭა“, რომლითაც ხელმოწერილი იყო ეს ლექსი, ეკუთვნოდა რევოლუციონერ ლადო იოსების-ძე იაშვილს (1872 — 1910). ლადო იაშვილი ადრე ჩაება რევოლუციურ მუშაობაში. იყო აქტიური მონაწილე 1905 წლის რევოლუციისა საქართველოში, რისთვისაც მეფის ხელისუფლების მხრივ სასტიკ დევნას განიცდიდა. მისი პიროვნების დასახასიათებლად შეიძლება მოვიგონოთ ის ფაქტი, რომ ერთხელ, როდესაც იგი დაპატიმრებული მიჰყავდათ, მატარებლიდან გაექცა თავის მცველ ჯარისკაცებს. რამდენიმე ხნის შემდეგ მეფის ჟანდარმებმა ლადო იაშვილი მაინც ჩაიგდეს ხელში. იგი გადაასახლეს ირკუტსკის გუბერნიაში, სადაც 38 წლისა ჭლექისაგან დაიღუპა *.

---

* ცნობები ამოკრეფილია ლადო იაშვილის საბიოგრაფიო მასალებიდან, რომელიც ინახება მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში.

ლადო იაშვილი, რევოლუციურ მოღვაწეობასთან ერთად, ლიტერატურულ შრომასაც ეტანებოდა: თანამშრომლობდა პერიოდულ გამოცემებში, წერდა ლექსებს, აგროვებდა ზეპირსიტყვაობის ნიმუშებს.

მისი ლექსები „ლასინის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულია „კვალში“ (1896 წ.) და „ჯეჯილში“ (1897 წ.). ამავე „ჯეჯილშია“ მოთავსებული მის მიერ ჩაწერილი ხალხური ანდაზები და ლექსები (1898 წ.).

1900 წელს ლ. იაშვილმა ლექსი უძღვნა გარდაცვლილ გიორგი წერეთელს და წაიკითხა იგი მწერლის დაკრძალვის დროს.

სავსებით ბუნებრივია, რომ პოეტი-რევოლუციონერი უყურადღებოდ არ დატოვებდა ისეთ თვალსაჩინო მოვლენას, როგორიც იყო საპირველმაისო დემონსტრაცია, რომლის მონაწილეც თვითონ იყო.

განვლეს წლებმა. საბჭოთა ხალხმა არ დაივიწყა ის მედგარი გმირები, რომლებიც შეუპოვრად იბრძოდნენ ლენინისა და სტალინის დიდი დროშის ქვეშ და დაეცნენ ამ თავგანწირულ ბრძოლაში.

1941 წლის გაზაფხულზე, როცა ჩვენმა საბჭოთა პრესამ აღნიშნა 1901 წლის დემონსტრაციის ორმოცი წლის თარიღი, სხვა მებრძოლთა შორის მოგონებულ იქნა „ბრძოლაში“ დაბეჭდილი ლექსის

ავტორიც. იმ დღეებში ქართული საბჭოთა მწერლობაც, თავისი თვალსაჩინო წარმომადგენლის სახით, მხურვალედ გამოეხმაურა „პირველ მაისის პირველ მომღერალს“. აქ ჩვენ ვგულისხმობთ პოეტ ა. აბაშელის ლექსს, რომელიც ავტორმა უძღვნა ლადო იაშვილის ხსოვნას. ამ ნაწარმოებში საუცხოოდ არის გამოხატული ისტორიული მნიშვნელობა „შავბიჭას“ მიერ არალეგალურ ბოლშევიკურ გაზეთში დაბეჭდილი ლექსისა, ამავე დროს მოცემულია საბჭოთა ხალხის დამოკიდებულება „წინამორბედთა ბრძოლის“ ამ ერთ-ერთი პირველი მგალობლისადმი. მოგვყავს ადგილები ა. აბაშელის ამ ლექსიდან:

პირველ მაისის პირველ მომღერალს

დღეს მე ვიგონებ პირველ მაისის
პირველ მომღერალს—ლადო იაშვილს.
ჩვენს დიდ ზეიმში მისი ხმა ისმის,
როგორც ჭუხილი ქარის გრიალში.

მან ბრწყინვალეზა იხილა დილის
ცხრაას პირველის ოცდაორ აპრილს,
როცა პირველად დაშვენდა თბილისს
აელვარება წითელი აფრის.

ლექსი რაშივით შემოაჭენა
მან კეცხოველის „ბრძოლის“ კერაში,
რადგან ქარიშხლის იგრძნო გაჩენა
მაისის პირველ შემობერვაში.

და, მართლაც, იყო მეხის გავარდნა
და ელვის დარტყმა გასაკვირველი,
როცა აფრინდა წითელ შავარდნად
პირველ მაისის დროშა პირველი.

...წინამორბედთა ბრძოლის გალობამ
ჩვენს ზეიმამდე ხომ მოაღწია! —
არ დაივიწყა ჩამომავლობამ,
ვინც ის პირველი დროშა ასწია! *

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1901 წლის საპირველმაისო დემონსტრაციის დროს ბევრი მისი მონაწილე მუშა დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში მოათავსეს. მეფის ჟანდარმერიამ და პოლიციამ გააძლიერეს თავიანთი რეპრესიული ღონისძიებანი რევოლუციური მოძრაობის ჩასახშობად.

დემონსტრაციის შემდეგ თბილისის ორგანიზაციის ცენტრალურმა პარტიულმა ჯგუფმა, ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით, გამოსცა მთელი რიგი პროკლამაციები და მოწოდებები, სადაც იგი ღირსეულ ქება-დიდებას უძღვნიდა დემონსტრაციაში მონაწილე მუშათა გმირულ თავდადებას. „მეხივით დაეცა მთავრობას 22 აპრილი,—წერდა გაზეთი „ბრძოლა“,—მან მიმართა ყოველ ავაზაკურ ღონეს, რომ მოესპო თბილისში მუშათა მოძრაობა, მაგრამ შედეგებმა დაგვარწმუნა, რომ თბი-

* გაზ. „ზარია ვოსტოკა“, 1941 წ. 22 აპრილი, № 94.

ლისელ მუშებს არ ეშინიათ ციხისა და პოლიციის ჯანდარმების სვრემისა“ (გაზ. „ბრძოლა“, 1901, წ. № 1, გვ. 6).

„ბრძოლის“ იმ ნომერში (№ 2-3), რომელიც გამოვიდა 1901 წლის დამლევს და სადაც პოლიტიკური შეფასება ეძლეოდა საპირველმაისო დემონსტრაციას, მოწინავედ დაიბეჭდა ი. ბ. სტალინის ისტორიული წერილი—„რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი უახლოესი ამოცანები“. ამ წერილში ი. ბ. სტალინი, სხვათა შორის, აცხადებდა რა მუშათა დემონსტრაციებს პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთ უძლიერეს იარაღად, წერდა: „ის მსხვერპლნი, რომლებსაც დღეს ვწირავთ თავისუფლებას ქუჩის დემონსტრაციებში, გვიბრუნდებიან ერთიასად. ბრძოლაში დაცემული ან ჩვენი ბანაკიდან მოტაცებული თვითეული მებრძოლი იწვევს ასობით ახალ მებრძოლთ“ *.

ი. ბ. სტალინის ამ წერილს გაზეთში მოსდევდა ლექსი სათაურით „ამხანაგებს“, ხელმოწერილი „ტუსაღის“ ფსევდონიმით.

ეს ლექსი, როგორც ბოლო მინაწერიდან ჩანს, ავტორს დაწერილი აქვს 1901 წელს მეტეხის ციხეში. ეს ნაწარმოები საუკეთესოდ გამოხატავს საპირველმაისო დემონსტრაციის დროს დაპატიმ-

* „ბრძოლა“, № 2-3, 1901 წ.; ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 27.

რებული მუშების მებრძოლ განწყობილებას და მათს შეუდრეკელობას მეფის საპყრობილის სასტიკი რეჟიმის პირობებში:

ძმანო მებრძოლნო, კვლავ ბრძოლა!
ლომგულს ვით გატეხს ტყვეობა.
პირიქით, გვიორკეცდება
ვაჟკაცობა და მხნეობა!

ასე იწყება ეს საგულისხმო ლექსი. ავტორი „სიმართლის მოციქულებს“ უწოდებს მოწინავე მუშებს და აცხადებს მათი სახელით, რომ იბრძოლებენ, „სანამდის გული ძგერას არ შესწყვეტს სრულადა“. პატიმრობა არ აკრთობთ მებრძოლთ. ისინი სთვლიან, რომ პატიმრობის შემდეგ უფრო მედგრად შეებმებიან თვითმპყრობელობის დამცველთ. ისინი მანამდე იბრძოლებენ, სანამ ყველას არ მისწვდება მათი ყიჟინა, სანამ მუშათა მასები მთლიანად არ ჩაებმებიან ბრძოლაში. და როცა ეს მოხდება, — წინასწარმეტყველებს ავტორი, — მაშინ თვითმპყრობელობის ციხე-სიმაგრე დაემხობა ბასტილიის მსგავსად, ხოლო ნიკოლოზ მეორე ლუი კაპეტის ბედს გაიზიარებს:

მაშინ დადგება ის ხანა,
რაც ჩვენ დროშაზე სწერია;
შეერთდით, ქვეყნის მუშებო,
და მით დათრგუნეთ მტერია!

ბრძოლა და ბრძოლა მედგარი,
ეს ჩვენი წმინდა ვალია,
აწმყოს დაეცა თავზარი,
ახლო ჩანს მომავალია!

ასეთი სტრიქონებით თავდება ეს ლექსი. თქმა არ უნდა, რომ ეს პოეტური ნაწარმოები მხატვრულ ფორმაში გამოთქვამს საპირველმაისო დემონსტრაციის იმ პოლიტიკურ შეფასებას, რომელიც მოცემული აქვს ამავე ნომერში გაზეთ „ბრძოლას“. იგი გამოხატავს საქართველოს რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის აზრსა და შეხედულებებს, ამავე დროს საუკეთესოდ გადმოგვცემს ამ ორგანიზაციის გარშემო შემჭიდროებულ მუშათა მოწინავე რაზმის საბრძოლო განწყობილებას *.

---

* მეტად საგულისხმოა ის გარემოება, რომ ი. ბ. სტალინი დიდ სააგიტაციო მნიშვნელობას ანიჭებდა „ბრძოლაში“ დაბეჭდილ ამ ლექსს. ბოლო სტროფი ლექსისა:

„ბრძოლა და ბრძოლა მედგარი,
ეს ჩვენი წმინდა ვალია,
აწმყოს დაეცა თავზარი,
ახლო ჩანს მომავალია!“

ი. ბ. სტალინმა გამოიყენა თავის პროკლამაციაში „ამხანაგებო—მუშებო!“, რომელიც 1902 წლის 29 ივნისს იქნა გამოცემული ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის სახელით.

მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში დაცული მასალებიდან ირკვევა, რომ ფსევდონიმი „ტუსალი“, რომლითაც ხელმოწერილია ზემოხსენებული ლექსი, ეკუთვნოდა ბოლშევიკური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწეს, მოწინავე მუშას — მიხო ბოჭორიძეს. ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით მიხო ბოჭორიძე, სხვა მოწინავე მუშებთან ერთად, 1901 წლის საპირველმაისო დემონსტრაციის ერთი აქტიური მონაწილეთაგანი იყო. მან უშუალო მონაწილეობა მიიღო მასში და მოკლე სიტყვის წარმოთქმაც კი მოასწრო, სანამ დემონსტრაციას თავს დაესხმოდნენ პოლიციელები და ჯარის ნაწილები. იგი იმავე წლის 11 სექტემბერს დააპატიმრა პოლიციამ, რის შემდეგაც მან მეტეხის ციხეში გაატარა ექვსი თვე. როგორც ჩანს, სწორედ ამ დროს არის დაწერილი და ციხიდან გამოგზავნილი ზემოხსენებული ლექსი.

აქ ზედმეტი არ იქნება რამდენიმე სიტყვა ვთქვათ მ. ბოჭორიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

მიხეილ ზაქარიას-ძე ბოჭორიძე კახელი გლეხის შვილი იყო. იგი დაიბადა ქ. თელავში 1875 წელს. მიხო ჭაბუკობიდანვე ეწეოდა მძიმე ფიზიკურ შრომას. 90-იანი წლებიდან იგი თბილისის რკინიგზის მთავარ სახელოსნოში მუშაობს მჭედლად. ამავე

ხანებს ეკუთვნის მისი დაახლოება რევოლუციურ წრეებთან. იგი ამ დროს ხარბად ეწაფება თვითგანვითარებას. მისი ნიჭისა და ფართო გონებრივი ინტერესების მაჩვენებელია განსაკუთრებული მიდრეკილება ლიტერატურისა და, კერძოდ, პოეზიისადმი. მიხო ბოჭორიძეს ამ დარგშიც უცდია თავი. მისი მუშური კალმის ნაყოფი ცალკე ბროშურის სახითაც არის გამოქვეყნებული. 1895 წელს ზაქარია ჭიჭინაძეს გამოცემული აქვს პატარა წიგნაკი სათაურით: „ლექსთა კრება, თქმულნი მჭედლის მიხეილ ბოჭორიძის მიერ“.

90-იანი წლების დამლევიდან მ. ბოჭორიძე უკვე სავსებით ებმება რევოლუციურ მუშაობაში. ამ დროს იგი წევრია თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ცენტრალური სოციალ-დემოკრატიული ჯგუფისა, რომელსაც მეთაურობს ი. ბ. სტალინი და რომლის შემადგენლობაშიაც შედიან ა. წულუკიძე, ლ. კეცხოველი და სხვები.

1898 წლის დამდეგს ამხანაგი სტალინი მჭიდროდ დაუკავშირდა მოწინავე მუშებს, წრეების ორგანიზატორებს: მ. ბოჭორიძეს, ზ. ჩოდრიშვილს, ვ. სტურას, გ. ნინუას და სხვ., და 1898 წლის იანვრიდან დაუწყო ხელმძღვანელობა მუშათა სოციალ-დემოკრატიულ წრეებს.

„მაგონდება 1898 წელი, წერს ი. ბ. სტალინი, როდესაც მე პირველად მივიღე რკინიგზის სახე-

ლოსნოს მუშათა წრე... მაგონდება, თუ როგორ მივიღე პრაქტიკული მუშაობის გაკვეთილები ამხ. სტურუას ბინაზე... ზაქრო ჩოდრიშვილის, მიხო ბოჭორიშვილის, ნინუასი და თბილისის სხვა მოწინავე მუშების თანადასწრებით“ *.

მიხო ბოჭორიძე დაუცხრომელი ენერგიის რევოლუციონერი იყო. ი. ბ. სტალინისა და ლადო კეცხოველის ხელმძღვანელობით, მოწინავე მუშებთან, ზ. ჩოდრიშვილთან, ვ. სტურუასთან და სხვებთან ერთად, იგი დიდ საორგანიზაციო მუშაობას ეწეოდა 1899 და 1900 წლების მუშათა მაისობის მოსაწყობად და ჩასატარებლად. ამ შეკრებებზე იგი გამოდიოდა მგზნებარე სიტყვებით. ასეთივე აქტიური მონაწილეობა მიიღო მან ი. ბ. სტალინის მიერ ჩატარებულ რკინიგზის მთავარ სახელოსნოებისა და დეპოს მუშათა 1900 წლის აგვისტოს ცნობილ გაფიცვებში თბილისში.

1903 წლის დამლევს, ამხანაგ ი. ბ. სტალინის მითითებით, მიხო ბოჭორიძე აწყობს ავლაბრის არალეგალურ ბოლშევიკურ სტამბას, სადაც იბეჭდებოდა ლენინისა და სტალინის უკვდავი შრომები და ბოლშევიკური პარტიის სხვა უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები.

ავლაბრის სტამბა ჟანდარმებმა აღმოაჩინეს

---

* გაზ. „ზარია ვოსტოკა“, 1926 წ. 10 ივნისი.

1906 წლის 15 აპრილს, სამი დღის შემდეგ კი ხელში ჩაიგდეს მიხო ბოჭორიძეც, რომელიც ამ დროს, კონსპირაციის მიზნით, ნიკოლოზ ოთაროვის სახელს ატარებდა. ამგვარად მიხო ისევ მეტეხის პატიმარი შეიქნა.

იმავ წლის ივნისში მიხომ მოაწყო ციხიდან გაქცევის საქმე. მან წინ გაუშვა ამხანაგები, ამიტომ თვითონ ვეღარ მოასწრო წასვლა, ციხის მცველებმა იგი შეიპყრეს და ისევ საკანში დააბრუნეს. მაგრამ ამ მარცხმა მიხო ვერ შეაკრთო. იმავე წლის ოქტომბერში მან მაინც მოახერხა მეტეხიდან გაქცევა და ამის შემდეგ იგი მოუხელთებელი დარჩა პოლიციელებისათვის სიკვდილამდე. მიხო ბოჭორიძე გარდაიცვალა 1912 წელს ქ. ეკატერინოდარის (ახლა კრასნოდარის) საავადმყოფოში*

ჩვენ საგანგებოდ შევჩერდით მიხო ბოჭორიძის ბიოგრაფიაზე ასე დიდხანს, რომ გვეჩვენებინა, თუ ვინ იყვნენ უმთავრესად „ბრძოლისა“ და სხვა ბოლშევიკური გაზეთების ფურცლებზე გამოქვეყნებულ პოეტურ ნაწარმოებთა ავტორები. როგორც ვხედავთ, ესენი იყვნენ მეტწილად მოწი-

* მიხო ბოჭორიძის საბიოგრაფიო ცნობები უმთავრესად ამოკრეფილი გვაქვს მარქს—ენგელს—ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის ფონდებში დაცული მასალებიდან.

ნავე მუშები, პროფესიონალი რევოლუციონერები, პარტიულ მუშაკთა კადრები.

სხვათა შორის, აქ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ი. ბ. სტალინი მუდამ დიდსა და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მოწინავე მუშათა მოზიდვის საქმეს პარტიულ ორგანოში სათანამშრომლოდ, მუშა-ლიტერატორთა მუდმივი ბირთვის ჩამოყალიბებას და დარაზმვას გაზეთის რედაქციის გარშემო. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ერთი მოგონება, რომელიც ეხება ი. ბ. სტალინის, როგორც რედაქტორის, მუშაობას გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლაში“ (1904—1905 წ.წ.). „ჩვენი პარტიული ორგანოს—„პროლეტარიატის ბრძოლისათვის“, — ვკითხულობთ ამ მოგონებაში,—ამხანაგმა სტალინმა ფართოდ გაშალა მასალების მოკრების საქმე მოწინავე მუშებისა, რევოლუციური ჯარისკაცებისა და სოფლად მცხოვრები ამხანაგებისაგან... კორესპონდენციები ადგილებიდან საიმედო მისამართებით მოდიოდა, ხოლო თბილისელ მუშებს თვითონ მოჰქონდათ თავიანთი შენიშვნები... მუშის ყოველ სტატიას, ყოველ წერილსა თუ შენიშვნას ამხანაგი სტალინი გულისყურით კითხულობდა და რედაქციას უკეთებდა“. (იხ. კრებული „ნაამბობი დიდი სტალინის შესახებ“, რუს. ენაზე, წ. 2, გამოც. „ზარია ვოსტოკასი“, გვ. 28).

აქ ზედმეტი არ იქნება. გავიხსენოთ აგრეთვე ი. ბ. სტალინის მოწინავე წერილი „ჩვენი მიზნები“, დაბეჭდილი გაზეთ „პრავდის“ პირველ ნომერში 1912 წელს, სადაც საუცხოოდ არის განმარტებული მუშათა უშუალო მონაწილეობის უაღრესად დიდი მნიშვნელობა პარტიული პრესის განვითარებისა და საერთო წარმატების საქმეში. „ვიწყებთ რა მუშაობას,—ვკითხულობთ ზემოხსენებულ მოწინავეში, — ვიცით, რომ ჩვენი გზა ეკლებით არის მოფენილი... მაგრამ ეკლები საშიში არ არის, თუ მუშების თანაგრძნობა, რომლითაც „პრავდა“ ახლა არის გარემოსილი, შემდეგშიც გაგრძელდება. ამ თანაგრძნობაში ჰპოვებს იგი ენერგიას ბრძოლისათვის! ჩვენი სურვილია, რომ ეს თანაგრძნობა იზრდებოდეს. ჩვენი სურვილია, გარდა ამისა, რომ მუშები მარტო თანაგრძნობით კი არ კმაყოფილდებოდნენ, არამედ აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი გაზეთის გაძღოლა-გამოცემის საქმეში. დაე ნუ იტყვიან მუშები, რომ მწერლობა მათთვის „უჩვეულო“ სამუშაოა: ლიტერატორი მუშები მზამზარეულად როდი ცვივიან ზეციდან, მათი გამომუშავება ხდება მხოლოდ თანდათანობით, ლიტერატურული მუშაობის მსვლელობაში. ოღონდ საჭიროა უფრო გაბედულად მოჰკიდო ხელი საქმეს: ორიოდჯერ წაიბორძიკებ, და ამასო-

ბაში წერასაც ისწავლი... მაშ ასე, ერთსულოვნად შევუდგეთ მუშაობას!“ (ტ. 2, გვ. 266)*.

„ბრძოლა“ საქართველოს მუშათა ფართო მასების საყვარელი გაზეთი იყო. მის ფურცლებზე მშრომელები ეზიარებოდნენ ეპოქის მოწინავე მსოფლმხედველობას—გენიალური ლენინის ცხოველმყოფელ იდეებს, ეცნობოდნენ ცხოვრების

---

* თავისი არსებობის ორი წლის თავზე, 1914 წელს, გაზეთი „პრავდა“ აღნიშნავდა, რომ „მუშათა ბეჭდვითი სიტყვა ჰქმნის მუშა-მწერლებს და, პირიქით, მუშა-მწერლები ამაგრებენ და ანვითარებენ მუშათა ბეჭდვით სიტყვას“ („მუშა-მწერლები“). იმავე სტატიაში რედაქცია საგანგებოდ ეხებოდა მუშა-ლიტერატორთა თანამშრომლობის საკითხს პარტიის ცენტრალურ ორგანოში: „რუსეთში პირველი ყოველდღიური მუშური გაზეთის ორი წლის არსებობას, წერდა რედაქცია,—უთვალავი კეთილი შედეგი მოჰყვა ჩვენი მუშათა მოძრაობისათვის, და ამ საქმეში მცირე როლი არ უთამაშნია იმ გარემოებას, რომ მუშათა გაზეთმა შესაძლებელი გახადა მუშა-მწერლების პირველი კადრების მომზადება“. წერილის დასკვნითს ნაწილში ვკითხულობთ:

„მუშათა პირველი რუსული გაზეთის (იგულისხმება „პრავდა“) ორი წლის არსებობის მანძილზე წამოიწიეს არა მარტო ასობით მუშა-კორესპონდენტები, არამედ ათობით მუშებიც, რომლებიც მონაწილეობას იღებენ გაზეთის საერთო განყოფილებაში, წერენ პოლიტიკური ცხოვრების, პროფესიული მოძრაობის და სხვ. საკითხებზე, ისახებიან მუშა-პოეტები, მუშა-ბელეტრისტები. „Путь Правды“-ში დაბეჭდილი ლექსებისა და მოთხრობების ავტორთა დიდი უმრავლესობა პროლეტა-

უკუღმართობის წარმომშობ მიზეზებს კაპიტალიზმის პირობებში, ითვისებდნენ იმ საბრძოლო მეთოდებს, რომლითაც შეიძლებოდა უსამართლო სოციალური და პოლიტიკური წყობილების დამხობა და თავისუფალი ცხოვრების მოპოვება.

თავის მებრძოლ ორგანოსადმი საქართველოს მუშათა კლასის გულწრფელი სიყვარულის ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენდა ლექსი, მიძღვნილი „ბრძოლისადმი“, რომელიც გამოქვეყნდა ამ გაზეთის 1901 წლის № 2—3-ში. ეს ლექსი ხელმოწერილი იყო ფსევდონიმით X (იქსი).

საგულისხმოა ამ ლექსის შინაარსი და იდეური

რებია, რომლებიც თავიანთი მოცალების ხანმოკლე წუთებს ბელეტრისტიკას სწირავენ.

საფუძველი ჩაყრილია. მაშ გულმოდგინედ, გავუფრთხილდეთ და მეგობრულად გავამხნეოთ თითოეული მუშური ნიჭი, თითოეული გამობრწყინება მუშური ტალანტისა.

შეუდექით, ამბანაგო მუშებო, თქვენივე თავიდან რედაქტორებისა და მუშა-ჟურნალისტების, აგრეთვე მუშა-ლიტერატორების გამომუშავებას. საჭიროა განუწყვეტლად იზრუნოთ ამისათვის, საჭიროა მოახმაროთ ამ საქმეს თქვენი დრო და ძალები. ფართო გზა მუშას! გაუმარჯოს მუშა-მწერალს!“ (გაზეთი „Путь Правды“ № 67, 1914 წ. წერილი დაიბეჭდა „პრავდის“ ორი წლის არსებობის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით. იხ. კრებული: „Дооктябрьская „Правда“ об искусстве и литературе“, Гослитиздат. 1937 წელი, გვ. 26 — 28).

გააზრება. ეს პოეტური ნაწარმოები შეიცავს ბოლშევიკური გაზეთის მნიშვნელობისა და მისი საბრძოლო ამოცანების უაღრესად სწორ შეფასებასა და დახასიათებას.

ავტორი მიმართავს „ბრძოლას“ და ამკობს მას ახვადასხვა სასიყვარულო ეპითეტით. ეს ეპითეტები უკვე თავისთავად შეიცავენ გაზეთის წინაშე დასახულ საბრძოლო ამოცანათა ფორმულებს. ასე, მაგალითად, ავტორი უწოდებს რევოლუციურ ორგანოს „ბრძოლას“ ჭეშმარიტების მამაც მცველადებელს, წყვდიადში მყოფი ჩაგრული ხალხის გამაცხნევებელსა და ნუგეშს, სამშობლოს ცაზე მოკიაფე ვარსკვლავს, თავგანწირულსა და შეუპოვარ გმირს, რომელიც დიად აზრებს ქადაგებს ხალხში.

პოეტი სთხოვს „ბრძოლას“ მედგრად შეუტიოს მუშათა კლასის მტრებს:

> მაშ დაჰკა მედგრად და იღალადე
> დამაშვრალთ მწარე გულის ტკივილი,
> ვის არ უსმინეს ოხვრა და კვნესა,
> არცა ბუდარა, არცა ჩივილი!

პოეტის სიტყვით, ეს ქვეყანა მაშვრალთა ხელით არის აგებული და გამშვენებული, მათი ოფლით იკვებება და ლაღობს ამ სოფლის „ნებიერიძე“, ანუ საზოგადოების პრივილეგიური ნაწილი, მათს ზურგზე ბრუნავს ცხოვრების ჩარხი! მიუხე-

დავად ამისა, ჯალათები მაინც სდევნიან და სიცოცხლეს უსპობენ მშრომელთა საუკეთესო წარმომადგენლებს. ავტორი მოუწოდებს გაზეთს გაფანტოს გარემოცული სიბნელე და აღადგინოს ჩაგრული ხალხის უფლებები, დაამხოს თვითმპყრობელობის ტახტი და მოუპოვოს გამარჯვება თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირებს, რომელთა დროშაზე წარწერილია თავისუფლებისა და სიყვარულის დიადი ლოზუნგი.

ასეთია ეს ლექსი-მიძღვნა, დაწერილი არაპროფესიონალი პოეტის გამოუცდელი ხელით, მაგრამ აღსავსე ღრმა რევოლუციური იდეურობით, გამსჭვალული მგზნებარე ტემპერამენტით და ბრძოლის პათოსით.

„ბრძოლაში“ გამოქვეყნებული ორიგინალური ლექსებიდან საჭიროა მოხსენებულ იქნას აგრეთვე გაზეთის 1902 წლის № 4-ში დაბეჭდილი სამაისო ლექსი სათაურით: „ძმებო, გავიდეთ ბრძოლისა ველზე!“ ხელმოწერილია იგი ფსევდონიმით „ბუკი“.

ლექსი იწყება პათეტიკური სტრიქონებით:

მაღლა ავმართოთ წითელი დროშა
და იერიშით მივიდეთ მტერზე,
ძირს მეფის ტახტი! ძირს მტარვალები!
ძმებო, გავიდეთ ბრძოლისა ველზე!

ნაწარმოები წარმოადგენს თამამ მოწოდებას თვითმპყრობელობის ტახტის დამხობისაკენ. ავ-

ი. ბ. სტალინისა და ლადო კეცხოველის ერთგული თანამებრძოლი, მოწინავე მუშა-ბოლშევიკი ვანო სტურუა წერს თავის მოგონებაში 1900 წლის საპირველმაისო მიტინგის შესახებ: ნაძალადევის მიდამოებში გამართული სამაისო „დღესასწაულის დასრულების შემდეგ სიმღერით — „ნეტაე რას დარდობ, დედილო, ცრემლი რად მოგდის თვალზედა..." — დავიშალენით. მაშინ არ ვიცოდით არც „მარსელიეზა", არც „ინტერნაციონალი".

როგორც ვხედავთ, 1900 წელს ქართველ მუშებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ რევოლუციური გამოსვლებისათვის შესაფერი პოლიტიკური სიმღერები. მათ ნაცვლად ისინი მღეროდნენ ქართველი პოეტების უკვე ცნობილ ლექსებს, რომელთა შინაარსიც ასე თუ ისე უპასუხებდა მომრომელთა რევოლუციურ განწყობილებას, ასე, მაგალითად, მუშებს, სხვათა შორის, გამოუყენებიათ რაფიელ ერისთავის ლექსიც „ნეტა რას სტირი, დედილო", რომელიც პოეტს თითქოს აღა-მაჰმად-ხანის შემოსევაზე ჰქონდა დაწერილი, სინამდვილეში კი ალეგორიას წარმოადგენდა და მეფის თვითმპყრობელობის ძალადობას გულისხმობდა (ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ 1905 წ. გამოსვლების დროს სოფლად, გლეხები იმღეროდნენ აკაკისა და ირ. ევდოშვილის ლექსებზე შედგენილ სიმღერებსაც).

გაზეთი „ბრძოლა" კარგად ითვალისწინებდა მუ-

შებისათვის რევოლუციური სასიმღერო ლექსების მიწოდების გადაუდებელ საჭიროებას. მას საუცხოოდ ჰქონდა შეგნებული, რომ „საბრძოლველი სიმღერა ააშკარავებს არსებულ წყობილებას, ააშკარავებს ჩვენს საზოგადოებრივ წყლულებს“ (ი. ბ. სტალინი)*. სწორედ აი ამ გადაუდებელ საჭიროებას აკმაყოფილებდა „ბრძოლის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული სიმღერა — „ძმებო, გავიდეთ ბრძოლისა ველზე“.

გაზეთი პირველ რიგში საჭიროდ სთვლიდა ქართულ ნიადაგზე გადმოენერგა და მუშათა ფართო მასებში პოპულარული გაეხადა საერთო რუსული პროლეტარული სიმღერებიც, რომელთა შორის იმ დროს ფართოდ იყო გავრცელებული და დიდი მოწონებით სარგებლობდნენ „ვარშავიანკა“ და „მარსელიეზა“. გაზეთმა, მართლაც, გადმოთარგმნა და თავის ფურცლებზე გამოაქვეყნა ორივე ეს სიმღერა.

„ვარშაულა“ დაიბეჭდა „ბრძოლის“ 1901 წლის № 1-ში. ამ სიმღერას თავისი საინტერესო ისტორია აქვს და ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ შეეხოთ მას.

---

* „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი უახლოესი ამოცანები“. „ბრძოლა“, 1901 წ, № 2—3; თხზულებანი, ტ. 1, გვ. 26.

„ვარშაულა“ ანუ „ვარშავიანკა“, პოლონელ მუშათა რევოლუციური სიმღერა იყო. პოლონური ტექსტი ამ სიმღერისა დაწერილია 1883 წელს ვაცლავ სვენციცკის მიერ*. თავის დროზე ეს სიმღერა ძალიან პოპულარული ყოფილა პოლონეთის მუშათა კლასში.

მოსკოვის ბუტირკის ციხეში მოთავსებულმა პოლონელმა რევოლუციონერმა მუშებმა 1897 წელს თავიანთი სიმღერები გააცვნეს იმ დროს პატიმრად მყოფ გლებ კრჟიჟანოვსკის, დიდი ლენინის ერთგულ თანამებრძოლს, პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის“ ერთ-ერთ თვალსაჩინო წევრს**.

გ. კრჟიჟანოვსკიმ ციხეში გადათარგმნა, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, გადააკეთა რუსულად რამდენიმე პოლონური სიმღერა და მათ შორის „ვარშავიანკაც“***. ტექსტი ამ სიმღერისა ჩქარა გასცილდა

---

* Сборник „Пролетарские поэты“. Ленинград, Изд. „Советский Писатель“, 1935 г. т., 1, стр. 329-330.

** Акад. А. Винтер. „Г. М. Кржижановский (К 70-летию со дня рождения)“. Вестник АН СССР, 1947 г. № 1, стр. 142—151.

*** ინტერესს არაა მოკლებული თვით ძველი ბოლშევიკისა და გამოჩენილი-საბჭოთა მეცნიერის, აკადემიკოს გლებ კრჟიჟანოვსკის მოგონების მიხედვით ჩაწერილი ცნობა „ვარშავიანკის“ დაწერის შესახებ: „ბუტირკის ციხეში,—გადმოგვცემს გ. კრჟიჟანოვსკი, — გადასახლებაში გაგზავნას ელოდებოდნენ

საპყრობილის კედლებს და ფართოდ გავრცელდა რევოლუციურ წრეებსა და მუშათა მასებში. სხვათა შორის, გვინდა აღვნიშნოთ, რომ „ვარშავიანკა“ დიდი ლენინის საყვარელი რევოლუციური სიმღერების რიცხვს ეკუთვნოდა. არსებობს ცნობა, რომ ციმბირში გადასახლებულ ვლადიმერ ილიას-ძეს, გადასახლებულთა გუნდში, მდინარე ენისეის ნაპირებზე, არა ერთხელ უმღერია „ვარშავიანკას“ ჰანგები (იხ. ჟურნ. „Смена“, 1948 წ., № 16, გვ. 4).

„ვარშავიანკა“ ხშირად იბეჭდებოდა რუსულ არალეგალურ სოციალ-დემოკრატიულ კრებულებში და ცალკე ფურცლების სახითაც.

თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა „ბრძოლის“ რედაქცია ამ რევოლუციურ სიმღერას, ეს იქიდანაც

ლენინური „ბრძოლის კავშირის“ წევრები. იქვე ისხდნენ პოლონელი რევოლუციონერი მუშები. ციხეში ძათ მოიტანეს უცნობი რევოლუციური სიმღერები. ეს საბრძოლო ჰანგები მოეწონათ „მოხეცებს“.

პოლონურიდან გაკეთებულმა სიტყვასიტყვითმა თარგმანმა არ დააკმაყოფილა რუსი რევოლუციონერები.

— გლებასია, უნდა დასწერო ჩვენი ტექსტი, — მოსთხოვეს მათ თავიანთ „პოეტს“, ახალგაზრდა ინჟინერს კრჟიჟანოვსკის და აი, გლებ მაქსიმილიანეს ძემაც შეუთხზა „ვარშავიანკას“ და „იმძვინვარეთ, ტირანებოს“ ახალი ტექსტები. ციხის საერთო საკანში პატიმრებმა მოაწყეს პირველი გუნდური შესწავლა ამ სიმღერებისა“ (Л. Подвойский, „Варшавянка“. Журн. „Смена“, 1948 г., № 16, стр. 4).

ჩანს, რომ მისი ტექსტი გამოქვეყნდა გაზეთის პირველსავე ნომერში, ი. ბ. სტალინის მიერ დაწერილი სტატიის („რედაქციისაგან“) შემდეგ, მესამე გვერდზე*.

ქართული ტექსტის შემოწმება გვიჩვენებს, რომ იგი ძალიან უახლოვდება რუსულ დედანს. მთარგმნელის დიდი პასუხისმგებლობა და სიყვარული გამოსჭვივის ამ ნაწარმოების ყოველ სტრიქონში. მას დაცული აქვს ორიგინალის მეტრული წყობა და სტროფიკა. ლექსი გადმოღებულია ათმარცვლოვანი მეტრით და შედგება სამი რვასტრიქონიანი სტროფისაგან. თითოეულ მათგანს მოსდევს რეფრენის სახით მისამღერი ორი სტრიქონი.

ნიმუშისათვის მოგვყავს დასაწყისი სტროფები ამ ვაჟკაცური სულით გაჟღენთილი ნაწარმოებისა:

შავი ღრუბელნი თავს გვეელებიან,
მხეცური ძალით გვიხრიან ჭედსა,
მაგრამ გავშალეთ ბრძოლისთვის მკლავი
და უფრო მწარეს ველით ჩვენ ხვედრსა.

ავმართავთ მაღლა წმინდა დროშასა,

**

---

* „ბრძოლის“ პირველი ნომერი 14 გვერდისაგან შედგებოდა.

** „ბრძოლაში“ დაბეჭდილ ტექსტში ეს მეექვსე სტრიქონი გამორჩენილი უნდა იყოს კორექტურის მიზეზით.

რიაში წარმოადგენდა „ბრძოლის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული თარგმანი მარსელიეზას ტექსტისა. ცნობილია, რომ მარსელიეზა წარმოადგენდა ყველაზე საყვარელსა და გავრცელებულ სიმღერას საქართველოში, პირველი რევოლუციის მომზადებისა და მისი აბობოქრების ხანაში და რეაქციის მძვინვარების პერიოდშიაც.

ამ სიმღერით გადიოდნენ წითელრაზმელები ბარიკადებზე, მისი ჰანგი უძღოდა წინ მუშებსა და აჯანყებულ გლეხობას დაუვიწყარ 1905 წლის დღეებში, ამ სიმღერითვე იმარხებოდნენ ბრძოლაში დაცემული გმირები, მისი ხმები აცილებდნენ კატორღაში მიმავალ თავგანწირულ ვაჟკაცებს და სახრჩობელაზე ამავალ შეუდრეკელ მებრძოლებს.

ლენინის დიადი იდეებით შთაგონებულმა არალეგალურმა ბოლშევიკურმა გაზეთმა „ბრძოლამ“ პირველმა გადაისროლა ამ მგზნებარე რევოლუციური სიმღერის ცეცხლოვანი სიტყვები ჩვენი ხალხის გულში. ეს იყო ერთი ისტორიულ დამსახურებათაგანი ამ გაზეთისა. მარსელიეზამ განუზომლად დიდი როლი შეასრულა ჩვენი ხალხის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საქმეში*.

---

* ამასთან დაკავშირებით გვინდა გავიხსენოთ ერთი ადგილი ეგნატე ნინოშვილის კერძო ბარათიდან: „ვინ იცის, იქნება როდისმე თუ არა ისეთი ბედნიერი შემთხვევა, ისეთი ბედნიერი დრო, რომ მე... თავისუფლების ჰანგებით სავსე

როგორც ცნობილია, მარსელიეზას პირველი სამშობლო საფრანგეთია. იგი წარმოიშვა საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დღეებში. ტექსტი ამ სიმღერისა 1792 წელს შექმნა პოეტმა რუჟე დე ლილმა.

შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ რევოლუციურ სიმღერას, გარდა „ინტერნაციონალისა“, არ მოუპოვებია მსოფლიოში ისეთი ფართო პოპულარობა, როგორიც წილად ხვდა მარსელიეზას. რუსული მარსელიეზას ტექსტი („ზურგი ვაქციოთ ძველ ადათ-წესებს“...) ფრანგული „მარსელიეზას“ ანალოგიით და მისსავე მოტივზე დასწერა რუსმა რევოლუციურმა მოღვაწემ პეტრე ლავროვმა.

მის მიერ შექმნილი მარსელიეზა წარმოადგენდა რევოლუციური ნაროდნიკული სასიმღერო პოეზიის ერთ-ერთ ყველაზე უფრო თვალსაჩინო ნიმუშს. რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა მოძრაობამ, თავის წიაღში აღმოცენებულ საბრძოლო სიმღერებთან ერთად, გამოიყენა აგრეთვე საუკეთესო ნიმუშები რევოლუციურ-ნაროდნიკული პოეზიისა და მათ შორის მარსელიეზას ტექსტიც.

„Marseillaese“ გავიგონო!..“ (წერილი თ. სახოკიასადმი, 1888 წლის 30 აგვისტოს თარიღით). სამწუხაროდ, ეს ნატვრა მწერალს არ შეუსრულდა: მარსელიეზას ჰანგები მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ დაირხა საქართველოში.

90-იანი და 900-იანი წლების რუსული არალეგალური სოციალ-დემოკრატიული გამოცემები ხშირად აქვეყნებდნენ თავიანთ ფურცლებზე რევოლუციურ სიმღერებს და მათ შორის მარსელიეზასაც*.

ქართული მარსელიეზა დაიბეჭდა „ბრძოლის“ 1902 წლის მე-4 ნომერში. აღვადგინოთ მეხსიერებაში მისი დასაწყისი ნაწილი. იგი ასე იკითხება:

ზურგი ვაქციოთ ძველ ადათ-წესებს,
ჩამოვიბერტყოთ ფეხზე მის მტვერი;
ხიზღით ვუცქერით ჩვენ ოქროს კერპებს,
მეფის ტახტის ვართ მოსისხლე მტერი.

ჩვენ მხარი მივცეთ ჩვენს ტანჯულ მოძმეს,
მშიერ ხალხს ხელი ჩვენ გავუწოდოთ,
წყევა და კრულვა შევუთვალოთ მტერს
და ბრძოლის ველზე გამოვიწოდოთ.

აღსდეგ, შემოკრბი, მუშავ, აღსდეგინ,
აღსდეგ მტერზედა, მშიერო ძმანო,
შურისძიების დასჭექე ხმაო!
გასწი, გასწი, წინ, წინ, წინ!.

(მისამღერი).

მარსელიეზას ტექსტი შესდგება ათი ოთხსტრიქონიანი სტროფისაგან, ყოველ ორ სტროფს მოსდევს რეფრენი: „აღსდეგ, შემოკრბი, მუშავ, აღსდეგინ“, და სხვ.

---

* Сборник „Пролетарские поэты“, т. I, 1935 г., стр. XLVIII.

ქართული მარსელიეზას ტექსტი ხელმოუწერლად გამოქვეყნდა. არსებობს სანდო გადმოცემა, რომ ლადო კეცხოველს ამ თარგმანშიაც აქვს მიღებული გარკვეული მონაწილეობა, და არა მარტო რედაქციული, არამედ შემოქმედებითი ხასიათისაც.

„ბრძოლის“ მიერ გამოქვეყნებული ქართული მარსელიეზას ტექსტი სწრაფად გავრცელდა მუშათა მასებში, იგი მოედო მთელ საქართველოს. ეს ტექსტი ერთგვარ კანონიზებულ ტექსტად დარჩა ჩვენს დრომდე. საგულისხმოა ის გარემოება, რომ თვით სახელგანთქმულმა ილ. ევდოშვილმაც აღარ სცადა მისი ახალი თარგმანის მოცემა. მან 1907 წელს სთარგმნა მხოლოდ რუჟე დე ლილის მარსელიეზას ტექსტი*.

მარსელიეზა, როგორც აღვნიშნეთ, ყველაზე უფრო გავრცელებული რევოლუციური სიმღერა იყო საქართველოს მშრომელთა ფართო მასებში. ამ გარემოებას, ცხადია, აღარ სჭირდება დოკუმენტური წყაროებით დასაბუთება. საილუსტრაციოდ გვინდა მხოლოდ მოვიყვანოთ რამდენიმე კოლორიტული ეპიზოდი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა ქმედითს იარაღს წარმოადგენდა ეს სიმღერა მშრომელთა ბრძოლაში თვითმპყრობელურ რეჟიმთან.

უწინარეს ყოვლისა საჭიროა აღვნიშნოთ, რომ

---

* ილ. ევდოშვილი, თხზულებანი, 1936 წ., ტ. 2, გვ. 280.

თვითონ ი. ბ. სტალინი თავის პარტიულ-სააგიტაციო მუშაობაში ხშირად მიმართავდა ხოლმე ამ სიმღერას. მეტად საგულისხმოა ამ მხრივ ერთი მოგონება, რომელიც შეეხება ი. ბ. სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის ადრინდელ ხანას. როგორც ცნობილია, ი. ბ. სტალინი 1902 წელს დაპატიმრებულ იქნა ბათუმში. მასთან ერთად ბათუმის ციხეში ისხდნენ რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილე ბათუმელი მუშებიც. ზემოხსენებულ მოგონებაში ვკითხულობთ: „ერთხელ, ეს იყო აპრილის მეორე ნახევარში (1903 წლისა), მოვიდა ციხის ზედამხედველი და გვიბრძანა ბარგის შეკვრა. ჩვენ გადავყავდით ქუთაისის ციხეში. სადგურისაკენ რომ მივდიოდით, ამხანაგმა ი. სტალინმა წინადადება მოგვცა გვემღერა მარსელიეზა. განთიადისას მიგვიყვანეს ქუთაისის საგუბერნიო ციხესთან.

როდესაც ჩვენ წინ ციხის კარები გაიღო, ჩვენ ვიმღერეთ მარსელიეზა". (იხ. კრებული „ძველი მუშების ნაამბობი დიდ სტალინზე", გამოცემა, „ზარია ვოსტოკასი", გვ. 86-87).

მარსელიეზამ დიდი გავრცელება ჰპოვა საქართველოს გლეხურ მასებშიც. აქ ზედმეტი არ იქნება მოვიყვანოთ ერთი მოგონება, რომელიც საუკეთესოდ გვიხატავს, თუ რა სასოებით სწავლობდნენ ჩვენი რევოლუციურად განწყობილი გლეხები ბრძოლის პათოსით აღსავსე ამ სიმღერას.

გურიაში განთქმული იყო თავისი სიმღერებით გიგო ერქომაიშვილის ოჯახი. ერთ საინტერესო წერილში, რომელიც ამ მომღერალთა ოჯახს ეხება, სხვათა შორის, ვკითხულობთ: „1904 წლის მიწურულში, გვიან ღამით დაბრუნდა შინ გიგო. არტემი, ანანია და პატარა ლადიკო (შვილები.— ლ. ა.) სამზარეულოში გაიყვანა:—წამოდით, ახალ სიმღერას გასწავლით, ახალთაობის სიმღერასო. თქვენც თქვენს ტოლებს უნდა ასწავლოთ, ფრთხილად კი იყავით, ჯაშუშებმა არ გაიგონ: რევოლუცია მზადდება, ამ სიმღერით გამოვა ხალხი,— თქვა სახეგაბრწყინებულმა გიგომ და შვილებს ახალი სიმღერა ასწავლა. ეს მარსელიეზა იყო:

ზურგი ვაქციოთ ძველ ადათ-წესებს,
შემოვიბერტყოთ ფეხზე, ვით მტვერი...

1905 წელს, თავის შვილებთან და მეგობრებთან ერთად, მარსელიეზას სიმღერით გამოვიდა გიგო ერქომაიშვილი“*.

გაზეთ „ბრძოლის“ შემდეგ მარსელიეზას ტექსტი იბეჭდებოდა ცალკე ფურცლების სახით. 1905 წელს თბილისის. ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ი. ბ. სტალინი, საგანგებოდ გამოსცა მარსელიეზა ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე 2600 ცალი ტირაჟით.

* გრ. ბერძენიშვილი, „მომღერალთა ოჯახი“. გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1949 წ. № 42.

კავკასიის კავშირის კომიტეტმა გამოსცა იმ ხანებშივე ცალკე კრებულად „რევოლუციური სიმღერები“, 1300 ცალის რაოდენობით. საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები ი. ბ. სტალინის მეთაურობით ფართოდ ავრცელებდნენ მასებში მუშათა რევოლუციურ სიმღერებს და პირველ რიგში მარსელიეზას.

მარსელიეზასთან ერთად პოპულარობით სარგებლობდა აგრეთვე ვარშაულას სიმღერა. აქაც ერთი მაგალითით დავკმაყოფილდებით.

1907 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ ჭაგანში დაასაფლავეს უდროოდ გარდაცვლილი მუშა, პროფესიული რევოლუციონერი გიორგი თელია. ეს დამარხვა პოლიტიკური ხასიათის დემონსტრაციად იქნა გამოყენებული. გაიმართა მიტინგი, რომელსაც ათას ხუთასზე მეტი კაცი დაესწრო. მიტინგში მონაწილეობა მიიღეს თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქების ქარხნის მუშებისა და პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. წარმოითქვა რევოლუციური შინაარსის სიტყვები, რის შემდეგაც, — ბოლშევიკური გაზეთის „დროს“ (1907 წ. № 15) კორესპონდენტის სიტყვით,—„მიტინგი დაიხურა და დაიწყო უკანასკნელი გამოთხოვება ძვირფას ამხანაგთან. მთელ საათ-ნახევარს გაგრძელდა სიმღერა ქართულ-რუსულ მარსელიეზასი, „თქვენ მსხვერპლი გახდით“,

„ვარშავიანკასი“ და სხვა რევოლუციური სიმღერებისა“ *.

ზემოთ მოყვანილი მაგალითები საკმაო წარმოდგენას გვაძლევენ იმის შესახებ, თუ რა დიდი რეზონანსი ჰქონდა ხალხში გაზეთ „ბრძოლის“ რევოლუციურ სიმღერებს, მათ შორის მარსელიეზასა და ვარშაულას.

ი. ბ. სტალინისა და მისი უახლოესი თანამებრძოლის ლადო კეცხოველის არალეგალურმა ორგანომ ამ მხრივ ისტორიული წვლილი შეიტანა ჩვენი ხალხის რევოლუციური სასიმღერო რეპერტუარის გამდიდრებისა და გაფართოების საქმეში.**

---

* სხვათა შორის, მეტად საგულისხმოა ის გარემოება, რომ ზემოხსენებულ რევოლუციურ სიმღერებთან ერთად, 1905 წლის გამოსვლების დროს სოფლად ასრულებდნენ აგრეთვე აკაკისა და ირ. ევდოშვილის ლექსებზე შედგენილ სიმღერებსაც. ასე, მაგალითად, 1905 წლის მარტში, ქართლის სოფ. ახალქალაქში გამართული კრების შესახებ, რომელსაც რამდენიმე ათასი გლეხი დაესწრო, მემუარისტი გვიამბობს: „ჯერ არ იყო გათენებული, როცა ხალხმა დენა დაიწყო მდინარე თეძის ნაპირზე მდებარე „გარიყულაზე“. ხალხი წითელი დროშებით და რევოლუციური სიმღერებით მიარღვევდა არემარეს: „წინ, წინ, მედგრად შევებრძოლოთ ბედუკუღმართ ამ ჩვენ დროსა!“, „ერთობა ჩვენთვის ტახტია, მტრისათვის სალრჩობელაო“, და სხვა“ (იხ. გრ. პარკაძე, „რევოლუციის განთიადი ქართლში“. სახელგამი, 1932 წ., გვ. 39).

როგორც ვხედავთ, ამ ორი სიმღერიდან პირველი ეკუთვნის ირ. ევდოშვილს („მეგობრებს“), ხოლო მეორე—აკაკის („ნათელას სიმღერა, პოემა „ნათელადან“).

** საჭიროა გავიხსენოთ, რომ ი. ბ. სტალინი თავის

* *

1906 წელს, პირველი ქართული ლეგალური ბოლშევიკური გაზეთის „ახალი ცხოვრების“ დახურვის შემდეგ, ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით იმავე წლის 14 ნოემბრიდან ბოლშევიკური რედაქციით გამოსვლას იწყებს პროფკავშირული გაზეთი „ახალი დროება“.

გაზეთი ყოველკვირეული იყო, გამოვიდა სულ ცხრა ნომერი, რის შემდეგ ისიც დაიხურა მთავრობის განკარგულებით.

„ახალ დროებაში“ პირველ ნომრიდანვე იბეჭდებოდა ი. ბ. სტალინის სახელმძღვანელო წერილები.

საკუთარ ნაწერებშიაც მეტად მოხერხებულად იყენებდა მარსელიეზას მგზნებარე სტრიქონებს, როკორც მოწოდებებს სოციალური და პოლიტიკური ბრძოლისაკენ ასე, მაგალითად, 1912 წლის საპირველმაისო პროკლამაციაში სტალინს სათანადო კომენტარიებით მოყვანილი აქვს რამდენიმე სტრიქონი მარსელიეზადან. მოგვყავს ეს ადგილები:

„...ზიზღით ვუცქერით ჩვენ ოქროს კერპებს!“ არ გვინდა ბურჟუათა და მჩაგვრელთა სამეფო! წყევლა-კრულვა და სიკვდილი კაპიტალიზმს, რომელსაც თან სდევს სიღატაკისა და სისხლის ღვრის საშინელებანი! გაუმარჯოს შრომის სამეფოს, გაუმარჯოს სოციალიზმს!

„...მეფის ტახტის ვართ მოსისხლე მტერი!“, „ჩვენ მხარი მივცეთ ჩვენს ტანჯულ მოძმეს, მშიერ ხალხს ხელი ჩვენ გავუწოდოთ!“ „სიკვდილი პირსისხლიან ცარიზმს! სიკვდილი თავად-აზნაურთა საკუთრებას!“ და სხვ. (ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 234-23ა, 246).

კერძოდ, იქ დაიბეჭდა ი. ბ. სტალინის განთქმული ნაშრომი „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“.

გაზეთ „ახალი დროების“ ფურცლებზე, პროფკავშირული საკითხების გარკვევასთან ერთად, დიდი ყურადღება ექცეოდა პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის პრობლემებს. გაზეთი რაზმავდა თავის მკითხველებს თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

გარდა პოლიტიკური წერილებისა, ფელეტონებისა და კორესპონდენციებისა, გაზეთში ხშირად იბეჭდებოდა რევოლუციური შინაარსის ლექსებიც. სულ გაზეთის ცხრა ნომერში გამოქვეყნდა რვა ლექსი, მათ შორის ერთი თარგმანი. ეს ლექსები, ისევე როგორც გაზეთის ყველა სხვა მასალა, ხელმოწერილი იყო ფსევდონიმებით.

მრავალფეროვანია ამ პოეტურ ნაწარმოებთა თემატიკა. ისინი ეხებიან ჩვენი ხალხის სოციალური და პოლიტიკური ბრძოლის საკითხებს, ქვეყნის ჩაგვრას თვითმპყრობელობის რეჟიმის პირობებში, რევოლუციონერთა დევნას და სხვ. ლექსები კარგად გვიხატავენ მუშათა კლასისა და მთელი ჩვენი ხალხის სულისკვეთებას პირველი რევოლუციის დამარცხებისა და სასტიკი რეაქციის გაბატონების პერიოდში.

ამ ლექსების უფრო ახლო გაცნობა საშუალებას მოგვცემს გავითვალისწინოთ თავისებური ხა-

სიათი ბოლშევიკურ გაზეთში გამოქვეყნებული პოლიტიკური ლირიკის ნიმუშებისა.

ასე, მაგალითად, ლექსში „სურვილი“ ოცი სტრიქონის მანძილზე ავტორს გადმოცემული აქვს სოციალური და პოლიტიკური ბრძოლის მთელი პროგრამა*. პოეტის სურვილს შეადგენს სახელმწიფოს სხვაგვარად მოწყობა, რომ ხალხი განთავისუფლდეს მძიმე და აუტანელი ხარჯებისაგან; რომ მას აღარ აწუხებდნენ ბიუროკრატი მოხელეები; ბოლო მოეღოს მშრომელთა უსამართლო ჩაგვრას; მოისპოს ხალხთა შორის ომი; მეომრები დაუბრუნდნენ მშრომელთა ოჯახს და მათზე გასაწევი ხარჯი მოხმარდეს ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდას; მოისპოს წოდებრივი განსხვავება, დამყარდეს ძმობა, ერთობა, სიტყვის, კრებისა და პრესის თავისუფლება; დასასრულ, ავტორი გამოთქვამს სურვილს „სასულიერო მამათა“ აღგვის შესახებ პირისაგან მიწისა.

სასულიერო მამების პასუხადაა დაწერილი გაზეთის მომდევნო № 3-ში გამოქვეყნებული ლექსი „სახრჩობელასთან“, რომელსაც ხელს აწერს „ცალხელი“.

„ძირს კერპები!“ — ამ პათეტიკური მოწოდე-

---

* „ახალი დროება“, 1906 წ., № 2, ლექსს ხელს აწერს ფსევდონიმი „კირკა“.

ბით იწყება პირველი სტრიქონი ლექსისა. ავტორი ბრძოლას უცხადებს კლერიკალ-ფანატიკოსებს, რომლებიც მუშათა კლასის მტრების ბანაკს მიჰკედლებიან. იგი მზადაა ფეხქვეშ გასთელოს კერპთმსახურნი და მათი ცრუ იდეალები, რადგან „ვულკანის ძეთა“ სამშობლოსა და ნამდვილ ტაძარს სოციალიზმი წარმოადგენს. ლექსი თავდება შემდეგი სტრიქონებით:

ქედს არ ვიხრი... ფეხქვეშ ვთელავ
მტარვალებს და იმათ მცნებას!

„ახალი დროების“ ფურცლებზე დაბეჭდილ პოეტურ ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა იროდიონ ევდოშვილის ლექსი „ნერონი“ (1906 წ., 11 დეკემბრის № 5). ლექსს ახასიათებს მძაფრი პოლიტიკური სიმახვილე და პოეტური მგზნებარება. ამ დროისათვის უკვე სახელგანთქმული პოეტი თავისი ალეგორიული ლექსის სტრიქონებს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართავს:

რომი იწვება, რომი ინთქება,
გახვეულია ის ცეცხლის ალში,
კვნესა, ვაება, ტირილ-გოდება
ისმის ყოველგან დატანჯულ ხალხში.

აქ გარბის დედა ძუძუთა შვილით,
დანგრეულ ოჯახს იქ სტირის მამა,
ათიათასი უმანკო მსხვერპლი
შთანთქა გენიამ, შთანთქა საფლავმა!

ამ ტაეპებით იწყება ეს ლექსი. პოეტი აღწერს ხალხის მასობრივი დარბევისა და აწიოკების საზარელ სურათს და მკითხველი კარგად გრძნობს, რომ აქ ლაპარაკია არა ძველი რომის ცხოვრებაზე, არამედ თანამედროვე რეალურ სინამდვილეზე, რომლებსაც მეფის პლასტუნებისა და ჩაფრების დამსჯელი რაზმები ცეცხლსა და მახვილს აძლევდნენ სოფლებსა და ქალაქებს, ანადგურებდნენ ხალხის დოვლათს, ათასობით ხოცავდნენ და აწამებდნენ ხალხის საუკეთესო შვილებს. პოეტი აგვიწერს იმპერატორ ნერონის (იგულისხმება ნიკოლოზ მეორე) და მისი კარისკაცების ხროვის ზეიმს ხალხის უბედურების ჟამს.

ლექსი თავდება ხალხის მრისხანე შურისძიების სურათით, როდესაც ტანჯულ-ნაწამებმა მასებმა ნანგრევებად აქციეს იმპერატორის სასახლე და „უბრალო მონამ გული გაუპო მეფეს სისხლის მსმელს, მეფეს მტარვალსა“.

სავსებით გასაგებია ჩვენთვის, თუ პოლიტიკურად რა აქტუალური და მახვილი უნდა ყოფილიყო ეს ლექსი შავი რეაქციის მძვინვარე დღეებში. ი. ბ. სტალინის მებრძოლ ორგანოში დაბეჭდილი ეს ლექსი აღწერდა ხალხის რბევასა და განადგურებას და მკითხველში აღძრავდა ნათელი ოპტიმიზმის გრძნობას, ტირანების დამხობისა და სოციალური სამართლიანობის გამარჯვების მტკიცე და ურყევ რწმენას.

ი. ევდოშვილის ლექსი გაზეთში დაბეჭდილია თვალსაჩინო ადგილას, მნიშვნელოვანი ხასიათის თეორიული წერილის წინ. ეს უკვე მოწმობს იმ საპატიო როლს, რომელსაც განუკუთვნებდა რედაქტორი ამ იდეურად გამიზნულ ლექსს გაზეთის სხვა დანარჩენ მასალათა შორის.

გაზეთ „ახალი დროების“ 1906 წლის № 7-ში მოთავსებულია ლექსი „ამხანაგებო, შეერთდით“. ეს პოეტური ნაწარმოები შეკავშირებისაკენ მოუწოდებს მუშათა მასებს, აფრთხილებს მათ არ აჰყვნენ მზაკვრულად შენიღბულ მტრებს, რომლებიც მუშათა კლასის „პატრონობას“ იჩემებენ. როგორც ვიცით, გაზეთი „ახალი დროება“ პროფკავშირული გაზეთი იყო და ეს ლექსიც თავისი თემატიკით უპასუხებდა ბოლშევიკური პროფკავშირული ორგანოს მიზნებსა და ამოცანებს.

ლექსს „ამხანაგებო შეერთდით“ გაზეთში მოსდევდა გაგრძელება ამხანაგ სტალინის ნაშრომისა: „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“

„ახალ დროებაში“ გამოქვეყნებულ ლექსებიდან უნდა აღინიშნოს აგრეთვე ფსევდონიმით დაბეჭდილი ლექსი „ბაზარზე“ (1907 წ., № 9), რომელიც აგვიწერს ქალაქის ქუჩის სურათს და ერთი მხრივ — გვიჩვენებს „განცხრომის ძეს“, ხოლო მეორე მხრივ — მუშას, ჯაფითა და სიღარიბით დაოსებულს. ქუჩის პერსონაჟთა შორის ავტორი გვი-

ხატავს მეძავ ქალსაც, როგორც უკუღმართი სოციალური წყობილების მსხვერპლს.

გაზეთის 1907 წლის 1-ლი იანვრის ნომერში, სხვათა შორის, მოთავსებულია თარგმანი ვიქტორ ჰიუგოს ლექსისა „ბარიკადაზე“. ამ ლექსის თემა თავისი ხასიათით საკმაოდ ნაცნობი იყო ქართველი მუშებისათვის, რომელთაც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ჰქონდათ გავლილი საბარიკადო ბრძოლის ქარცეცხლი.

ამაზე ვამთავრებთ „ახალ დროებაში“ გამოქვეყნებული პოეტური მასალის მიმოხილვას.

„ახალ დროებასთან“ ერთად ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობდა გაზეთ „მნათობის“ გამოცემასაც. ამ გაზეთის პირველი ნომერი 1907 წლის 1-ლ იანვარს გამოვიდა. რედაქციამ მოასწრო სულ ხუთი ნომრის გამოცემა, მათ შორის ორი აიკრძალა. იმავე წლის 6 იანვარს გაზეთი დაიხურა თბილისის გუბერნატორის განკარგულებით. მიუხედავად ამისა, გაზეთმა მაინც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პარტიის სამოქმედო პროგრამის გაშუქების თვალსაზრისით.

ი. ბ. სტალინი შემდეგნაირად ახასიათებდა მიმდინარე მომენტს: „დღეს უკვე ცხადია, რომ ხალხის რევოლუცია არ ჩამქრალა. რომ, მიუხედავად „დეკემბრის დამარცხებისა“, ის მაინც იზრდება და უმაღლესი წერტილისკენ მიექანება.

ჩვენ ვამბობთ, რომ ეს ასეც უნდა იყოს: რევოლუციის მამოძრავებელი ძალები ისევ ცოცხლობენ და მოქმედებენ...“ „...შორს აღარაა ის დრო, როცა ხალხის რევოლუციური მღელვარება მრისხანე ნიაღვრად გადმოხეთქავს... ჩვენ აჯანყების წინა დღეებში ვიმყოფებით“*.

ი. ბ. სტალინის ამ გენიალური პროგნოზის ერთგვარ მხატვრულ ილუსტრაციას წარმოადგენდა გაზეთ „მნათობის“ 1907 წლის საახალწლო ნომერში (1 იანვ. № 1) დაბეჭდილი ლექსი „საჩუქარი“. ნაწარმოები აღნიშნავდა რეაქციის ტერორის საშინელებას და ბოლშევიკების თავგანწირულ ბრძოლას თვითმპყრობელობასთან; ამასთან იგი შეიცავდა რევოლუციური ბარიკადებისაკენ თამამ მოწოდებას:

აი ეს ლექსიც:

მეგობრებო, ამ ახალ წელს
მსურს მოგიძღვნ-თ საჩუქ-რი:
ამხ-ნაგთა საფლავები
და დედების გლოვის ზარი!

მეგობრებო, ამ ახალ წელს
მსურს გისურვოთ მხოლოდ ერთი, —
იგივ ბედი, იგივე გზა,
გოლგოთასთან შემ-ერთი!

---

* „დღევანდელი მომენტი და მუშათა პარტიის გამაერთიანებელი ყოილობა“, 1906 წ., თხზულებანი, ტ. 1, გვ. 236—237.

მეგობრებო, ახალ წელსაც
არსადა სჩანს გ:ნთიადი.
მაშ საჩუქრად მომიძღვნია
თქვენთვის წმინდა ბარიკადი!

ეს ლექსი, რომლის ავტორიც ირ. ევდოშვილი იყო, აჯანყებისა და საბარიკადო ბრძოლისკენ მოუწოდებდა მუშა-მკითხველთა ფართო მასებს. ცხადია, ასეთი მასალების დაბეჭდვა დაუსჯელად არ ჩაუვლიდა გაზეთს და, როგორც ვთქვით, იგი აკრძალულ იქნა კიდეც მეხუთე ნომრის შემდეგ.

ირ. ევდოშვილი 1906-7 წლების მანძილზე ახლო თანამშრომლობას ეწეოდა ბოლშევიკურ ორგანოებში. გარდა რევოლუციური ბრძოლის სულისკვეთებით გაჟღენთილი ლექსებისა, პოეტი იქ ათავსებდა მახვილ პუბლიცისტურ-სატირულ ფელეტონებსაც, რომელთა თემატიკა მიმდინარე საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საკითხებს შეეხებოდა*.

ჩვენ ზემოთ შევეხეთ ირ. ევდოშვილის ლექსებს, გამოქვეყნებულს „ახალ დროებასა“ და „მნათობში“. ამ გაზეთების დახურვის შემდეგ ირ. ევდო-

---

* ასეთებია: საახალწლო ვიზიტები (რიგოლეტოს ხელმოწერით) „ახალი დროება,“ 1906 წ., № 8; ყარამანიანი (ფელეტონი) „მნათობი,“ 1907 წ., № 2; ტრაგი-კომედია (ლექსად) „ჩვენი ცხოვრება“, 1907 წ., № 4; პატარა ფელეტონი—„ჩვენი ცხოვრება“, 1907 წ., № 5; პატარა ფელეტონი—„დრო“, 1907 წ., №№ 7, 9 და 15; ტრაგი-კომედია—„დრო“, 1907 წ., № 19.

შვილის ლექსები იბეჭდებოდა გაზეთ „ჩვენს ცხოვრებაში“.

ამ გაზეთის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი ისევ ი. ბ. სტალინი იყო. გაზეთი გამოდიოდა თბილისში 1907 წლის თებერვლიდან. სულ გამოვიდა 13 ნომერი და იმავე წლის ექვს მარტს დახურა მთავრობამ „უკიდურესი მიმართულებისათვის“.

გაზეთი მებრძოლი ბოლშევიკური ორგანო იყო. მის ფურცლებზე დაიბეჭდა ი. ბ. სტალინის მთელი რიგი შრომები თეორიულ და ტაქტიკურ საკითხებზე, მათ შორის „საარჩევნო ბრძოლა პეტერბურგში და მენშევიკები“, გაგრძელება ნაშრომისა „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“ და სხვ.

ი. ბ. სტალინი ამ გაზეთის ფურცლებზედაც საკმაოდ მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა რევოლუციური პოეზიის ნიმუშებს. ასე, მაგალითად, „ჩვენი ცხოვრების“ ფურცლებზე მან გამოაქვეყნა ირ. ევდოშვილის სამი ლექსი, მ. გორკის ცნობილი ლექსი „მზე ამოდის და მზე ჩადის“ და სხვ.

იხსენებდა რა რეაქციის მძიმე წლებს, სტალინი 1922 წელს წერდა: „პარტიის ახალგაზრდა წევრებს, რა თქმა უნდა, არ განუცდიათ და არ ახსოვთ ამ რეჟიმის სიმშვენიერენი. რაც შეეხება მოხუცებს, მათ, ალბათ, ახსოვთ ავად მოსაგონარი დამსჯელი ექსპედიციები, ავაზაკური თავდასხმები მუშათა ორგანიზაციებზე, გლეხების

მასობრივად გამათრახება და,—როგორც ყოველივე ამის საფარი, — შავრაზმულ-კადეტური სათათბირო. საზოგადოებრივი აზრის შებოჭილობა, საერთო დაღლილობა და აპათია, გაჭირვება და სასოწარკვეთილება მუშებს შორის, გლეხთა დაბეჩავებულობა და დაშინებულობა პოლიციურ-მემამულურ-კაპიტალისტური ხროვის საერთო თარეშის პირობებში — ასეთია სტოლიპინური „დამშვიდების“ დამახასიათებელი ნიშნები...

სავსებით ზეიმობდა მათრახი და სიბნელე. „სისაძაგლე აოხრებისა“—ასე ხასიათდებოდა მაშინ რუსეთის პოლიტიკური ცხოვრება“*.

ასეთი მდგომარეობა იყო იმ დროს მთელ რუსეთში და, კერძოდ, საქართველოში.

ამგვარ პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ ვითარებაში გამოდიოდა ბოლშევიკური გაზეთი „ახალი ცხოვრება“. ამ ვითარებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა არა მარტო გაზეთის თეორიული და პუბლიცისტური ხასიათის წერილებსა და ფელეტონებში, არამედ იმ პოეტურ ნაწარმოებებშიაც, რომლებიც მის ფურცლებზე ქვეყნდებოდა.

აქ პირველ რიგში გვინდა აღვნიშნოთ ირ. ევდოშვილის ორი ლექსი, სადაც ღრმა ლირიზმი

---

* ი. სტალინი, „პრავდის“ ათი წლისთავისათვის. „პრავდა“, № 98, 1922 წ., 5 მაისი; თხზულებანი, ტ. 5, გვ. 141—142.

პოეტისა ორგანულად არის დაკავშირებული თანადროულობის მნიშვნელოვან სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემებთან.

„ჩვენი ცხოვრების“ 1907 წლის № 2-ში დაბეჭდილია ირ. ევდოშვილის „გულის ტოლო“, ხოლო № 3-ში მისივე ლექსი „ტკბილი წარსული“. ამ ლექსების ბოლშევიკური ორგანოს ფურცლებზე გამოქვეყნება უნდა ჩაითვალოს საგულისხმო ფაქტად, რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოვიტანოთ გარკვეული ხასიათის სახელმძღვანელო დასკვნა. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია უფრო ახლო დავუკვირდეთ ამ პოეტურ ნაწარმოებთა შინაარსსა და იდეურ გამიზნულობას.

ნუ გაგვიკვირდება, თუ ვიტყვით, რომ ორივე ეს ლექსი თავისი თემატიკით სასიყვარულო ლირიკის ჟანრს მიეკუთვნება. ორივე ლექსის მთავარი გმირი ახალგაზრდა შეყვარებული ქალია. ლექსში „გულის ტოლო“ ქალი მიმართავს თავის სატრფო-ვაჟკაცს, მებრძოლ რევოლუციონერს, რომელიც მეფის ჯალათებს ბორკილებში ჩაუჭედავთ და შორეული ციმბირისაკენ წასაყვანად გაუმზადებიათ. მაგრამ აქ უმჯობესია პოეტს დავუთმოთ სიტყვა და გავეცნოთ მის ლექსს:

გულის ტოლო, შენთან ერთად
მეც წამოვალ ცივს ციმბირში,

ვერ დაგტოვებ, მინდა შენთან
ვიყო მწარე გასაჭირში!

შეგვაერთა სიყვარულმა
და ვერ გაგვყრის მწარე ბედი,
არ ჩვეულა შენი სატრფო
დაიხაროს დაბლა ქედი!

კარგად ვგრძნობდი, საყვარელო,
ვისაც მივე ჩემი გული,
ვიცოდი, რომ გოლგოთისკენ
შენ გზა გქონდა აღმართული!

ჩვენ აზრი აზრს შევუთანხმეთ,
ჩავაკონეთ ფიქრი ფიქრებს,
ახლაც ცრემლით დავასველებ
მაგარ რკინას, შენს ბორკილებს!

მოეპყარი თავით ჩემს გულს,
ნუ გცხვენია ცრემლებისა,
სამშობლოდან მოწყვეტილო,
მსხვეპლო ცივის ციმბირისა!

აქვითინდი ამ ჩემს მკერდზე,
მოეშვება გულს ნაღველი,
მოკვდა ჩვენთვის, გაქრა ჩვენთვის
გაზაფხული სანატრელი!

გულის ტოლო, შენთან ერთად
მეც მოვდივარ ცივს ციმბირში,
როგორც აქა, ისე იქა
ერთად ვიყოთ გასაჭირში!

როგორც ვხედავთ, სიყვარულის ფაქიზი გრძნობა ამ ლექსში აყვანილია მაღალი საზოგადოებრივი მორალის ხარისხამდე. იგი ავტორის მიერ ნაჩვენებია ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ფართო ფონზე. თავგანწირულება შეყვარებული ქალისა პოეტს დაკავშირებული აქვს მშობლიური ხალხის ტრაგიკულ ბედთან. თემა სიყვარულისა აქ გაშუქებულია კონკრეტულ-ისტორიულ ასპექტში და გააზრებულია არა როგორც დროსა და სივრცეს მოწყვეტილი განყენებული იდეა, არამედ როგორც ფაქტი დიდი სოციალური მნიშვნელობისა.

მეორე ლექსი სათაურით „ტკბილი წარსული“, აგრეთვე სასიყვარულო ლირიკის ნიმუშს წარმოადგენს. შეყვარებული ქალი ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაშორებულია თავის სატრფოს, რომელიც მას იდეალურ გმირად წარმოუდგენია. ბოლოს იგი ხვდება თავის სანატრელ ადამიანს. სამწუხაროდ, ამ შეხვედრას ქალისთვის მხოლოდ იმედების გაცრუება და სულიერი სატანჯველი მოაქვს:

გავიდა წელი, შევხვდი, მაგრამ ის აღარ იყავ,
ცბიერ ცხოვრებას დაეჩინა თავისი კვალი,
სადღაა იგი გულწრფელობა, უშანკოება,
შენს არსებაში ჩაბმულიყო სიმი ახალი!

და ის კვნესოდა: „მეც ცხოვრების ერთი შვილი ვარ,
გარემოების სათამაშო, მან გადამლახა,

შენ გმირს ეძებდი, მე კი მხოლოდ ყმა და მიწა ვარ,
ამ ჩემ მკერდზედაც მის ბრჭყალები გამოისახა!

აქ თავდება ქალის იდეალური სიყვარული. ვიწრო ეგოისტური ინტერესების ნაჭუჭში ჩაკეტილი ობივატელი არასოდეს არ გახდება მისი გულის მოზიარე. როგორც ქალი და ადამიანი, იგი მწარედ დასტირის თავის ბედსა და გაცრუებულ სიყვარულს, მაგრამ როგორც მაღალი საზოგადოებრივი შეგნებისა და მორალის მატარებელი პიროვნება, ის არჩევს ყოფილ სატრფოსთან სამუდამო განშორებას.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ ევდოშვილის ეს ლექსები, მიუხედავად იმისა, რომ სპეციფიკურ სატრფიალო ლირიკის ჟანრს მიეკუთვნებიან, ატარებენ მაღალიდეურ მიზანდასახულებას და ეხმაურებიან თავისი დროისა და ცხოვრების მიერ წამოჭრილ საზოგადოებრივ პრობლემებს.

ირ. ევდოშვილის ეს ლექსები ამ შემთხვევაში გვაინტერესებს არა როგორც მაგალითები მისი შემოქმედების ზოგიერთი თავისებურობის დასახასიათებლად. ეს ნაწარმოებები ჩვენს ყურადღებას იპყრობენ, როგორც მაღალი იდეურობით გამსჭვალული პოეტური ნიმუშები, სადაც კანონზომიერად და დიდი ტაქტით არის დაკავშირებული ერთმანეთთან მარადიული თემა სიყვარულისა კონკრე-

ტულ-ისტორიულ სინამდვილესთან, ხალხის ცხოვრების აქტუალურ პრობლემატიკასთან.

აი, ასეთი ხასიათის სასიყვარულო ლირიკის ნიმუშების ბეჭდვას სთვლიდა თავის ფურცლებზე საჭიროდ და მიზანშეწონილად მებრძოლი ბოლშევიკური გაზეთი და მისი ხელმძღვანელი და შთამგონებელი დიდი სტალინი.

ეს საგულისხმო ფაქტი ღრმა მნიშვნელობის სახელმძღვანელო მაგალითს წარმოადგენს თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურისათვის.

ირ. ევდოშვილის ნაწარმოებთაგან „ჩვენი ცხოვრების“ ფურცლებზე (№ 9) გამოქვეყნდა კიდევ ლექსი „სულმდაბალნო, გულით, გრძნობით...“

ამ ლექსებით გაზეთი „ჩვენი ცხოვრება“ რეაქციის მძვინვარებისა და საზოგადოებრივი სულიერი დეპრესიის ეპოქაში ოპტიმისტურ სულისკვეთებას და მხნეობას ნერგავდა მკითხველ მასებში, აღვივებდა ბრძოლის წყურვილს და შეურიგებლობის გრძნობას ცარიზმისადმი.

უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა „ჩვენი ცხოვრების“ ფურცლებზე (1907 წ., № 1) მაქსიმ გორკის სახელგანთქმული ლექსის „მზე ამოდის და მზე ჩადის“ გამოქვეყნება. მისი ჩინებული თარგმანი ეკუთვნოდა ირ. ევდოშვილს:

მზე ამოდის და მზე ჩადის,
ჩემს ციხეს კი ბნელი ფარავს,

დღე და ღამე ყარაულნი
სდარაჯობენ ჩემს ფანჯარას.

როგორც გსურდეთ, მიდარაჯეთ,
არა ვფიქრობ მე გაქცევას,
თუმც კი მინდა, მაგრამ ვიცი,
ვერ დავამტვრევ ამ რკინის ჯაჭვს.

ეხ. ბორკილო, რკინის ხუნდო,
შენ ხარ ჩემი ყარაული,
ვერ დაგამტვრევ, ვერ დაგამსხვრევ,
დაავადდა ჩემი გული.

ეს ლექსი თავის დროზე დიდი პოპულარობით და სიყვარულით სარგებლობდა რუსეთის რევოლუციურ მუშათა კლასში მან თავისი გამოძახილი ჰპოვა ქართული ბოლშევიკური პრესის ფურცლებზედაც. როგორც ცნობილია, მ. გორკის ეს ლექსი ამოღებულია მისივე სახელგანთქმული პიესიდან „ფსკერზე". ეს პიესა პირველად 1902 წელს დაიბეჭდა და ამავე წლის დეკემბერში დაიდგა მოსკოვის სამხატვრო თეატრის სცენაზე. დამდეგი წლის თებერვალში იგი უკვე აკრძალა მთავრობამ. თბილისის რუსულ სცენაზე ჰიესა ორჯერ წარმოადგინეს 1903 წლის ივლისში. ამ სპექტაკლებს, რომლებიც საქართველოში ჩამოსული მ. გორკის პატივსაცემად დაიდგა, დაესწრო თვითონ ავტორი.

პიესა „ფსკერზე“ ქართულ ენაზე პირველად 1907 წელს გამოიცა. მისი მთარგმნელი იყო პოეტი ბეგლარ ახოსპირელი*. შემდეგი წლის მაისში პიესა პირველად წარმოადგინეს ქართულ სცენაზე. ამ სპექტაკლში მონაწილეობდნენ გამოჩენილი ქართველი მსახიობები: ვასო აბაშიძე, ვალ. გუნია, ნატო გაბუნია, ვ. გამყრელიძე, ალ. იმედაშვილი, ნიკო გოცირიძე და სხვ. შემდგომ ეს პიესა ხშირად იდგმებოდა ქართულ სცენაზე, ქუთაისისა და ბათუმის თეატრებშიაც. მომდევნო -თაობის მსახიობთაგან ამ პიესაში მონაწილეობა მიუღიათ შალვა დადიანს, მიხ. გელოვანს და სხვებს.

მ. გორკი ქართველი მკითხველი მასების საყვარელი მწერალი იყო. მისი ნაწარმოებები ძალიან ხშირად იბეჭდებოდა ქართულ პერიოდულ გამოცემებში 900-იანი წლების დასაწყისიდანვე. მ. გორკის მოთხრობების პირველი ქართული კრებული 1902 წელს გამოიცა. ამ გამოცემის წინასიტყვაობაში, სხვათა შორის, ეწერა: „ამდენი გატაცებული მკითხველი, ამდენი თაყვანისმცემელი ასე მოკლე დროში არც ერთ რუსის მწერალს არ მოუპოვებია“.

გაზეთ „ჩვენს ცხოვრებაში“ მ. გორკის პოპუ-

---

* მ. გორკი, „ფსკერზე“, თარგმანი ბეგლარასი. თბილისი, 1907 წ., გამოცემა „მერანისა“.

ლარული ლექსის „მზე ამოდის და მზე ჩადის“ გამოქვეყნება გამოწვეული იყო, ჯერ ერთი, მისი აქტუალური შინაარსით: იქ ხომ საპყრობილესა და ბორკილებზეა ლაპარაკი, რომლებიც იმდროინდელი პოლიტიკური სინამდვილის მრავალმეტყველ სიმბოლოებს წარმოადგენდნენ. მეორე მიზეზი ლექსის გამოქვეყნებისა, ჩვენი აზრით, იყო ბოლშევიკური გაზეთის რედაქციის სურვილი უფრო ღირსეული, მაღალმხატვრული თარგმანის სახით მიეცათ მ. გორკის სახელგანთქმული სიმღერა ქართველ მკითხველთა მასებისათვის. მართლაც, ბეგლარ ახოსპირელის უფერულ, ღარიბ თარგმანთან შედარებით ი. ევდოშვილის თარგმანი გაცილებით მაღლა იდგა როგორც მხატვრული თვალსაზრისით, ისე ორიგინალთან სიახლოვითა და მისი დედააზრის ზუსტი გადმოცემით.

გაზეთი „ჩვენი ცხოვრება“, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავისი უკიდურესი რევოლუციური მიმართულების გამო მთავრობამ აკრძალა. გაზეთის დახურვასთან ერთად პოლიციამ კონფისკაცია გაუკეთა მთელ მის სასტამბო მოწყობილობასაც. მაგრამ ამ გარემოებამ ვერ შეაფერხა ბოლშევიკური პრესის გამოცემის საქმე. ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით, „ჩვენი ცხოვრების“ დახურვის მეოთხე დღესვე თბილისში გამოსვლას იწყებს ყოველდღიური გაზეთი „დრო“.

გაზეთი გამოდიოდა 1907 წლის 11 მარტიდან 15 აპრილამდე. სულ გამოვიდა 31 ნომერი, შემდეგ კი ისიც დაიხურა თბილისის გუბერნატორის განკარგულებით, როგორც „უაღრესად მავნე მიმართულების გაზეთი“.

„დრო“ უკანასკნელი ლეგალური ქართული ბოლშევიკური გაზეთი იყო. მის შემდეგ საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ბოლშევიკური გაზეთების გამოცემის საქმე საქართველოში შეუძლებელი შეიქნა.

ი. ბ. სტალინი, როგორც ორგანიზატორი და ხელმძღვანელი გაზეთისა, პირადად იყო ჩაბმული სარედაქციო საქმიანობაში. მასთან ერთად რედაქციაში მუშაობდნენ მიხა ცხაკაია და მ. დავითაშვილი.

ი. ბ. სტალინი უშუალო რედაქციას უკეთებდა გაზეთის მასალებს, წერდა მოწინავე სტატიებსა და თეორიულ წერილებს. მისი სტატიები იბეჭდებოდა .კობას“ ფსევდონიმით. გაზეთ „დროში“ გამოქვეყნდა ი. ბ. სტალინის მთელი რიგი ნაშრომები: „პროლეტარიატი იბრძვის, ბურჟუაზია კავშირს ჰკრავს მთავრობასთან“, „კადეტების თვითმპყრობელობა თუ ხალხის თვითმპყრობელობა“, „ამხ. გ. თელიას ხსოვნას“, გაგრძელება ნაშრომისა „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“ და სხვ.

გაზეთ „დროს“ ფურცლებზედაც, ისევე, როგორც მის წინამორბედ გამოცემებში, პერიოდულად იბეჭდებოდა პოეტური პროდუქცია. გაზეთში გამოქვეყნდა ხუთი ლექსი, მათ შორის ერთი თარგმანი.

ამ ლექსებიდან, პირველ ყოვლისა, გვინდა შევჩერდეთ ლექს-აკროსტიხზე, რომელიც მიძღვნილი იყო მუშა-ბოლშევიკ გიორგი თელიას ხსოვნისადმი. გიორგი თელიას გარდაცვალების გამო ი. ბ. სტალინმა ამავე გაზეთის ფურცლებზე გამოაქვეყნა შესანიშნავი წერილი, სადაც ბიოგრაფიის გარდა მოცემული იყო გ. თელიას, როგორც პარტიისათვის ერთგული და თავდადებული მუშაკის, კლასიკური დახასიათება*.

გ. თელია (1880—1907) იყო რკინიგზის მთავარ სახელოსნოების მუშა. თბილისში იგი აქტიური მონაწილე იყო 1901 და 1903 წლების დიდი დემონსტრაციებისა თბილისში, რომლის შემდეგ, არალეგალურ მდგომარეობაში გადასული, ენერგიულ პარტიულ მუშაობას ეწეოდა. 1903 წელს გ. თელია დააპატიმრეს და წელიწად-ნახევარს იჯდა ჯერ ბათუმის, შემდეგ ქუთაისის ციხეში, სადაც ჭლექით დასნეულდა. ამან ხელი არ შეუშალა მას, რომ ციხიდან გაქცეულიყო და კვლავ ინტენსიურად

* „დრო“, 1907 წ. 10 მარტის № 10; ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 28—32.

განეგრძო პარტიული მუშაობა. 1905 წელს გ. თელია ი. ბ. სტალინთან ერთად მონაწილეობდა სრულიად რუსეთის პირველ ბოლშევიკურ კონფერენციაზე ტამერფორსში, როგორც ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების დელეგატი.

გ. თელია ლიტერატურულ მოღვაწეობასაც ეწეოდა. ბოლშევიკურ გაზეთებში „ახალ ცხოვრებასა“ და „დროში“ მან მოათავსა მთელი რიგი თეორიული და პოლემიკური ხასიათის წერილები.

გ. თელიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით გაზეთ „დროში“ დაიბეჭდა მრავალი სხვადასხვა ხასიათის მასალა. ი. ბ. სტალინის წერილის გარდა, გაზეთის ფურცლებზე მოთავსებულ იქნა რამდენიმე სტატია და საინფორმაციო შინაარსის წერილი, სადაც გაშუქებული იყო ბოლშევიკი მუშის რევოლუციური მოღვაწეობა, მისი გარდაცვალების ამბავი და ვრცელი კორესპონდენცია დასაფლავების დროს მოწყობილი დემონსტრაციის შესახებ*.

გაზეთი არ დასჯერდა ამ მასალას და საჭიროდ დაინახა პოეტური სიტყვითაც აღენიშნა პარტიის ერთგული წევრის ხსოვნა. გაზეთის მე-18 ნომერში დაიბეჭდა მუშა-ავტორის ლექსი-აკროსტიხი, მიძღვნილი გ. თელიასადმი**. ლექსში

---

* გაზ. „დრო“, 1907 წ., №№ 9, 10, 11, 13,15.

** ლექსი ხელმოწერილი იყო ფსევდონიმით „მიმინო“,

დახასიათებულია გ. თელიას შეუპოვარი ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, მისი ურყევი რწმენა, რომ „ოქროს კერპები" დაემხობიან და ხალხი მოიპოვებს თავისუფალ ცხოვრებას. ეს ლექსი თავისი შინაარსითა და იდეური გამიზნულობით გაზეთში მოთავსებული პოლიტიკური წერილებისა და ინფორმაციების საუკეთესო მხატვრულ ილუსტრაციას წარმოადგენდა.

გაზეთის ფურცლებზე მოთავსებულ პოეტურ ნაწარმოებთაგან აღსანიშნავია აგრეთვე გმირული სულით და ნათელი ოპტიმიზმით გამსჭვალული ლექსი „მეგობრებს" („დრო", № 24). ეს ნაწარმოები პათეტიკურ მოწოდებას წარმოადგენს რევოლუციის დამარცხებით შემკრთალი ზოგიერთი მებრძოლისადმი:

ნუ გაშინებთ ციხე, ტყვია,
სახრჩობელა, მათრახები,
ნურც ციმბირი, ნურც კატორღა
და ნურც ვერაგ-ჯალათები...

...გასწით! მედგრად მტერს ეკვეთეთ,
შეალიეთ ღონე, ძალი,

რომელიც ეკუთვნოდა ივ. ხანდამაშვილს. მისი ნაწერები, ამავე ფსევდონიმით, იბეჭდებოდა აგრეთვე შემდეგ გამოცემებში: გაზ. „ცის ნამი" (1907 წ.), გაზ. „მასხარა" (190 წ.), კრებული „ოხუნჯი" (1907 წ.), ჟურ. „შურდული" (1907 წ.), კრებული „ბზიკი" (1907 წ.), ალმანახი „ქორწინება" (1909 წ.).

სიკვდილი, ან გამარჯვება!
ან ჩვენა და ან მტარვალი!

მეტად საგულისხმოა „დროს“ ფურცლებზე (№ 31) მოთავსებული ლექსი „ოდეს ცისკარი გაიღებს კარებს“*. ის გამსჭვალულია ხალხის გამარჯვების ურყევი რწმენით და მძლე ოპტიმისტური სულისკვეთებით. გარდა ამისა, ლექსში გამოხატულია მშრომელთა გულში საუკუნეებით ნაზარდი იმედი ჩაგრულთა და ტვირთმძიმეთა ჭხსნელი გმირის გამოჩენისა ხალხის წიაღიდან.

ლექსი იწყება ქართლის განთიადის პოეტური სურათით. მზე ამოდის, მისი სხივები მდელოს ეფინება. ღამის წყვდიადი ქრება. ნიავი მოქრის ჰალაში. ბულბული სტვენით ატკბობს არაგვის ნაპირებს. ბუნების ამ დიდებული ზეიმის შემყურე პოეტის სულში იღვიძებს იმედის გრძნობა:

ოდეს მინდვრიდან ხმა მაშვრალისა
არაგვის ხეილს შეუერთდება
და ზედ დაძახილ ოროველას ხმით
ირგვლივ მიდამო სმენით დატკბება,—

მაშინ ეძლევა ამ გულსაც ლხენა,
მაშინ ეძლევა ამ გულს ნუგეში
და ვხედავ სურათს, დიდებულ სურათს—
გმირს გაღვიძებულს დატანჯულ ერში.

---

* ავტორი—არაგველი.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ მებრძოლი ბოლშევიკური გაზეთი სასტიკ საცენზურო პირობებში, „მათრახისა და სიბნელის სრული ზეიმის ეპოქაში“ მაინც ახერხებდა რევოლუციური მგზნებარებით აღსავსე თამამი სიტყვის მიწოდებას მშრომელთა ფართო მასებისათვის. ამ მხრივ ბოლშევიკური პრესა კარგად იყენებდა ისეთ ნაცადსა და საიმედო იარაღს, როგორიც იყო რევოლუციური პათოსით გაჟღენთილი ლექსი და სიმღერა.

* *

ზემოთ განხილული მხატვრული მასალა, გამოქვეყნებული არალეგალური და ლეგალური ბოლშევიკური გაზეთების ფურცლებზე 1901—1907 წ.წ. მანძილზე, საკმაო წარმოდგენას გვაძლევს იმ დიდ იდეურ-პოლიტიკურ როლზე, რომელსაც ასრულებდა რევოლუციური პოეტური სიტყვა ჩვენი ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ჩვენ ვნახეთ, რომ დიდი ი. სტალინი. იდეური შთამგონებელი და პრაქტიკული ხელმძღვანელი საქართველოს ბოლშევიკური პრესისა რევოლუციის მომზადების ხანაში და აგრეთვე რეაქციის უმძიმეს წლებში, მწერლობას უსახავდა უდიდეს საზოგადოებრივ ამოცანებს, აქცევდა მას დიდი პოლიტიკური და სოციალური იდეების მღაღადებლად, რევოლუციური ბრძოლის უშუალო მონაწილედ და ხალხის ჭირისა და ლხინის ერთგულ მოზიარედ.

ბოლშევიკური პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული პოეტური პროდუქციის გაცნობა საშუალებას გვაძლევს ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ მის საერთო ხასიათსა და მნიშვნელობაზე ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების საერთო განვითარებაში.

ბოლშევიკურ გაზეთებში უმთავრესად იბეჭდებოდა პოლიტიკური ლირიკის ნიმუშები. მათი თემატიკა აღებული იყო ჩვენი ქვეყნის რევოლუციური სინამდვილიდან და ასახავდა ხალხის ცხოვრებას, მის უსამართლო ჩაგვრას, მის შეუპოვარსა და თავგანწირულ ბრძოლას თვითმპყრობელობისა და კაპიტალისტურ-მემამულური წყობილების წინააღმდეგ.

ამ ლექსებს ახასიათებს იდეურ-შინაარსობრივი აქტუალობა, რევოლუციური პათოსი, მებრძოლი, ოპტიმისტური სულისკვეთება.

ლექსების ავტორთა უმეტესობა არ ეკუთვნოდა პროფესიონალი პოეტების რიცხვს. ლექსებს ბეჭდავდნენ მუშები, პროფესიონალი რევოლუციონერები, პარტიული ინტელიგენციის კადრები. კონსპირაციის თვალსაზრისით ლექსების უმეტესობა ფსევდონიმებით იყო ხელმოწერილი. ფსევდონიმებად გამოყენებული იყო დამახასიათებელი სახელწოდებანი. რიგი მათგანი მიუთითებდა ავტორის პროფესიასა ან სოციალურ მდგომარეობაზე, ზოგი მათგანი წარმოადგენდა პარტიულ ზედმეტ სახელს. ასე-

თებია, მაგალითად, ფსევდონიმები: კირკა, ბუკი, ცალხელი, ტუსაღი და მრავალი სხვა.

ეჭვი არაა, ი. ბ. სტალინს, როგორც რედაქტორს, გამოუცდელ ავტორთა ლექსებში შეჰქონდა გარკვეული ხასიათის შესწორებანი, რათა მეტი იდეურ-პოლიტიკური სიმახვილე და მხატვრული გამართულობა მისცემოდა პოეტურ ნაწარმოებს.

ბოლშევიკურ გაზეთებში გამოქვეყნებულ ლექსებსა და სიმღერებს დიდი რეზონანსი ჰქონდათ საქართველოს მშრომელთა ფართო მასებში. თავის ადგილას უკვე აღვნიშნეთ, რომ მარსელიეზას ტექსტი, დაბეჭდილი „ბრძოლაში“, მიღებულ იქნა ხალხის მიერ და ფართოდ გავრცელდა მასებში. იგივე უნდა ითქვას „ვარშაულას“ შესახებაც, რომელსაც მუშები მღეროდნენ დემონსტრაციებისა და სხვა რევოლუციური გამოსვლების დროს.

ქართულმა ბოლშევიკურმა პრესამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ი. ბ. სტალინი, ჯერ კიდევ მიმდინარე საუკუნის დასაწყისი წლებიდანვე ფართოდ შეუწყო ხელი მაღალი იდეურობით, რევოლუციურ-მარქსისტული მსოფლმხედველობით გამსჭვალული მებრძოლი პოეზიის გამოვლინებასა და პოპულარიზაციას. ამ პოეტურმა ნაწარმოებებმა, მიმართულმა თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიულ-მემამულური ჩაგვრის წინააღმდეგ, ფარ-

თო გამოძახილი ჰპოვეს ხალხში. საუკეთესო ნიმუშები რევოლუციური პოეზიისა, პირველად გამოქვეყნებული ბოლშევიკური პრესის ფურცლებზე, მასობრივი პოლიტიკური აგიტაციის მძლე იარაღად გადაიქცნენ.

ამ ლექსებმა და სიმღერებმა პირველი რევოლუციის მომზადებისა და მისი განვითარების წლებში, და შემდეგაც, რეაქციის გამძვინვარების პერიოდში, დიდი როლი ითამაშეს მშრომელთა ფართო მასებში კლასობრივი შეგნების განმტკიცებისა და რევოლუციური აქტიურობის გაცხოველების თვალსაზრისით. მათ ხელი შეუწყვეს მასების პოლიტიკურ დარაზმვასა და წარმართვას თვითმპყრობელური რეჟიმისა და კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ წარმოებულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში.

ი. ბ. სტალინის წერილები საბჭოთა მწერლებისადმი

ი. ბ. სტალინის თხზულებათა უკვე გამოცემულ ტომებში ჩვენ ვეცნობით რამდენიმე პირად წერილს, მიმართულს საბჭოთა ლიტერატურისა და კულტურის მოღვაწეებისადმი. ეს წერილები, ისევე როგორც ი. ბ. სტალინის სხვა ნაშრომები, ძვირფას საუნჯეს წარმოადგენენ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეურ საგანძურში. ამ წერილებში გამოთქმული სახელმძღვანელო აზრები და მითითებები ხელს უწყობენ საბჭოთა მწერლობის საერთო განვითარებას, განამტკიცებენ და აღრმავებენ ლიტერატურის ლენინური თეორიის საფუძვლებს.

* *

ცნობილია ი. ბ. სტალინის განსაკუთრებული მზრუნველობა და ყურადღება, რომელსაც იგი იჩენდა საბჭოთა ლიტერატურისადმი, მისი მოწინავე, საუკეთესო წარმომადგენლებისადმი, მისი

ახალგაზრდა კადრების ზრდა-განვითარებისადმი. ი. ბ. სტალინი ჯერ კიდევ თავისი რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისში, როდესაც იგი სათავეში ედგა ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს, როდესაც საფუძველი ჩაუყარა და ფართო გასაქანი მისცა არალეგალურ და ლეგალურ ბოლშევიკურ პრესას ამიერკავკასიასა და საქართველოში,—უდიდეს როლს და მნიშვნელობას ანიჭებდა მხატვრულ ლიტერატურას, როგორც მძლავრ იარაღს მშრომელთა განმათავისუფლებელ ბრძოლაში. ახალგაზრდა სტალინი ბოლშევიკური გაზეთების გარშემო იკრებდა არა მარტო თავისი დროის პროგრესული მწერლობის გამოჩენილ წარმომადგენლებს, არამედ მუშა-მწერლებსაც, რომლებიც მშრომელთა ფენებიდან იყვნენ გამოსულნი და თავიანთ ნაწერებში გამოხატავდნენ ხალხის უფართოესი მასების სულისკვეთებას, მათს ჭირ-ვარამს, მათს იდეალებს. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობდა მუშათა კლასის მოწინავე ლიტერატურის განვითარებას, უსახავდა მწერლობას შემოქმედებითს ამოცანებს, წარმართავდა მას მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლისაკენ.

თავისი დიდი მასწავლებლის და მეგობრის ვ. ი. ლენინის მსგავსად ი. ბ. სტალინი კრებდა და რაზმავდა რევოლუციური მწერლობის საუკე-

თესო ძალებს მუშათა კლასის განთავისუფლების საქმისადმი ერთგულებისათვის.

დიდმა ბელადმა ვ. ი. ლენინმა გენიალურად განჭვრიტა მომავალი, სოციალისტური ქვეყნის მწერლობის ბუნება და ხასიათი. „ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა, ამბობდა ვ. ი. ლენინი, თავისუფალი იმიტომ, რომ არა ანგარება და არა კარიერა, არამედ სოციალიზმის იდეა და მშრომელებისადმი თანაგრძნობა მიიზიდავს ახალ-ახალ ძალებს მის რიგებში. ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა, იმიტომ, რომ იგი სამსახურს გაუწევს... მილიონობით და ათეულ მილიონობით მშრომელებს, რომელნიც ქვეყნის საუკეთესო ნაწილს, მის ძალას, მის მომავალს შეადგენენ“ (ლენინი, ტ. 10, გვ. 40).

.ი. ბ. სტალინმა მწერლებს ადამიანის სულის ინჟინრები უწოდა. მან განსაზღვრა საბჭოთა მწერლობისა და ხელოვნების შემოქმედებითი მეთოდი, როგორც სოციალისტური რეალიზმის მეთოდი. ი. ბ. სტალინმა ამ ფორმულით დასახა ახალი, უმაღლესი ეტაპი მსოფლიო ხელოვნების განვითარებაში. ი. ბ. სტალინმა განსაზღვრა საბჭოთა ხალხების კულტურა, როგორც შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული. საბჭოთა ლიტერატურა ვითარდება, იზრდება, იფურჩქნება მარქსიზმ-ლენინიზმის ცხოველმყოფელი იდეების,

დიდი ბელადების—ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის უკვდავი თეორიული ნაშრომების შუქზე გაკვლეული გზით.

ი. ბ. სტალინის პირადი ურთიერთობა, მისი გულისხმიერი დამოკიდებულება საბჭოთა მწერლებთან, ხელოვნების მუშაკებთან, კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეებთან წარმოადგენდა უდიდეს სტიმულს საბჭოთა ხალხის სულიერი ცხოვრების, მისი იდეური სამყაროს უმაგალითო ზრდისა და განვითარებისათვის.

ი. ბ. სტალინის პირად წერილებში საბჭოთა კულტურისა და ლიტერატურის მოღვაწეებისადმი ჩვენ ვპოულობთ სახელმძღვანელო იდეების უმდიდრეს მარაგს, რომელიც ანაყოფიერებს და ცხოველმყოფელ ძალას აძლევს საბჭოთა მხატვრულ აზროვნებას.

ი. ბ. სტალინის პირად წერილებს შორის ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს, უპირველეს ყოვლისა, წერილი სოციალისტური ლიტერატურის ფუძემდებლის ა. მ. გორკისადმი. ფრიად მნიშვნელოვან საკითხებს შეეხება წერილები დემიან ბედნის, ალ. ბეზიმენსკის, ბილ-ბელოცერკოვსკისა და ფელიქს კონისადმი. თვითეული მათგანი წარმოადგენს მნიშვნელოვან დოკუმენტს, სადაც ჩვენი საბჭოთა კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურის პრინციპული პრობლემები პოულობენ სათანადო გაშუქებას.

ი. ბ. სტალინის წერილებს შორის ყველაზე ადრინდელი არის გამოჩენილი პოეტის დემიან ბედნისადმი მიმართული წერილი, დათარიღებული 1924 წლის 15 ივლისით.

ამ წერილში ი. ბ. სტალინი გამოხატავს კომუნისტური პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის ღრმა ოპტიმისტურ განწყობილებას, ცხოვრების სიყვარულს, აქტიურ, შემოქმედებითს დამოკიდებულებას საზოგადოებრივი ცხოვრების მღელვარე პრობლემებისადმი.

„ძალიან კარგია, — სწერს ი. ბ. სტალინი დემიან ბედნის, — რომ თქვენ „ხალისიანი განწყობილება“ გქონიათ, „მსოფლიო სევდის“ ფილოსოფია ჩვენი ფილოსოფია არ არის. დაე ისევდიანონ მიმავლებმა და დრომოჭმულებმა“.

როგორია ეს ჩვენი ფილოსოფია? ი. ბ. სტალინი საილუსტრაციოდ მიმართავს პოეზიის სფეროს და წერს:

„ჩვენი ფილოსოფია საკმაოდ მოხდენილად გადმოსცა ამერიკელმა უიტმანმა: „ჩვენ ცოცხლები ვართ, დუღს ალისფერი ჩვენი სისხლი დაუხარჯავი ძალების ცეცხლით“ (ტ. 6, გვ. 312).

დემიან ბედნისათვის გაგზავნილი წერილის ეს ადგილი მარტო მას არ შეეხებოდა. ეს იყო ი. ბ. სტალინის მიერ მთელი საბჭოთა ლიტერატურისადმი მიმართული საპროგრამო მოწოდება. მხა-

ტვრულ ლიტერატურაში იმ დროს ჯერ კიდევ საკმაო გამოხატულებას პოულობდა ძველი დეკადენტური, პესიმისტური სულისკვეთების გადმონაშთი, გამოვლინებული უიდეო ლირიკაში, უსაგნო პოეტურ სიმღერებში, საბჭოთა სინამდვილისადმი ინდიფერენტულად განწყობილ მხატვრულ ნაწარმოებებში. საჭირო იყო საბჭოთა მწერლობის მოწინავე ძალების ყურადღების გამახვილება ასეთი დაცემულობის განწყობილებათა წინააღმდეგ საბრძოლველად, განწყობილებებისა, რომლებიც არაჯანსაღ გავლენას ახდენდნენ საბჭოთა მკითხველების ჩამორჩენილ ფენებზე.

ი. ბ. სტალინის ზემოხსენებული სიტყვები ჩვენს მწერლებს მოუწოდებდნენ მაღალი იდეურობისაკენ, უიდეობის, აპოლიტიკურობის გამოვლინებათა წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლისაკენ.

დემიან ბედნისათვის მიწერილ ბარათში ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი ადგილი, სადაც ი. ბ. სტალინი ურჩევს პოეტს „გაისეირნოს ბაქოსაკენ".

„ეს საჭიროა",—წერს ი. ბ. სტალინი და ქვემოთ განმარტავს, თუ რისთვის:—„თუ თქვენ ჯერ არ გინახავთ ნავთობის ჭაბურღილების ტყე, მაშინ „არაფერი გინახავთ". დარწმუნებული ვარ, ბაქო მოგცემთ უმდიდრეს მასალას ისეთი მარგალიტებისათვის, როგორიც არის თქვენი „წევის სამსა-

ხური“ (იგულისხმება დემიან ბედნის ლექსი ამ სათაურით. – ლ. ა.).

როგორც ვხედავთ, ი. ბ. სტალინი მოუწოდებდა ცნობილ საბჭოთა პოეტს უშუალოდ გასცნობოდა სინამდვილეს, კერძოდ, ბაქოში ყოფნისას შეესწავლა წარმოების პროცესები, თავისი თვალით ენახა ნავთის წარმოებაში ჩაბმულ მუშათა ყოფა-ცხოვრება, ჩასწვდომოდა იმ გრანდიოზულ ცვლილებებს, რომლებიც მოხდა საბჭოთა წყობილების დროს მშრომელთა ცხოვრებაში. ეს სტრიქონები, დაწერილი მეოთხედი საუკუნის წინათ, დღესაც ინარჩუნებენ თავის აქტუალურ მნიშვნელობას. ი. ბ. სტალინის ეს სიტყვები დიდი განზოგადების ძალით გაისმის, როგორც მოწოდება მთელ საბჭოთა მწერლობისადმი. პარტია მზრუნველი ყურადღებით წარმართავს საბჭოთა მწერლობას და უსახავს მას საპატიო ამოცანას — ღრმად და გულისხმიერად შეისწავლოს საბჭოთა სინამდვილე, რადგან ცხოვრების მხოლოდ ასეთი უშუალო შესწავლა მისცემს მწერლობას „უმდიდრეს მასალას“ სრულყოფილ მხატვრულ ნაწარმოებთა შესაქმნელად.

საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთათვის უაღრესად მნიშვნელოვან მითითებებს შეიცავდა ი. ბ. სტალინის წერილი დრამატურგ ბილ-ბელოცერკოვსკისადმი (დაწერილია 1929 წლის

2 თებერვალს). ამ წერილში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ი. ბ. სტალინის მითითება მხატვრულ ლიტერატურაში შემოქმედებითი შეჯიბრების დანერგვის საჭიროებაზე. ი. ბ. სტალინი გადაჭრით ილაშქრებდა უხეში ადმინისტრირების წინააღმდეგ და განმარტავდა, რომ მხოლოდ შემოქმედებითი შეჯიბრების გზით არის შესაძლებელი პროლეტარული მხატვრული მწერლობის კადრების ზრდა-განვითარება.

„რა თქმა უნდა, — წერს ი. ბ. სტალინი, — ძალიან იოლი საქმეა „გააკრიტიკო“ არაპროლეტარული ლიტერატურა და მოითხოვო მისი აკრძალვა. მაგრამ ყველაზე იოლი არ შეიძლება ყველაზე უკეთესად ჩაითვალოს. საქმე აკრძალვა კი არ არის, არამედ ის, რომ თანდათანობით გავაძევოთ სცენიდან ძველი და ახალი არაპროლეტარული მაკულატურა შეჯიბრების გზით, იმ გზით, რომ შევქმნათ საბჭოთა ხასიათის ნამდვილი, საინტერესო, მხატვრული პიესები, რომელთაც შეეძლებათ ამ მაკულატურის შეცვლა. შეჯიბრება კი დიდი და სერიოზული საქმეა, ვინაიდან მხოლოდ შეჯიბრების ვითარებაში იქნება შესაძლებელი მივაღწიოთ ჩვენი პროლეტარული მხატვრული ლიტერატურის ჩამოყალიბებასა და კრისტალიზაციას“ (ტ. 11, გვ. 364).

საბჭოთა მხატვრული კრიტიკისა და ლიტერა-

ტურათმცოდნეობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ი. ბ. სტალინის სახელმძღვანელო მითითებებს, გამოთქმულს ფელიქს კონისადმი მიმართულ წერილში (ტ. 12, გვ. 125—128). ამ დოკუმენტში სრული სიცხადით და გარკვეულობით არის ნაჩვენები ის ძირითადი კრიტერიუმი, რომლითაც უნდა მიუდგეს მხატვრული კრიტიკა ამა თუ იმ მწერლის ნაწარმოებს მისი გარჩევა-შეფასების დროს. ი. ბ. სტალინი ამ წერილში მიუთითებს, რომ ნაწარმოების ღირებულება განისაზღვრება არა მისი ცალკეული, კერძო დეტალებით, არამედ მისი საერთო მიმართულებით, მისი ძირითადი იდეით და მიზანდასახულობით. ი. ბ. სტალინი, ეხება რა ერთ-ერთ ნაწარმოებს, კითხულობს: „განა ბროშურის ღირებულება ცალკეული კერძო მხარეებით განისაზღვრება, და არა მისი საერთო მიმართულებით?“ შემდეგ ი. ბ. სტალინს საილუსტრაციოდ მოჰყავს მეტად საგულისხმო მაგალითი საბჭოთა ლიტერატურიდან: „ჩვენი დროის სახელგანთქმულმა მწერალმა ამხ. შოლოხოვმა თავის „წყნარ დონში“ დაუშვა მთელი რიგი ყოვლად უხეში შეცდომები და პირდაპირ არასწორი ცნობები სირცოზე, პოდტიოლკოვზე, კრივოშლიკოვსა და სხვებზე, მაგრამ განა აქედან ის გამოდის, რომ „წყნარი დონი“ ყოვლად უვარგისი ნაწარმოებია, რომელიც იმის ღირსია, რომ მისი გაყიდვა აიკრძალოს?“.

რაში მდგომარეობს ჭეშმარიტად მხატვრული ნაწარმოების მთავარი ღირსება, რა განსაზღვრავს მის ნამდვილ ღირებულებას, რა არის ის არსებითი მხარე, რომელიც განაპირობებს მხატვრული ნაწარმოების საპატიო ადგილს საბჭოთა მწერლობაში? არსებითი მხარე მხატვრული ნაწარმოებისა, ი. ბ. სტალინის აზრით, მდგომარეობს მის საერთო წარმმართველ ზემოქმედებითს ძალაში. ეხება რა ზემოხსენებულ ბროშურას, ი. ბ. სტალინი კითხულობს: „რა არის ამხ. მიკულინას ბროშურის ღირსება?“ და უპასუხებს: „ის, რომ იგი შეჯიბრების იდეის პოპულარიზაციას ეწევა და მკითხველს შეჯიბრების სულისკვეთებას უღვიძებს. ეს არის მთავარი, და არა ცალკეული კერძო შეცდომები“.

როგორც ვხედავთ, მოწინავე იდეის პროპაგანდა, მკითხველთა მასებში მისი ფართო პოპულარიზაცია და ამის შედეგად სათანადო სულისკვეთების გაღვიძება, შესაფერი განწყობილებებისა და ემოციების გამოწვევა მკითხველებში — აი რა არის მხატვრული ნაწარმოების ჭეშმარიტი დანიშნულება, აი რა არის ნაწარმოებში მთავარი, ძირითადი და მნიშვნელოვანი, ნამდვილად მხედველობაში მისაღები მისი საერთო შეფასების დროს, და არა მისი „ცალკეული კერძო შეცდომები“.

ფ. კონისადმი მიმართულ წერილში ი. ბ. სტალინი

ეხება, გარდა ამისა, სხვა მნიშვნელოვან საკითხებსაც, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია საბჭოთა მწერლობის განვითარების სასიცოცხლო ინტერესებთან. ეს არის ლიტერატურაში ახალი კადრების წამოწევის საკითხი, მათი სათუთად და მზრუნველობით აღზრდის საკითხი. აი რას წერდა ი. ბ. სტალინი ამ ფრიად მნიშვნელოვან პრობლემაზე:

„მე ოდნავაც არ ვნანობ იმას, რომ წინასიტყვაობა წარვუმძღვარე ლიტერატურულ სამყაროში უცნობი ადამიანის უმნიშვნელო ბროშურას"... „მე გადაჭრით წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ წინასიტყვაობა უკეთდებოდეს მხოლოდ ლიტერატურული „დიდკაცების", „სახელმოხვეჭილი" ლიტერატორების, „კორიფეების" და სხვ. ბროშურებსა და წიგნებს. მე ვფიქრობ, რომ დროა უკუვაგდოთ ეს ბატონკაცური ჩვეულება — დაწინაურება ისედაც დაწინაურებული ლიტერატურული „დიდკაცებისა", რომელთა „სიდიადისაგან" პირდაპირ გმინავენ ჩვენი ახალგაზრდა, უცნობი და ყველასგან დავიწყებული ლიტერატურული ძალები".

შემდეგ ი. ბ. სტალინი პირდაპირ ეხება ახალგაზრდა ლიტერატურული კადრების წინ წამოწევის საკითხს და მოითხოვს ამ საქმეში გადამჭრელ ღონისძიებათა მიღებას.

„ჩვენ ასობით და ათასობით გვყავს ნიჭიერი ახალგაზრდები, — წერს ი. ბ. სტალინი, — რომლებიც მთელი ძალღონით ცდილობენ გზა გაიკაფონ ქვემოდან ზევით, იმისათვის, რომ თავიანთი წვლილი შეიტანონ ჩვენი მშენებლობის საერთო საგანძურში. მაგრამ მათი ცდები ხშირად ამაო რჩება, ვინაიდან მათ ძალიან ხშირად ახშობს „სახელმოხვეჭილ“ ლიტერატორთა დიდი წარმოდგენა თავიანთ თავზე, ჩვენი ზოგიერთი ორგანიზაციის ბიუროკრატიზმი და უსულგულობა, დასასრულ, ტოლების შური (რომელიც ჯერ კიდევ არ გადაქცეულა შეჯიბრებად). ჩვენი ერთ-ერთი ამოცანა ის არის, რომ გავარღვიოთ ეს ყრუ კედელი და გასაქანი მივცეთ ახალგაზრდა ძალებს, რომელთა სახელი ლეგიონია. ჩემი წინასიტყვაობა ლიტერატურულ სამყაროში უ ც ნ ო ბ ი ავტორის უ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ რ ო შ ურისადმი იმის ცდაა, რომ გადავდგათ ნაბიჯი ამ ამოცანის გადაჭრისაკენ. მე კვლავაც გავუკეთებ წინასიტყვაობებს მხოლოდ უბრალო და უცნობი ახალგაზრდა ავტორების უბრალო და არამყვირალა ბროშურებს. შესაძლოა, ზოგიერთ ჩინის პატივისმცემელს ასეთი მანერა არ მოეწონოს. მაგრამ მე რა მესაქმება ამასთან? მე საერთოდ არა ვარ ჩინის პატივისმცემელთა მოყვარული“.

რამდენი გულისხმიერება, რამდენი ზრუნვა და

სიყვარული იყო ჩაქსოვილი ი. ბ. სტალინის ამ სიტყვებში ნიჭიერი საბჭოთა ახალგაზრდობისადმი, იმ თაობისადმი, რომელიც ცხოვრების ცოდნით აღჭურვილი მიისწრაფვის ლიტერატურისაკენ, რათა თავისი წვლილი შეიტანოს მის საგანძურში. ი. ბ. სტალინის ეს სიტყვები გვიჩვენებენ, თუ რა სათუთი და ფაქიზი დამოკიდებულების გამოჩენაა საჭირო ლიტერატურის ახალი კადრებისადმი.

ი. ბ. სტალინის წერილში, ლიტერატურული კადრების აღზრდასთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს კატეგორიული მოთხოვნა იმისა, რომ ახალგაზრდა ლიტერატორებისადმი სათუთი და გულისხმიერი დამოკიდებულება შეთავსებული იყოს მათი შეცდომების მკაცრ და მოურიდებელ კრიტიკასთან.

ასეთია ი. ბ. სტალინის ის სახელმძღვანელო აზრები, რომლებიც გამოთქმული იყო მის წერილში ფელიქს კონისადმი. ეს მითითებანი ამდიდრებენ და ანაყოფიერებენ საბჭოთა ლიტერატურულ-კრიტიკულ აზროვნებას, საიმედო მეთოდოლოგიურ იარაღს აძლევენ ხელში ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობას შემდგომი ნაყოფიერი მუშაობისათვის.

ი. ბ. სტალინის წერილებში განსაკუთრებული მნიშვნელობისაა სოციალისტური ლიტერატურის დიდი ფუძემდებლის, ალექსი მაქსიმეს-ძე გორკისადმი მიმართული წერილი, დათარიღებული

1930 წლის 17 იანვრით (ტ. 12, გვ. 189 - 193). ამ წერილში ი. ბ. სტალინი ეხება ჩვენი იდეოლოგიური ცხოვრების მთელ რიგ პრობლემებს და სათანადო გაშუქებას აძლევს მათ. უწინარეს ყოვლისა, ი. ბ. სტალინი ეხება ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის საკითხს, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს ძლევამოსილი განვითარებისა და კომუნიზმის გამარჯვების საწინდარს წარმოადგენს. კომუნისტურმა პარტიამ, ი. ბ. სტალინის ბრძნულ მითითებათა საფუძველზე, მთელი ფრონტით გაშალა სოციალისტური შეტევა და მიაღწია კიდეც ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებას. გორკისადმი მიმართულ წერილში ი. ბ. სტალინი წერდა:

„უთვითკრიტიკოდ არ შეგვიძლია. არასგზით არ შეგვიძლია, ალექსი მაქსიმეს-ძევ. უამისოდ გარდუვალია უძრაობა, აპარატის გახრწნა, ბიუროკრატიზმის ზრდა, მუშათა კლასის შემოქმედებითი თაოსნობის ჩაშლა. რა თქმა უნდა, თვითკრიტიკა მასალას აძლევს მტრებს. ამაში თქვენ სავსებით მართალი ხართ. მაგრამ იგივე იძლევა მასალას (და ბიძგს) ჩვენი წინსვლისათვის, მშრომელთა აღმშენებლობითი ენერგიის გაჩაღებისათვის, შეჯიბრების განვითარებისათვის, დამკვრელი ბრიგადებისათვის და სხვ... უარყოფით მხარეს ანაზღაურებს და ჰ ა რ ბ ა დ ანაზღაურებს დადებითი მხარე“.

ი. ბ. სტალინის ეს მითითება კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლის შესახებ, არა ერთხელ გამოთქმული სხვადასხვა დროს მის გენიალურ ნაშრომებში, მთლიანად ეხება ლიტერატურის სფეროსაც, კერძოდ, სალიტერატურო კრიტიკას. ი. ბ. სტალინის მითითება კრიტიკისა და თვითკრიტიკის, როგორც საბჭოთა საზოგადოების მამოძრავებელი ძალის, გადამწყვეტი მნიშვნელობის შესახებ, უმაგალითოდ ამაღლებს სალიტერატურო კრიტიკის როლსა და მნიშვნელობას საბჭოთა მწერლობის საერთო განვითარებაში, ჩვენი საბჭოთა ხალხის მხატვრული კულტურის მშენებლობის სფეროში.

გორკისადმი მიმართულ წერილში დიდი ადგილი ეთმობა აგრეთვე საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის უაღრესად სერიოზულ პრობლემებს. ჩვენი საბჭოთა ქვეყნის ცხოვრების გარკვეულ ისტორიულ მონაკვეთზე, ოცდაათიანი წლების დასაწყისში. ი. ბ. სტალინი ნათლად ამჩნევდა ჩვენი ახალგაზრდობის არაერთგვაროვნებას მსოფლმხედველობისა და პოლიტიკური განწყობილებების თვალსაზრისით. გორკისადმი გაგზავნილ წერილში ამხანაგი სტალინი არკვევს ამ არაერთგვაროვნების წარმომშობ მიზეზებს და სახავს სათანადო ღონისძიებებს ახალგაზრდობის ორგანიზებული იდეური აღზრდი-

სა და მისი მსოფლმხედველობრივი გარდაქმნის მიმართულებით.

ი. ბ. სტალინი აღნიშნავს იმ დიდ როლს, რომელსაც ახალგაზრდობის საერთო პოლიტიკური აღზრდისა და გარდაქმნის საქმეში ასრულებს კომკავშირი.

„ძირითადი ახლა ის არის, რომ ახალგაზრდობას ტონს აძლევენ არა მოწუწუნენი, არამედ ჩვენი მებრძოლი კომკავშირელები, რომლებიც წარმოადგენენ ბოლშევიკთა — კაპიტალიზმის დამნგრევთა, ბოლშევიკთა – სოციალიზმის მშენებელთა, ბოლშევიკთა ყველა ჩაგრულისა და დამონებულის განმათავისუფლებელთა ახალი, მრავალრიცხოვანი მოდგმის ბირთვს. ამაშია ჩვენი ძალა. ამაშივეა ჩვენი გამარჯვების საწინდარიც“.

საბჭოთა ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში ი. ბ. სტალინი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა „ორგანიზებულ იდეურ ზეგავლენას“ და ამ მიმართულებით სერიოზული წარმატებების მიღწევას. ი. ბ. სტალინი წერს:

„ჩვენი პარტიის, ჩვენი კულტურული ორგანიზაციების, ჩვენი პრესის, ჩვენი საბჭოების ერთერთი მთავარი ამოცანა ის არის, რომ ეს ზეგავლენა მოაწყონ და სერიოზულ წარმატებებს მიაღწიონ“.

მხატვრული ნაწარმოების ანალიზის იმავე მეთოდს, რომელზეც ზემოთ იყო ლაპარაკი (ფე-

ლიქს კონისადმი გაგზავნილ წერილში), მიმართავს ი. ბ. სტალინი, როდესაც განიხილავს პოეტ ალ. ბეზიმენსკის ორ პიესას: „გასროლას“ და „ჩვენი ცხოვრების დღეს“ (თხზულებანი, ტ. 12, გვ. 219-220). აქაც ი. ბ. სტალინი მხატვრული ნაწარმოების შეფასების დროს მის მნიშვნელობასა და ღირსებას განსაზღვრავს მისი საერთო მიმართულების და არა ცალკეული, კერძოობითი მხარეების მიხედვით. ბეზიმენსკისადმი მიმართულ წერილში (1930 წლის 19 მარტს) ი. ბ. სტალინი აღნიშნავს, რომ დასახელებული ორი პიესა, განსაკუთრებით „გასროლა“, „დღეისათვის რევოლუციური პროლეტარული ხელოვნების ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს“. ი. ბ. სტალინი აღნიშნავს ავტორის მიერ ამ პიესებში დაშვებულ ცალკეულ შეცდომებს.

„მართალია, მათში არის კომკავშირული ავანგარდიზმის ზოგიერთი ნაშთი, — წერს ი. ბ. სტალინი, — ამ ნაწარმოებთა წაკითხვისას გამოუცდელ მკითხველს ისიც კი შეიძლება ეჩვენოს, რომ პარტია კი არ უსწორებს შეცდომებს ახალგაზრდობას, არამედ პირიქით. მაგრამ ეს ნაკლი როდი შეადგენს ამ ნაწარმოებთა ძირითად ნიშანს. პათოსს“.

მაშ რაში მდგომარეობს ძირითადი ღირსება, პათოსი ამ ნაწარმოებებისა? ი. ბ. სტალინი ხაზს უსვამს ბეზიმენსკის პიესების ძირითად მიმართულებას, მათს არსებით მხარეს:

„მათი პათოსი იმაში მდგომარეობს, რომ ისი ნი საკითხს ამახვილებენ ჩვენი აპარატების ნაკლოვანებებზე და შეიცავენ ამ ნაკლოვანებათა გამოსწორების შესაძლებლობის ღრმა რწმენას. ეს არის მთავარი „გასროლაშიც“ და „ჩვენი ცხოვრების დღეშიც“. ეს არის მათი ძირითადი ღირსებაც. ეს ღირსება კი ჭარბად ანაზღაურებს და თითქმის სრულებით ჩრდილავს მათს პატარა ნაკლოვანებებს, რომლებიც, მე მგონია, წარსულს ჰბარდება“.

ასეთი შეფასება მისცა ი. ბ. სტალინმა ბეზიმენსკის ნაწარმოებებს. აქაც, ისევე როგორც ფელიქს კონისადმი მიმართულ წერილში, ი. ბ. სტალინი იძლევა მხატვრული ნაწარმოების კრიტიკისა და შეფასების მისაბაძ მაგალითს, უაღრესად მნიშვნელოვანსა და საგულისხმოს საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობისათვის.

ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეცამეტე ტომში მოთავსებულია ნაწყვეტები მისი წერილიდან დემიან ბედნისადმი (გვ. 24—29). ამ წერილში ი. ბ. სტალინი ეხება საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის უაღრესად დიდმნიშვნელოვან პრობლემებს. წერილი მიმართულია დემიან ბედნის იმ შემცდარი, მავნე, ანტიპატრიოტული ხასიათის გალექსილი ფელეტონების წინააღმდეგ, სადაც

ავტორმა თავის თავს ნება მისცა აუგად მოეხსენებინა დიდი რუსი ხალხი, მისი გმირული ისტორიული წარსული, მისი შესანიშნავი კულტურა. დემიან ბედნიმ უღირსად დასცინა მშობლიურ ხალხს, ცილი დასწამა მას სიზარმაცესა და ბედოვლათობაში.

თავის წერილში ი. ბ. სტალინი თვალსაჩინოს ხდის დემიან ბედნის მიერ დაშვებულ შეცდომებს და ამხილებს მას ლენინიზმის გზიდან გადახვევაში. ი. ბ. სტალინი მიუთითებს, რომ დემიან ბედნიმ ვერ შესძლო მოწინავე პროლეტარიატის მგოსნის ამოცანათა სიმაღლემდე ასვლა; ი. ბ. სტალინი აღნიშნავს, რომ „გარდა რეაქციული რუსეთისა, არსებობდა კიდევ რევოლუციური რუსეთი, რუსეთი რადიშჩევებისა და ჩერნიშევსკებისა, ჟელიაბოვებისა და ულიანოვებისა, ხალტურინებისა და ალექსეევებისა". ამ წერილში ი. ბ. სტალინი, უწოდებს რა ვ. ი. ლენინს უდიდეს ინტერნაციონალისტს მსოფლიოში, ამასთანავე იგონებს მის სიტყვებს იმის შესახებ, რომ შეგნებული რუსი პროლეტარები აღსავსენი არიან რევოლუციური ეროვნული სიამაყის გრძნობით, ვინაიდან რუსმა ერმა შექმნა რევოლუციური მუშათა კლასი და დაამტკიცა, რომ მას „უნარი შესწევს მისცეს კაცობრიობას თავისუფლებისათვის და სოციალიზმისათვის ბრძოლის დიადი ნიმუშები". ი. ბ. სტალინი მიუთითებს

დემიან ბედნის, რომ შეუძლებელია მისი უკანასკნელი ფელეტონების არაჯანსაღი ტენდენცია შერიგებულ იქნას დიდი ლენინის რევოლუციურ პროგრამასთან, რადგან მათ შორის არაფერია საერთო.

ი. ბ. სტალინი რუსეთის მაგალითზე ავითარებს ვ. ი. ლენინის კლასიკურ დებულებას თვითეული ერის კულტურაში ორი კულტურის არსებობის შესახებ. იგი ხაზს უსვამს დიდი რუსი ხალხის მოწინავე, დემოკრატიული, პროგრესული კულტურის როლსა და მნიშვნელობას რუსეთის ისტორიულ განვითარებაში.

დიდი სტალინი მოუწოდებს საბჭოთა მწერლებს იყვნენ საბჭოთა პატრიოტიზმის წმინდა გრძნობების გამომხატველნი, ღირსეულად დააფასონ მშობლიური ხალხის გმირული წარსული, მისი კულტურა, მისი დიადი აწმყო, აღსავსე შრომითა და სიხარულით, ბრძოლითა და თავდადებით. დიდი სტალინი მოუწოდებს მწერლებს ამაღლდნენ საბჭოთა ხალხის მოწინავე მომღერლების ამოცანათა დონემდე.

მდიდარია თავისი შინაარსით, იდეებითა და აზრებით ი. ბ. სტალინის პირადი წერილები, მიმართული საბჭოთა მწერლებისადმი. ეს წერილები სამაგალითო დოკუმენტებია იმ უსაზღვრო სიყვარულისა და მზრუნველობისა, რომელსაც ყოველდღიურად იჩენდა დიდი სტალინი მშობლიური საბჭოთა ხალხისა და მისი კულტურისადმი.

სატირისა და იუმორის გამოყენება ი. ბ. სტალინის ნაშრომებში

პარტიის XIX ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა საბჭოთა ხალხის წინაშე დასახეს განვითარების დიადი პერსპექტივები, შეაიარაღეს საბჭოთა ადამიანები თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების კანონზომიერებათა გაგებით, დასახეს კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა.

ამ ისტორიულმა დოკუმენტებმა ახალი შემოქმედებითი შრომისათვის აღაფრთოვანეს საბჭოთა ქვეყნის მილიონობით მასები — მუშები და კოლმეურნეები, ინტელიგენციის უფართოესი ფენები და მათ შორის მეცნიერებისა და კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, რომელთა მუშაობა მიმართულია მშობლიური ხალხის ბედნიერებისა და სიკეთისაკენ, საბჭოთა ქვეყნის სამეურნეო და კულტურული წარმატებისაკენ.

პარტიის XIX ყრილობაზე დიდი ყურადღება ჰქონდა დათმობილი იდეოლოგიური მუშაობის,

კერძოდ ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებს. ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენებაში გ. მ. მალენკოვმა მოგვცა ჩამოყალიბებული მარქსისტულ-ლენინური განსაზღვრა ტიპიურობისა, როგორც რეალისტურ ხელოვნებაში პარტიულობის გამოვლინების ძირითადი სფეროსი.

ტიპიურობის ბუნებისა და არსის განსაზღვრით ამხანაგ გ. მ. მალენკოვის მოხსენებაში გადაჭრილ იქნა მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის ერთერთი უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემა.

ამხანაგი გ. მ. მალენკოვი თავის მოხსენებაში შეჩერდა კერძოდ სატირის საკითხზე. „ჩვენი მწერლები და მხატვრები,—თქვა ამხანაგმა მალენკოვმა,—თავიანთ ნაწარმოებებში უნდა ამათრახებდნენ მანკიერებას, ნაკლოვანებებს, ავადმყოფურ მოვლენებს, რომლებსაც ვხვდებით საზოგადოებაში, დადებითი მხატვრული სახეებით უნდა გვიჩვენებდნენ ახალი ტიპის ადამიანებს, მათი ადამიანური ღირსების მთელ მშვენიერებას და ამით ხელს უწყობდნენ ჩვენი საზოგადოების ადამიანებში ისეთი ხასიათის, ზნე-ჩვეულებების დანერგვას, რომლებიც თავისუფალია კაპიტალიზმის მიერ წარმოშობილი წყლულებისა და მანკიერებისაგან. ნამდვილად კი ჩვენს საბჭოთა ბელეტრისტიკაში, დრამატურგიაში, ისევე, როგორც კინემატოგრაფიაში, დღემდე

არ მოიპოვება მხატვრულ ნაწარმოებთა ისეთი სახეობა, როგორიც არის სატირა. სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ ჩვენი საბჭოთა სინამდვილე არ იძლევა მასალას სატირისათვის. ჩვენ გვესაჭიროებიან საბჭოთა გოგოლები და შჩედრინები, რომლებიც სატირის ცეცხლით ამოსწვავდნენ ცხოვრებაში ყოველივე უარყოფითს, დამპალს, მკვდარს, ყოველივე იმას, რაც აფერხებს წინსვლას".*

როგორც ვხედავთ, ამხანაგ გ. მ. მალენკოვის მოხსენებაში პირდაპირ და კატეგორიულად იქნა დასმული საკითხი სატირული ჟანრის ნაწარმოებთა შექმნის საჭიროების შესახებ საბჭოთა ლიტერატურაში.

ამხანაგი ი. ბ. სტალინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სატირის მწვავე იარაღის გამოყენებას ჩვენი ცხოვრების ნაკლოვან მხარეთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ცნობილია, რომ მეცნიერული სოციალიზმის გენიალური ფუძემდებლები — კარლ მარქსი და ფ. ენგელსი—თავიანთ ნაწარმოებებში, პოლემიკურ სტატიებსა და საგაზეთო წერილებში ხშირად მიმართავდნენ სატირას, როგორც საბრძოლო იარაღს.

---

* გ. მალენკოვი, საანგარიშო მოხსენება პარტიის XIX ყრილობას საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ. სახელგამი, 1952, გვ. 88.

დიდი ბელადების—ლენინისა და სტალინის გენიალური ნაშრომები ბრწყინვალე ნიმუშებს იძლევიან იმისა, თუ როგორი სიმახვილით უნდა იქნას გამოყენებული სატირა და იუმორი ცხოვრების უარყოფით მხარეებთან, სოციალიზმის მტრებთან ბრძოლაში. ი. ბ. სტალინის თხზულებები, ისევე, როგორც თხზულებები ვ. ი. ლენინისა, სატირის, როგორც პოლიტიკური ბრძოლის იარაღის გამოყენების, კლასიკურ მაგალითებს წარმოადგენენ.

თუ ჩვენ ამ თვალსაზრისით გადავხედავთ ი. ბ. სტალინის ნაშრომებს როგორც ადრინდელს, ისე უკანასკნელი დროისას, ნათლად დავინახავთ, რომ ამხანაგი ი. ბ. სტალინი ბრწყინვალედ ჰფლობს სატირის ყველა სახეობას, დაწყებულს მსუბუქი იუმორით და გათავებულს მწვავე ირონიით.

ამხანაგი ი. ბ. სტალინი თავის ნაშრომებში არაიშვიათად იყენებს ხალხურ მახვილსიტყვაობას, ხალხის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებით გამობრძმედილსა და გამძაფრებულს. ადრინდელ, ქართულად დაწერილ ნაშრომებში ჩვენ არა ერთხელ გვხვდება წმინდა ხალხური, ირონიული გამოთქმები. აი რამდენიმე მაგალითი ამისა. სტატიაში „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“, რომელიც 1905 წელს ეკუთვნის, ი. ბ. სტალინი, ეხება რა მენშევიკების ლიდერებს — პლეხანოვს, მარტოვსა და აქსელროდს — დაცინვით წერს:

„ამ შესანიშნავ ბელადებს რამდენიმე „პრინციპი“ აქვთ ჯიბეში და როდესაც რა დასჭირდებათ, იმას ამოიღებენ,—ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო!..“ (ტ. 1, გვ. 121). ასევე ხშირად იყენებს ი. ბ. სტალინი თავის სხვა ადრინდელ ნაშრომებში ისეთ ქართულ ხალხურ გამოთქმებს, როგორიცაა, მაგალითად: „ერთი ალთას, მეორე ბალთას“ (ტ. 1, გვ. 121, 303), „ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო“ (ტ. 1, გვ. 285, 355) და მრავალი სხვა.

თავის ნაშრომებში ამხანაგი ი. ბ. სტალინი არაიშვიათად მიმართავს ქართველი, რუსი და უცხოელი კლასიკოსების ლიტერატურულ სახეებს და ცნობილ პოეტურ გამოთქმებს.

განსაკუთრებით საპატიო ადგილი უჭირავს ი. ბ. სტალინის ნაშრომებში რუსული სატირის ისეთ გენიოს წარმომადგენელთა ლიტერატურულ სახეებსა და გამონათქვამებს, როგორიც არიან გოგოლი, სალტიკოვ-შჩედრინი, კრილოვი.

ასე, მაგალითად, ცნობილ შრომაში „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“, ი. ბ. სტალინს ერთ ადგილას უნტერ-ოფიცრის ცოლის ამბავი აგონდება გოგოლის „რევიზორიდან“. ამხილებს რა ანარქისტების ერთ-ერთ „თეორეტიკოსს“ ზერელე და დაუკვირვებელ მსჯელობაში, ი. ბ. სტალინი დაცინვით წამოიძახებს: „აი, ანარქია! სწორედ

ამაზე იტყვიან: უნტერ-ოფიცრის ცოლმა თავისი თავი თავისივე ხელით გაწკეპლაო!“ (ტ. 1, გვ. 290).

გამოთქმას გოგოლისავე „რევიზორიდან“ „თავი გაიწკეპლეს“ ი. ბ. სტალინი იყენებს სათაურად თავისი სტატიისათვის, რომელიც მან დაბეჭდა 1917 წლის 4 ოქტომბერს გაზეთ „რაბოჩი პუტში“. ამავე გამოთქმით ამთავრებს იგი ამ სტატიას: „მაგრამ გრძნობენ თუ არა „დელო ნაროდას“ ლიდერები, რომ ორი კვირის წინათ მათ ულმობლად გაიწკეპლეს თავი, როდესაც ლაჩრულად განუდგნენ ტაშკენტის საბჭოს?“ (ტ. 3, გვ. 376—377).

გოგოლისავე პერსონაჟი აგონდება ი. ბ. სტალინს სხვა ნაშრომშიაც, სადაც იგი ეხება მენშევიკ პუბლიცისტებს: „უცქერი ამ „კრიტიკოსებს“, წერს ი. ბ. სტალინი, — და თვალწინ წარმოგიდგება გოგოლის გმირი, გაგიჟებული რომ იყო და თავი ესპანეთის მეფედ დაესახა. ასეთია განდრეების მანიით შეპყრობილთა ბედი!“ (ტ. 1, გვ. 142).

მოხსენებაში „სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ“, 1936 წლის 25 ნოემბერს, როგორც ცნობილია, ი. ბ. სტალინმა სასტიკი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა უცხოეთის ბურჟუაზიული პრესა, რომელიც გააფთრებით ესხმოდა თავს საბჭოთა კონსტიტუციის პროექტს. ი. ბ. სტალინმა აღნიშნა, რომ ბურჟუაზიულ „კრი-

ტიკოსთა“ ერთი ჯგუფი, ესხმოდა რა თავს საბჭოთა ახალი კონსტიტუციის პროექტს, ახასიათებდა მას, როგორც „მარჯვნისკენ ძვრას“, როგორც „პროლეტარიატის დიქტატურაზე ხელის აღებას“. ამ მხრივ განსაკუთრებულ გულმოდგინებას იჩენდა ზოგიერთი ამერიკული გაზეთი.

ამხილებდა რა ამ ვაი-კრიტიკოსებს, ი. ბ. სტალინი ამბობდა: „არ შეიძლება ეჭვი შეგვეპაროს იმაში, რომ ეს ვაჟბატონები საბოლოოდ დაიბნენ კონსტიტუციის პროექტის თავიანთ კრიტიკაში და, რაკი დაიბნენ, ერთმანეთში აურიეს მარჯვენა და მარცხენა“.

„ამ შემთხვევის გამო,—განაგრძობდა სტალინი, არ შეიძლება არ გავიხსენოთ შინაყმა „გოგო“ პელაგია გოგოლის „მკვდარი სულებიდან“. მან. როგორც გოგოლი მოგვითხრობს, ერთხელ იკისრა გზა ეჩვენებინა ჩიჩიკოვის მეეტლე სელიფანისათვის. მაგრამ, რადგან ვერ შესძლო გაერჩია გზის მარჯვენა მხარე მარცხენა მხარისაგან, დაიბნა და უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ჩვენი კრიტიკოსები... მთელი მათი ამბიციის მიუხედავად, მაინც ბევრად ვერ გასცილებიან „მკვდარი სულების“ შინაყმა „გოგო“ პელაგიას გაგების დონეს. თუ გაიხსენებთ, მეეტლე სელიფანმა საჭიროდ ჩათვალა დაეტუქსა პელაგია იმისათვის, რომ მან ერთ-

მანეთში აურია მარჯვენა და მარცხენა, და უთხრა მას: „ეჰ, შე შავფეხავ... არ იცი, სად არის მარჯვენა და სად მარცხენა“. მე მგონია, მართებული იქნებოდა ასევე დაგვეტუქსა ჩვენი ჰკუამოკლე კრიტიკოსები და გვეთქვა მათთვის: ეჰ, თქვე ვაი-კრიტიკოსებო... არ იცით, სად არის მარჯვენა და სად მარცხენა“ (ი. ბ. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამოც., 1951 წ., გვ. 656).

1917 წლის 15 ოქტომბერს დაწერილ სტატიაში „რევოლუციის შტრეიკბრეხერები“, ი. ბ. სტალინმა სამარცხვინო ბოძზე გააკრა რევოლუციის მოღალატე ესერები, მენშევიკები და მათი ბეჭდვითი ორგანოები: „დელო ნაროდა“ და „იზვესტია“. და აქაც, მტრული პარტიების დასახასიათებლად, ი. ბ. სტალინი იყენებს გოგოლის კომედიის პერსონაჟის სახეს და წერს: „ხოლო უხერხემლო „დელო ნაროდას“ ლიაპკინ-ტიაპკინები კუდში მისჩანჩალებენ „იზვესტიას“ და ღრმააზროვნულად ბუტბუტებენ: უნდა ჩაიშალოს საბჭოების ყრილობა, ვინაიდან ამ ჩაშლაშია რევოლუციისა და დამფუძნებელი კრების „ხსნაო“. (ტ. 3, გვ. 423).

არა ერთხელ მიმართავს ამხანაგი ი. ბ. სტალინი გოგოლის „მკვდარი სულების“ მეორე და მესამე ხარისხოვანი პერსონაჟების სახეებსაც გასაკიცხავი ობიექტების დასახასიათებლად. ასე, მაგალითად,

ამხანაგი ი. სტალინი თავის 1908 წელს დაწერილ სტატიაში „პრესა“, იგონებს გოგოლის პოემის პერსონაჟს ყოველმხრივ სასიამოვნო ბანოვანს“. ეს ბანოვანი, როგორც ცნობილია, გამოირჩეოდა თავისი გონებრივი შეზღუდულობით და განსაკუთრებული მიდრეკილებით ჰორიკანობისადმი. ის იგონებდა უცნაურს, წარმოუდგენელ ისტორიებს და დიდის აღფრთოვანებით ავრცელებდა მთელ ქალაქში. და აი, ამ „ყოველმხრივ სასიამოვნო ბანოვანს“ ადარებს ამხანაგი ი. სტალინი ბაქოელ ქალს კლავდია შენდრიკოვას, იქაური ზუბატოველების — ძმები შენდრიკოვების ერთგულსა და ხელისშემწყობ დას. ამხანაგი ი. ბ. სტალინი მწვავე და გამანადგურებელი ირონიით ახასიათებს ამ ტიპებს. მას მოკლე, მაგრამ მკვეთრი ხაზებით, დიდი ოსტატობით აქვს მოცემული პროფილი ამ პოლიტიკურად გახრწნილი ადამიანებისა: „აი, ილია შენდრიკოვი, — წერს ამხანაგი ი. სტალინი, — ბ-ნ ჯუნკოვსკის ცნობილი „ხელისჩამომრთმევი“, ფარულ საქმეთა ძველი ოსტატი. აი გლებ შენდრიკოვიც, ყოფილი ესერი, ყოფილი მენშევიკი, ყოფილი „ზუბატოველი“, ახლა გადამდგარი ადამიანი. აი სახელგანთქმული მოლაქლაქე, „ყოვლად წმინდა“ კლავდია შენდრიკოვაც, ყოველმხრივ სასიამოვნო ბანოვანი“. (ტ. 2, გვ. 138).

გენიოსი რუსი სატირიკოსის გოგოლის პერსო-

ნაჟებიდან ი. ბ. სტალინი არა ერთხელ იყენებს მანილოვის სახეს, რათა დაახასიათოს ყოველი ჯურის ლიკვიდატორი, მემარჯვენე ოპორტუნისტი, დაახასიათოს ჩამორჩენილობის, უძრაობის, რუტინისა და დახავსებული ყოფის მოტრფიალენი, უპრინციპო საქმოსნები, რომელთაც შეუძლიათ ჩაკლან ყოველგვარი ცოცხალი საქმე.

მანილოვის სახე ამხანაგ სტალინს განსაკუთრებული სიმახვილით აქვს გამოყენებული თავის სიტყვაში ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1937 წლის 11 დეკემბერს. ი. ბ. სტალინი თავის სიტყვაში ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ჩვენს საბჭოთა სინამდვილეში კიდევ გვხვდებიან მანილოვისებური გამოურკვეველი, ჩამოუყალიბებელი ტიპები. „ათასნაირი ადამიანია ამ ქვეყნად, — ამბობს ი. ბ. სტალინი თავის სიტყვაში, — ათასნაირი მოღვაწეა ამ ქვეყნად. არიან ადამიანები, რომლებზეც ვერ იტყვი, ვინ არის იგი, კარგია თუ ცუდი, მამაცია თუ მხდალი, ბოლომდე ხალხის მხარეზეა თუ ხალხის მტრების მხარეზე. არიან ასეთი ადამიანები და არიან ასეთი მოღვაწეები. ისინი ჩვენშიაც არიან, ბოლშევიკებს შორის. თვითონ იცით, ამხანაგებო, რომ ყოველ ოჯახშია თითო მახინჯი. ასეთი გამოურკვეველი ტიპის ადამიანებზე, იმ ადამიანებზე, რომ-

ლებიც უფრო გვაგონებენ პოლიტიკურ ობივატელებს, ვიდრე პოლიტიკურ მოღვაწეებს, ასეთი გამოურკვეველი, ჩამოუყალიბებელი ტიპის ადამიანებზე საკმაოდ მოსწრებულად თქვა დიდმა რუსმა მწერალმა გოგოლმა: „გამოურკვეველი ადამიანებიაო, არც ეს არიან, არც ისო, ვერ გაიგებ, რა ხალხია, არც ბოგდანია ქალაქში და არც სელიფანი სოფელშიო“. ასეთ გამოურკვეველ ადამიანებზე და მოღვაწეებზე აგრეთვე საკმაოდ მოსწრებულად ამბობს ჩვენი ხალხი: „არის რაღა, — არც წყალია და არც ღვინო“, „არც ღვთისაა და არც ეშმაკისა“ (ი. ბ. სტალინი, „სიტყვა ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1937 წლის 11 დეკემბერს დიდ თეატრში“. თბილისი, 1950 წ., გვ. 12).

ასეთია ამხანაგ სტალინის განსაკუთრებული ყურადღება გოგოლის, როგორც სატირის გენიოსი ოსტატისადმი. მეტად საგულისხმოა ის გარემოება, რომ ი. ბ. სტალინმა თავის უკანასკნელ ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ კიდევ ერთხელ გაიხსენა გოგოლის ცნობილი პერსონაჟი: ერთ-ერთი ამხანაგის თხოვნის გამო, პრეტენზიას რომ აცხადებდა სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის დაწერაზე, როგორც ცნობილია, ი. ბ. სტალინმა შენიშნა, რომ ეს თხოვნა „არ შეიძლება სერი-

ოზულ თხოვნად ჩაითვალოს, თუნდაც იმიტომ, რომ ამ თხოვნას ხლესტაკოვობის სუნი უდის". (ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში. 1952 წ., გვ. 90).

დიდი რუსი სატირიკოსებიდან ი. ბ. სტალინი, გოგოლის გარდა, ძალიან ხშირად მიმართავს ხოლმე სალტიკოვ-შჩედრინს, კრილოვს, ჩეხოვს. ასე, მაგალითად, ი. ბ. სტალინის ნაწარმოებებში გვხვდება სალტიკოვ-შჩედრინის პომპადურების ხსენება.

სიტყვაში სოციალისტური მრეწველობის მუშაკთა პირველ საკავშირო კონფერენციაზე (1931 წ.) ი. ბ. სტალინი, ეხებოდა რა წარმოებისათვის ხელმძღვანელობის გაწევის საკითხებს, აღნიშნავდა: „ჩვენში ყოველთვის ბოლშევიკურად როდი უყურებენ საწარმოთათვის ხელმძღვანელობის გაწევის საკითხს. ჩვენში ხშირად ფიქრობენ, რომ ხელმძღვანელობა ნიშნავს ქაღალდებზე ხელისმოწერას. ეს სამწუხაროა, მაგრამ ეს ფაქტია. ზოგჯერ უნებურად გაგონდება შჩედრინის პომპადურები. ხომ გახსოვთ, პომპადური ქალი როგორ ასწავლიდა ჭკუას ახალგაზრდა პომპადურს: თავს ნუ იმტვრევ მეცნიერების შესწავლით, ნუ ჩაუკვირდები საქმეს, დაე ეს სხვებმა აკეთონ, შენი საქმე არ არის ეს, — შენი საქმე ხელმძღვანელობაა, ქაღალდებზე ხელის მოწერაო. ჩვენდა სამარცხვინოდ

უნდა ვაღიაროთ, — დასძენდა ი. ბ. სტალინი, — რომ ჩვენს შორისაც, ბოლშევიკებს შორისაც, ცოტა არ არიან ისეთები, რომელნიც ხელმძღვანელობას ეწევიან ქაღალდებზე ხელის მოწერით. ხოლო რაც შეეხება საქმეში ჩახედვას, ტექნიკის დაუფლებას, საქმის ბატონ-პატრონად გახდომას,— ამაზე თავს არ იტკივებენ“ (ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამოც., 1951 წ., გვ. 420).

ისტორიულ მოხსენებაში სსრ კავშირის კონსტიტუციის შესახებ, საბჭოების სრულიად საკავშირო საგანგებო მე-8 ყრილობაზე, ი. ბ. სტალინი, იყენებდა რა შჩედრინის სატირას, მწვავე ირონიით ამხილებდა გერმანელ-ფაშისტთა ოფიციოზს ახალი საბჭოთა კონსტიტუციის პროექტის უგუნურ და უმართებლო „კრიტიკაში“.

ი. ბ. სტალინი წერდა: „თავის ერთ-ერთ ზღაპარ-მოთხრობაში დიდი რუსი მწერალი შჩედრინი იძლევა გონებაშეზღუდულ და გონებაჩლუნგ, მაგრამ მეტად გულდაჯერებულ და რიხიან თავნება ბიუროკრატის ტიპს. მას შემდეგ, რაც ამ ბიუროკრატმა მისდამი „რწმუნებულ“ ოლქში „წესრიგი და სიწყნარე“ დაამყარა, რისთვისაც ათასობით მცხოვრები გაჟლიტა და ათობით ქალაქი გადაბუგა, მან მიმოიხედა და ჰორიზონტზე შეამჩნია ამერიკა... და აღშფოთდა: ეს რა ქვეყანაა, საიდან გაჩნდა, რა საბუთით არსებობსო? რა

თქმა უნდა, იგი შემთხვევით აღმოაჩინეს რამდენიმე საუკუნის წინათ, მაგრამ განა არ შეიძლება კვლავ დაიხუროს იგი, რომ მისი ხსენებაც აღარ იყოსო? და ეს რომ თქვა, დაადო რეზოლუცია: „კვლავ დაიხუროს ამერიკა“! მე მგონია,—დასძენდა ი. ბ. სტალინი, რომ ეს ვაჟბატონები „დოიტშე დიპლომატიშ-პოლიტიშე კორესპონდენციდან“ როგორც ორი წვეთი წყალი, ისე ჰგვანან შჩედრინის ბიუროკრატს. ამ ვაჟბატონებს სსრ კავშირი უკვე დიდი ხანია თვალში ეჩხირებათ... რა ქვეყანაა ეს ქვეყანა, გაჰყვირიან ისინი, რა საბუთით არსებობს იგი, და თუ იგი 1917 წლის ოქტომბერში აღმოაჩინეს, რატომ არ შეიძლება კვლავ დაიხუროს იგი, რომ მისი ხსენებაც აღარ იყოსო? და ეს რომ თქვეს, დაადგინეს: კვლავ დაიხუროს სსრ კავშირი“...

ი. ბ. სტალინი ირონიულად ამთავრებს ფაშისტური ოფიციოზის მხილებას: „ადებდა რა რეზოლუციას იმის შესახებ, რომ კვლავ დახურულიყო ამერიკა, შჩედრინის ბიუროკრატმა, მიუხედავად მთელი თავისი გონებაჩლუნგობისა, მაინც გამოიჩინა რეალური გაგების ელემენტები და თავისთვის ჩაილაპარაკა: „მაგრამ, ვგონებ, საქმე ესე ჩემზე არ არის დამოკიდებულიო“. მე არ ვიცი,—ასკვნის ი. ბ. სტალინი,—ეყოფათ თუ არა ჭკუა ვაჟბატონებს გერმანული ოფიციოზიდან მისვდ-

ნენ, რომ აბა თუ იმ სახელმწიფოს „დახურვა“ ქალალდზე მათ, რასაკვირველია, შეუძლიათ, მაგრამ თუ სერიოზულად ვილაპარაკებთ, „საქმე ესე მათზე არ არის დამოკიდებული“ (ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამოც. 1951 წ., გვ. 652—653).

ი. ბ. სტალინი, თავის შრომებში არა ერთხელ იყენებს დიდი რუსი მეიგავარაკე კრილოვის ცნობილ ბრძნულ სენტენციებს და აგრეთვე სახუმარო გამონათქვამებს. ასე, მაგალითად, „ანარქიზმის თუ სოციალიზმის?“ ერთ-ერთ თავში ი. ბ. სტალინი ქართველი ანარქისტების უთავბოლო მსჯელობის გამო, იგონებს რა კრილოვის არაკს, ირონიულად წერს: „...აი ამ ცოდნის პატრონებს მოუნდომებიათ მეცნიერების გადახალისება! დიახ, ტყუილად არ უთქვამთ რუსებს: „Беда, коль пироги начнёт печь сапожник!“ (ტ. 1, გვ. 305).

მეორე ადგილას ი. ბ. სტალინი იყენებს კრილოვის ცნობილ გამონათქვამს: „მტერი იმდენს რას დამაკლებს, რასაც მოყვარე დათვიო“ („Услужливый медведь опаснее врага“). (ტ. 12, გვ. 34).

ი. ბ. სტალინი თავის თხზულებებში ხშირად მიმართავს მსოფლიო კლასიკოსებსაც: სერვანტესს, შექსპირს, იბსენს და მათს პერსონაჟებს, როგორც მხატვრულ სახეებს, მოხერხებულად იყე-

ნებს პოლიტიკური მტრების სატირული დახასიათებისათვის. ასე, მაგალითად, შრომაში „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“ ი. ბ. სტალინი ქართველ ანარქისტებს ადარებს ქარის წისქვილებთან მებრძოლ დონ-კიხოტებს (ტ. 1, გვ. 349). მეორე ადგილას, სტატიაში: „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი“ (1904 წ.) ი. ბ. სტალინი ქართველ ბურჟუაზიულ ნაციონალისტებსაც ნათლავს „საქართველოს დონ-კიხოტების“ სახელით (ტ. 1, გვ. 35).

საკოლმეურნეო მოძრაობის პირველ ხანებში ი. ბ. სტალინი, ცნობილ სტატიაში „პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს“ (1930 წ.), ჰგმობდა რა ზოგიერთი „წარმატებისგან თავბრუდახვეული“ ამხანაგის საქმიანობას, მიმართულს სოფლად საშუალო გლეხის წინააღმდეგ, წერდა: „განა ჩვენ გვესაჭიროება ყოველგვარი შეტევა, და არა გარკვეულ კლასზე შეტევა გარკვეულ კლასთან კავშირში? დონ-კიხოტსაც ხომ წარმოდგენილი ჰქონდა რომ მტრებზე აწარმოებდა შეტევას, როდესაც წისქვილზე მიჰქონდა იერიში. მაგრამ ცნობილია, რომ მან შუბლი გაიტეხა ამ, უკაცრავად პასუხია, შეტევის დროს. როგორც ჩანს, — ასკვნიდა ი. ბ. სტალინი, — დონ-კიხოტის დაფნის გვირგვინი მოსვენებას არ აძლევს ჩვენს „მემარცხენე“ გადამხვევებს“ (ტ. 12, გვ. 237).

ი. ბ. სტალინი პოლიტიკური მტრების სატირული დახასიათებისათვის იხსენებს შექსპირის ჰამლეტის სახესაც.

სტატიაში „თავი გაიწკეპლეს“ (1917 წელს) ი. ბ. სტალინი დაცინვით წერდა: „ესერმა ჰამლეტებმა, კერენსკის გარშემო ფისიებსავით რომ ტრიალებენ, ღრმააზროვნულად გამოაცხადეს, ტაშკენტის საბჭო „კონტრრევოლუციურ“ საბჭოდ“... (ტ. 3, გვ. 376).

შექსპირის ტრაგედიის გმირის სახელის მიკერება პოლიტიკურად გაკოტრებული, უბადრუკი პიროვნებებისათვის, ცხადია, კომიკურ ეფექტზე იყო გამიზნული ავტორის მიერ და ეს ხერხი მართლაც აღწევდა ამ მიზანს: ესერი ჰამლეტები! მართლაც რომ ზეგამოჭრილი იყო ეს სასაცილო იარლიკი კერენსკისა და მის გარშემო თავმოყრილი უნიადაგო, განწირული, თავის თავში დაეჭვებული, სულიერად გამოშიგნული ინტელიგენტებისათვის.

ი. ბ. სტალინი ჩვენი ქვეყნის მტრების გასანადგურებლად, მათთვის ნიღაბის ასახდელად და მათი ნამდვილი პოლიტიკური ბუნების გამოსამჟღავნებლად მიმართავდა არა მარტო ცალკეულ ლიტერატურულ სახეებს, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში გაშლილ შედარებებსაც ცნობილ მწერალთა ნაწარმოებების პერსონაჟებიან. ძალიან დამახასიათებელია ამ მხრივ ი. ბ. სტალინის საუბა-

რი უცხოელ მუშათა დელეგაციასთან 1927 წელს. ამ საუბარში, როგორც ცნობილია, ი. ბ. სტალინმა პარტიის მტრების დასახასიათებლად მეტად ოსტატურად გამოიყენა ყველასთვის ცნობილი ტარასკონელი გმირის კომიკური სახე.

მოგვყავს ადგილი საუბრიდან:

„ჩემი დამოკიდებულება ოპოზიციისადმი და მისი აგენტურისადმი გერმანიაში, – თქვა ი. ბ. სტალინმა ამ საუბარში, — ისეთივეა, როგორიცაა ცნობილი ფრანგი რომანისტის ალფონს დოდეს დამოკიდებულება ტარტარენ ტარასკონელისადმი“.

ი. ბ. სტალინი ამის შემდეგ იძლევა ამ ლიტერატურული გმირის მოკლე დახასიათებას, რაც იმავე დროს წარმოადგენს ოპოზიციის დახასიათებასაც. „თქვენ, ალბათ, წაკითხული გექნებათ ალფონს დოდეს ეს შესანიშნავი რომანი ტარტარენ ტარასკონელზე, — მიმართავდა ი. ბ. სტალინი უცხოელ მუშებს,—ამ რომანის გმირი, ტარტარენი, არსებითად, ჩვეულებრივი „კეთილი“ წვრილი ბურჟუა იყო. მაგრამ მას ისეთი გაქანების ფანტაზია ჰქონდა, ხოლო „გულკეთილად ცრუობის“ უნარი — იმდენად განვითარებული, რომ ის ბოლოს და ბოლოს ამ იშვიათ თვისებათა მსხვერპლი გახდა.

ტარტარენი ტრაბახობდა და ყველას არწმუნებდა, რომ ატლასის მთებში მან აუარებელი

ლომი და ვეფხვი მოკლა. ამისათვის ტარტარენის გულუბრყვილო მეგობრებმა მას უწოდეს მსოფლიოში პირველი მონადირე ლომებზე. ამავე დროს კი ალფონს დოდემ დანამდვილებით იცოდა, ისე როგორც დანამდვილებით იცოდა თვით ტარტარენმა, რომ ტარტარენს თვალითაც არ უნახავს არც ლომები და არც ვეფხვები.

ტარტარენი ტრაბახობდა და ყველას არწმუნებდა, რომ ის ავიდა მონბლანზე. მისმა გულუბრყვილო მეგობრებმა ამისათვის მას უწოდეს პირველი ალპინისტი მსოფლიოში. ამავე დროს კი ალფონს დოდემ დანამდვილებით იცოდა, რომ ტარტარენს არავითარი მონბლანი არასოდეს არ უნახავს, ვინაიდან ის იყო მხოლოდ მონბლანის მთის ძირში.

ტარტარენი ტრაბახობდა და ყველას არწმუნებდა, რომ მან დააარსა დიდი კოლონია საფრანგეთიდან დაშორებულ ქვეყანაში. გულუბრყვილო მეგობრებმა ამისათვის მას უწოდეს პირველი კოლონიზატორი მსოფლიოში. ამავე დროს კი ალფონს დოდემ დანამდვილებით იცოდა, ისე როგორც თვით ტარტარენს უნდა აღეარებინა, რომ ტარტარენის ფანტასტიკური ზრახვებიდან შერცხვენის გარდა არაფერი გამოვიდოდა.

თქვენ იცით, თუ რა შერცხვენამდე და სკანდალამდე მიიყვანა ტარასკონელები ტარტარენის ფანტასტიკურმა ტრაბახმა.

ვფიქრობ, რომ ოპოზიციისათვის ასეთივე შერცხვენით და სკანდალით დამთავრდება ოპოზიციის ლიდერების ტრაბახი და აურზაური, რაც მათ ატეხეს მოსკოვსა და ბერლინში“ (ტ. 10, გვ. 233-235).

ასეთია გაშლილი დახასიათება ალფონს დოდეს გმირისა, მოცემული ი. ბ. სტალინის მიერ. ეს დახასიათება თანაბრად ეკუთვნოდა ოპოზიციას და მის ხელმძღვანელებსაც. ი. ბ. სტალინი ხაზს უსვამს ტარტარენ ტარასკონელის — ამ წვრილი ბურჟუას ძირითად დამახასიათებელ ნიშნებს: სიცრუეს, ტრაბახს, ცრუ ფანტაზიორობას. ყველა ამ ნიშანმა შერცხვენამდე და სკანდალამდე მიიყვანა ტარტარენი, — ამბობდა ი. ბ. სტალინი და ასეთსავე ბედს წინასწარმეტყველებდა ოპოზიციისათვისაც. ეს წინასწარმეტყველება, ისევე როგორც ყველა გენიალური პროგნოზი სტალინისა, როგორც ვიცით, სავსებით გამართლდა.

* *

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ი. ბ. სტალინის ნაშრომებში ვპოულობთ სატირის გამოყენების ყოველგვარ ნიუანსებს, დაწყებულს იუმორიდან, მძაფრ და გამანადგურებელ ირონიამდე.

სტალინური იუმორი! ვისაც სურს ნათელი წარმოდგენა იქონიოს ამ მომხიბლავ, წარმტაცი ხა-

ლისით აღსავსე იუმორზე, საკმარისია გაიხსენოს ამხანაგ სტალინის გამოსვლა თუნდაც ქ. მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1937 წლის 11 დეკემბერს დიდ თეატრში.

მოგვყავს სათანადო ადგილები:

„ამხანაგებო, უნდა გამოვტყდე, მე არ მქონდა განზრახვა გამოვსულიყავი... რაზე ვთქვა, სახელდობრ რა სიტყვა? ყველაფერი, რისი თქმაც საჭირო იყო არჩევნების წინ, უკვე არის ნათქვამი...“

„... რასაკვირველია, შეიძლება თქმულიყო ერთგვარი მსუბუქი სიტყვა ყველაფერზე და არაფერზე. შესაძლოა, რომ ასეთი სიტყვა გაართობდა საზოგადოებას. ამბობენ, რომ ასეთი სიტყვების ოსტატები მოიპოვებიან არა მარტო იქ, კაპიტალისტურ ქვეყნებში, არამედ ჩვენშიც, საბჭოთა ქვეყანაში. მაგრამ, ჯერ ერთი, მე არა ვარ ასეთი სიტყვების ოსტატი...“

ქვემოთ თავის სიტყვაში ამხანაგი ი. სტალინი, სხვა საკითხებთან ერთად, შეეხო დეპუტატის მოვალეობის საკითხსაც: „დეპუტატმა უნდა იცოდეს, — თქვა ი. ბ. სტალინმა, — რომ იგი არის ხალხის მსახური, მის მიერ წარგზავნილი უმაღლეს საბჭოში და იგი უნდა გაჰყვეს იმ ხაზს, რომელზეც მას მიცემული აქვს განაწესი ხალხის მიერ. თუ გზას გადაუხვია, ამომრჩევლებს უფლე-

ბა აქვთ მოითხოვონ ახალი არჩევნების დანიშვნა, და მათ უფლება აქვთ ის დეპუტატი, რომელმაც გზას გადაუხვია, ყორანივით გააშაოონ...“

ამხანაგი ი. ბ. სტალინის იუმორი მწვავე სარკაზმად იქცევა, როგორც კი იგი შეეხება პოლიტიკურ მტრებს და ხალხის საქმის მოღალატეებს. ასეთია, მაგალითად, დახასიათება მენშევიკებისა, მოცემული ი. ბ. სტალინის მიერ ცნობილ სტატიაში „ლენინი, როგორც რკპ ორგანიზატორი და ბელადი“. აქ ი. ბ. სტალინი სტატიის შესავალში წერს, რომ ლონდონის ყრილობაზე ერთერთმა ამხანაგმა „საკმაოდ მოსწრებულად დაახასიათა ეს ჯგუფი, როცა თქვა, ის მარქსიზმის თვალსაზრისზე კი არა დგას, არამედ წევსო“ (ტ. 4, გვ. 336). მენშევიკების ამ ირონიულ დახასიათებას ი. ბ. სტალინი, მეტი ხაზგასმისათვის, განგებ რამდენიმეჯერ იმეორებს სტატიის მთელ მანძილზე:

„მენშევიკები, სწორედ ისინი, მარქსიზმის თვალსაზრისზე რომ „წვანან“, საკითხს უბრალოდ წყვეტდნენო“, — წერს ი. ბ. სტალინი სტატიის პირველ თავში. „...მენშევიკებმა, სწორედ იმათ, მარქსიზმის თვალსაზრისზე რომ „წვანან“, საკითხი თავისებურად გადასჭრესო“, — იმეორებს ამავე ფრაზას ი. ბ. სტალინი თავისი. სტატიის შემდეგ თავში. ამგვარად სამჯერ გამეორებული

ფრაზა მარქსიზმის თვალსაზრისზე მენშევიკების დგომის კი არა, წოლის შესახებ, მძაფრ ეფექტს იძლეოდა და სასაცილო ასპექტში უჩვენებდა მკითხველს მენშევიკების ოპორტუნისტულ ბუნებას.

ი. ბ. სტალინის მიერ იუმორისა და სატირის გამოყენების ბრწყინვალე ნიმუშებს ვხვდებით თითქმის ყველა მის თხზულებაში. გავიხსენოთ თუნდაც ამხანაგ ი. ბ. სტალინის ბოლო დროის გენიალური ნაშრომი „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები". აქ ერთ ადგილას ვკითხულობთ:

„ადამიანებს, რომლებსაც წარმოების იარაღები აქვთ, შეუძლიათ აწარმოონ მატერიალური დოვლათი, ხოლო იმავე ადამიანებს, რომლებსაც ენა აქვთ, მაგრამ წარმოების იარაღები არა აქვთ, არ შეუძლიათ აწარმოონ მატერიალური დოვლათი. ძნელი გასაგები არ არის, — ასკვნის ი. ბ. სტალინი,—ენას რომ შეეძლოს მატერიალური დოვლათი აწარმოოს, ლაქლაქა ადამიანები მსოფლიოში ყველაზე მდიდარი იქნებოდნენ" (ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, 1951 წ., გვ. 35).

სტალინური იუმორის საუცხოო ნიმუშად უნდა ჩაითვალოს გერმანელ მწერალ ემილ ლუდვიგთან საუბრის (1931 წ.) ის ადგილი, სადაც ამხანაგი ი. ბ. სტალინი იხსენებს შემდეგ ამბავს:

„ოდესღაც გერმანიაში, ამბობს ი. ბ. სტალინი,

მართლაც დიდი მოკრძალებით ეკიდებოდნენ კანონებს. 1907 წელს, როდესაც მე მომიხდა ბერლინში 2-3 თვით ცხოვრება, ჩვენ, რუსი ბოლშევიკები, ხშირად დავცინოდით ზოგიერთ გერმანელ მეგობარს კანონებისადმი ასეთი მოკრძალების გამო. მაგალითად, გავრცელებული იყო ანეკდოტი, რომ როდესაც ბერლინის სოციალ-დემოკრატიულმა ფორშტანდმა განსაზღვრული დღისა და საათისათვის დანიშნა რაღაც მანიფესტაცია, რომელზეც ყველა გარეუბნიდან უნდა მისულიყვნენ ორგანიზაციის წევრები, ერთი გარეუბნიდან 200 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი, თუმცა თავის დროს, დანიშნულ საათზე მივიდა ქალაქში, მაგრამ დემონსტრაციას ვერ დაესწრო, რადგან ორი საათის განმავლობაში ვაგზლის ბაქანზე იდგა და მის დატოვებას ვერ ბედავდა: არ იყო კონტროლიორი, რომელიც ბილეთებს ართმევს გამოსვლის დროს, ამიტომ ვერავის ჩააბარეს ბილეთები. ხუმრობით ამბობდნენ, რომ საჭირო გახდა რუსი ამხანაგი, რომელმაც მიუთითა გერმანელებს მდგომარეობიდან უბრალო გამოსავალაზე: გასულიყვნენ ბაქნიდან ბილეთების ჩაუბარებლად“ (თხზულებანი, ტ. 13, გვ. 128).

ამხანაგ ი. ბ. სტალინის იუმორი და სატირა სასტიკად ამათრახებდა ყოველგვარ მანკიერ მოვლენას ჩვენს საბჭოთა სინამდვილეში, ჩვენი ხალხის ცხოვრებაში.

შეუდარებელია, მაგალითად, ამხანაგ სტალინის მიერ პარტიის XVII ყრილობაზე წაკითხულ მოხსენებაში მოყვანილი ადგილი:

„შარშან,—ამბობდა თავის მოხსენებაში ამხანაგი ი. ბ. სტალინი, — მე საუბარი მქონდა... ძალიან პატივცემულ ამხანაგთან, მაგრამ გამოუსწორებელ მოლაყბესთან, რომელსაც შეუძლია ყოველგვარი ცოცხალი საქმე ჩაახრჩოს ლაყბობაში. აი ეს საუბარი:

მე: როგორ ჭრის თქვენში თესვის საქმე?

ის: თესვის საქმე, ამხანაგო სტალინ? ჩვენ ჩავატარეთ მობილიზაცია.

მე: მერე რა?

ის: ჩვენ პირდაპირ დავსვით საკითხი.

მე: მერე, შემდეგ?

ის: ჩვენ გვაქვს გარდატეხა, ამხანაგო სტალინ, მალე გვექნება გარდატეხა.

მე: მაინც?

ის: ჩვენში ისახება ძვრანი.

მე: კი, მაგრამ მაინც რა მდგომარეობაა თქვენში თესვის მხრივ?

ის: თესვის საქმეში ჯერ არაფერი გამოდის, ამხანაგო სტალინ!

„აი მოლაყბის ფიზიონომია, — დაასკვნიდა ი. ბ. სტალინი, — მათ მოახდინეს მობილიზაცია პირდაპირ დასვეს საკითხი, მათ აქვთ გარდა-

ტეხაც, ძვრებიც, საქმე კი ადგილიდან არ იძვრის". (ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამოც., 1951 წ., გვ. 606).

ასეთია სტალინის იუმორი, ასეთია მისი სატირის მახვილი, მიმართული ყოველგვარი ნაკლოვანებისა და ჩრდილოვანი მხარის წინააღმდეგ ჩვენს ცხოვრებაში.

ცნობილია, რომ სტალინურმა სატირამ, როგორც იარაღმა, მიმართულმა ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის მტრების წინააღმდეგ, განსაკუთრებულ სიმძაფრეს მიაღწია დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში. ვის არ ახსოვს გამანადგურებელი, ზიზღითა და რისხვით აღსავსე სარკაზმი ამხანაგ ი. ბ. სტალინისა, მიმართული ფაშისტ ყაჩაღთა მეთაურის ჰიტლერის წინააღმდეგ, ვერაგ ფაშისტთავდამსხმელთა არმიების წინააღმდეგ. იმ დღეებში წარმოთქვა ამხანაგმა სტალინმა თავისი ისტორიული ფრაზა: „ჰიტლერი ისე ჰგავს ნაპოლეონს, როგორც კატის კნუტი ლომს!"

თავის ისტორიულ სიტყვაში 1943 წლის 6 ნოემბერს, ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა, დაახასიათა რა ფაშისტური გერმანიის სატელიტების მდგომარეობა, აღნიშნა:

„ებმებოდნენ რა ომში, ჰიტლერული ბლოკის მონაწილენი სწრაფ გამარჯვებას ვარაუდობდნენ. მათ უკვე წინასწარ გაინაწილეს, თუ ვის რა ერ-

გებოდა: ზოგს ქადა-ნაზუქი, ზოგს კი დაჟეჟვა და კოპები (რუსულად: „Кому пироги и пышки, кому синяки и шишки". — ლ. ა.). ცხადია, რომ დაჟეჟვასა და კოპებს ისინი თავიანთ მოწინააღმდეგეებს უმზადებდნენ, თავისთვის კი ქადა-ნაზუქს იტოვებდნენ. მაგრამ ახლა ცხადია, რომ გერმანიასა და მის ლაქიებს ქადა-ნაზუქი არ შეხვდებათ, რომ მათ ახლა მოუხდებათ ერთმანეთს შორის გაიყონ დაჟეჟვა და კოპები" (ი. სტალინი, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ. თბილისი, სახელგამი, 1947 წ., გვ. 138).

ასეთი იყო ამხანაგ ი. ბ. სტალინის წინასწარგანჭვრეტა. ი. ბ. სტალინის წინასწარმეტყველურმა სიტყვებმა, მძაფრი სარკაზმით შეფერილმა, ძალიან ჩქარა ჰპოვა თავისი რეალური განხორციელება: გერმანელმა ფაშისტებმა და მათმა მომხრეებმა, როგორც ცნობილია, ოცნებით წარმოსახულ ქადა-ნაზუქების ნაცვლად ურთიერთშორის გაინაწილეს მხოლოდ „დაჟეჟვა და კოპები". ფაშისტი თავდამსხმელები აღგვილ იქნენ პირისაგან მიწისა.

* *

ასეთი არის სატირისა და იუმორის გამოყენების ზოგიერთი ნიმუში ამხანაგ სტალინის. გენიალურ ნაშრომებში.

ი. ბ. სტალინის ნაშრომები საუკეთესო, მისაბაძ მაგალითს აძლევენ ყველა იმ მწერალს, ვისაც სურს წარმატებით უპასუხოს პარტიის მიერ ნაკარნახევ ამოცანას: სატირის დაუნდობელი იარაღით ებრძოლოს ჩვენს სოციალისტურ სინამდვილეში შემორჩენილ ძველის ნაშთებს, მთელი თავისი ნიჭი, თავისი მხატვრული სიტყვის ძალა წარმართოს იქითკენ, რომ მოსპოს და გაანადგუროს ყოველივე უარყოფითი, დამპალი, მანკიერი — ყოველივე ის, რაც აფერხებს ჩვენი ხალხის ძლევამოსილ წინსვლას კომუნიზმის დიადი სამყაროსაკენ.

ი. ბ. სტალინის ნაშრომების კითხვის დროს

ლიტერატურის შენიშვნები

რუსთაველის სტრიქონები

ი. ბ. სტალინის ადრინდელ ნაშრომებში არა ერთხელ გვხვდება რუსთაველის გამონათქვამთა ბრძნული გამოყენება.

აი მაგალითიც:

ცნობილ სტატიაში „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“ (1905 წ.) ამხანაგი სტალინი, სხვათა შორის, წერს, რომ ზოგიერთ ქალაქში მუშები მართლაც ემხრობიან „უმცირესობას“, მაგრამ ეს გარემოება მაინც არ ნიშნავს, რომ მენშევიკების პოზიცია, ისევე, როგორც პოზიცია გერმანელი რევიზიონისტებისა, პროლეტარულია. „ერთხელ,— წერს ირონიულად ამხანაგი სტალინი, — ყვავმაც იშოვა ვარდი, მაგრამ ეს კიდევ იმას არ

ნიშნავს, რომ ყვავი ბულბულია. ტყუილად კი არაა ნათქვამი:

„რა ყვავი ვარდსა იშოვის,
თავი ბულბული ჰგონია“.

(იხ. ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 4, გვ. 123–124). ი. ბ. სტალინის მიერ მოყვანილი აფორიზმი აღებულია „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგი სტროფიდან:

„მუნ ცრემლნი, მისგან ნადენნი,
ქვათაცა დასალბონია;
გიშრისა ტევრსა აგუბებს,
ვარდისა ველსა ფონია;
ფატმან მას ზედა იხარებს
მართ ვითა იადონია.
თუ ყვავი ვარდსა იშოვნის,
თავი ბულბული ჰგონია“.

(„ვეფხისტყაოსანი“, სახელგამი, 1951 წ., გვ. 251, სტროფი 1254).

მ ე ო რ ე მ ა გ ა ლ ი თ ი: 1906 წელს დაწერილ სტატიაში „დღევანდელი მომენტი და მუშათა პარტიის გამაერთიანებელი ყრილობა“ ი. ბ. სტალინი, სხვათა შორის, წერს:

„ორში ერთი: ან რევოლუციის გამარჯვება და ხალხის თვითმპყრობელობა, ან კონტრრევოლუციის გამარჯვება და მეფის თვითმპყრობელობა. ვინც ორ სკამს შუა ჯდება, ის რევოლუციას ღალატობს. ვინც ჩვენსკენ არაა, ის ჩვენს წინააღ-

მდეგაა! საბრალო სათათბირო მისი საბრალო კადეტებით სწორედ ამ ორ სკამს შუაა გაჩხირული. მას უნდა რევოლუცია და კონტრრევოლუცია შეარიგოს, თხა და მგელი ერთად აძოვოს და ასე, „ერთი დაკვრით“ დააცხროს რევოლუციის ქარიშხალი“ (ტ. 1, გვ. 237).

„თხა და მგელი ერთად აძოვოს“... საიდან არის ეს სტრიქონი? ეჭვი არაა, იგი რუსთაველის უკვდავი პოემიდან მოაგონდა ი. ბ. სტალინს თავისი პუბლიცისტური სტატიის წერის დროს.

აი „ვეფხისტყაოსნის“ ის ადგილი, სადაც ეს პოეტური სახეა გამოყენებული (გვ. 332, სტროფი 1664):

„ავის მქმნელნი დააშინნეს,
კრავნი კრავთა ვერ უწოვდეს,
შიგან მათთა საბრძანისთა
თხა და მგელი ერთად სძოვდეს“.

ოღლე ციცმანიდან

ი. ბ. სტალინის შრომებში რამდენიმეჯერ გვხვდება ციტირება შესანიშნავი პოეტური სტრიქონებისა:

„ჩვენ ცოცხლები ვართ, დუღს ალისფერი ჩვენი სისხლი დაუხარჯავი ძალების ცეცხლით...“

გავიხსენოთ მოკლედ ეს ადგილები სტალინის შრომებიდან.

1912 წელს, ლენის ოქროს სამადნოებში მეფის ჯალათების მიერ მუშათა მასობრივი დახვრეტის შემდეგ, პეტერბურგის ბოლშევიკურ გაზეთ „ზვეზდაში“ ი. ბ. სტალინი აქვეყნებს სტატიას „ახალი ხანა“. სტატიის თავშივე ავტორს მოჰყავს ზემოხსენებული სტრიქონები. სტატია ასე იწყება:

„პიტერსა და მოსკოვში, რიგასა და კიევში, სარატოვსა და ეკატერინოსლავში, ოდესასა და ხარკოვში, ბაქოსა და ნიკოლაევში,—ყველგან, რუსეთის ყველა კუთხეში ხმას იმაღლებენ მუშები ლენის სამადნოებში დაღუპული თავიანთი ამხანაგების დასაცავად.

„ჩვენ ცოცხლები ვართ, დაუშრეტელი ძალების ცეცხლით დუღს ჩვენი ალისფერი სისხლი!..“ (ტ. 2, გვ. 240).

რა მრისხანე მუქარა გაისმის ამ სიტყვებში! ამხანაგი სტალინი დროულად გამოყენებულ პოეტური სტრიქონით საუკეთესოდ გამოხატავს მუშათა კლასის მზადყოფნას ბრძოლისათვის და მის მძვინვარე სიძულვილს მეფის თვითმპყრობელობისადმი.

1917 წლის პროკლამაციაში „პეტროგრადის ყველა მშრომელს, ყველა მუშასა და ჯარისკაცს“ ი. ბ. სტალინი, მიმართავს რა რეაქციის შავბნელ ძალებს, სხვათა შორის, წერს:

„არა, ბატონო კონტრრევოლუციონერებო, რევოლუცია არ მომკვდარა, ის მხოლოდ მინელდა იმისათვის, რომ შემოიკრიბოს ახალი მომხრენი და ახალი ძალით ეკვეთოს მტრებს.

„ჩვენ ცოცხლები ვართ, დაუხარჯავი ძალების ცეცხლით დუღს ალისფერი ჩვენი სისხლი!“ (ტ 3, გვ. 159).

აქაც, როგორც ვხედავთ, პოეტური სტრიქონით გამოხატულია მუქარა და მოწოდება ბრძოლისაკენ!

1922 წელს „პრავდის“ ათი წლისთავისათვის დაწერილ სტატიაში ამხანაგი სტალინი კვლავ იგონებს თავის საყვარელ პოეტურ სტრიქონს, გამოქვეყნებულს 1912 წლის „ზვეზდაში“.

„საკმარისი იყო,—წერს ი. ბ. სტალინი,—დაეხვრიტათ მუშები შორეული ციმბირის მიყრუებულ ადგილას (ლენის ბოდაიბო), რომ რუსეთს გაფიცვები მოსდებოდა, ხოლო ქუჩაში გამოსულ პიტერის პროლეტარიატს ერთი დაკვრით აღეგავა გზიდან მკვეხარა მინისტრი მაკაროვი მისი თავხედური ლოზუნგითურთ—„ასე იყო, ასე იქნებაო“. ეს იყო დაწყებული მძლავრი მოძრაობის პირველი მერცხლები. „ზვეზდა“ მაშინ მართალი იყო, რომ შეძახებდა: „ჩვენ ცოცხალნი ვართ, დაუშრეტელი ძალების ცეცხლით დუღს ალისფერი ჩვენი სისხლი“... (ტ. 5, გვ. 142).

მეტად საგულისხმოა ის გარემოება, რომ სტალინმა ზემოაღნიშნული პოეტური სტრიქონი შესანიშნავ საილუსტრაციო მასალად გამოიყენა ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა ხალხის ოპტიმისტური ფილოსოფიის დახასიათებისათვის; 1924 წელს დემიან ბედნისადმი მიმართულ კერძო წერილში ი. სტალინი წერდა:

„ძალიან კარგია, რომ თქვენ „ხალისიანი განწყობილება“ გქონიათ. „მსოფლიო სევდის“ ფილოსოფია ჩვენი ფილოსოფია არ არის. დაე, ისევდიანონ მიმავლებმა და დრომოჭმულებმა. ჩვენი ფილოსოფია საკმაოდ მოხდენილად გადმოსცა ამერიკელმა უიტმანმა: „ჩვენ ცოცხლები ვართ, დულს ალისფერი ჩვენი სისხლი დაუხარჯავი ძალების ცეცხლით“ (ტ. 6, გვ. 312).

ძალიან საინტერესოა, საიდან, რომელ წყაროდან აქვს აღებული ი. ბ. სტალინს უიტმანის ეს სტრიქონები?

საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში უკანასკნელ დროს ჩატარებულმა ძიებამ გამოარკვია, რომ ზემოაღნიშნული სტრიქონები აღებულია რუსი ლიტერატორის ტანის (ვ. გ. ბოგორაზის) მიერ გამოქვეყნებული ლექსიდან, რომელიც სათაურით „უოტ უიტმანიდან“ მოთავსებული იყო რუსულ ჟურნალ „ნაჩალოში“, 1899 წლის მარტის ნომერში*.

* Сборн. „Революционная поэзия. 1890—1917“. М.—Л., 1950 г. Примеч. В. Курпленкова, стр. 420.

ეს ლექსი აძის შემდეგ არა ერთხელ დაბეჭდილა რუსულ რევოლუციურ კრებულებში.* 1917 წლის პირველ მაისს იგი გამოქვეყნებულ იქნა გაზეთ „პრავდის“ ფურცლებზე ხელმოუწერლად, — სათაურად მას ჰქონდა „სიმღერა“.

ნათელი ოპტიმიზმითა და ცხოვრების უსაზღვრო სიყვარულითაა გამსჭვალული ამერიკელი დემოკრატი პოეტის სახელთან დაკავშირებული ეს მგზნებარე და ლაღი სიმღერა, რომელიც ხოტბას ასხამს, დიდებით მოსავს სიცოცხლესა და თავისუფლებას, შემოქმედებითს შრომასა და ქვეყნის გარდამქმნელ ბრძოლას. ეს არის ნამდვილი ჰიმნი, მიძღვნილი ადამიანის შემოქმედი ძალებისადმი, ბუნებისა და ცხოვრებისადმი.

სავსებით ბუნებრივია, რომ ეს ლექსი სტალინის განსაკუთრებულ ყურადღებას მიიქცევდა იმთავითვე, როგორც ნიმუში მაღალი იდეურობით აღსავსე, მებრძოლი სამოქალაქო ლირიკისა.

გავეცნოთ ამ ლექსის რუსულ ტექსტს, რომელსაც თავის დროზე სიყვარულით კითხულობდა და რომლის სტრიქონებსაც თავის შრომებში იყენებდა დიდი სტალინი.

---

* მათ შორის „რევოლუციურ სიმღერათა კრებულში“. რსდმპ პეტერბურგის კომიტეტის გამოცემა, 1916 წ., გვ. 9 (ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 449).

ПЕСНЯ

(Из Уота Уитмана)

Не скорбным, бессильным, остывшим бойцам,
Усталым от долгих потерь,—
Хочу я отважным и юным сердцам
Пропеть свою песню теперь!

Пусть мертвые мертвым приносят любовь
И плачут у старых могил!
Мы живы: кипит наша алая кровь
Огнем неистраченных сил..*

Священную память погибших в бою
Без слез мы умеем хранить,
Мы жаждем всю силу, всю душу свою
На тот же алтарь возложить!

Кто выронил молот и острый резец?
Мы рвемся работать взамен,
И строить великий народный дворец
Из камня разобранных стен.

Чьи мутные взоры поникли к земле?
Пытливо глядим мы вперед,
Упрямо стремимся увидеть во мгле
Зари отдаленный восход.

Неспсь, моя песня, как радостный клик,
На дальний, безвестный предел!

---

* ი. ბ. სტალინის შრომებში ციტირებულია ეს ორი უკანასკნელი სტრიქონი.

Да здравствует юность, кипучий родник
Великих стремлений и дел!

Неслись, моя песня! Взлети до небес,
Как сокол, свободный от пут!
Да здравствует гений всемирных чудес,
Могучий и творческий труд!

Неслись, моя песня, опять и опять!
Греми над землей, как труба!
Да здравствует жизни всесильная мать,
Владычица мира—борьба!

От края до края родимой страны
Друг другу несем мы привет...
Мы—ласточки свежей, зеленой весны,
Идущей за нами вослед.

Пусть скована стужей немая земля
И каждый шумливый поток,
И умерли листья, и снег на поля
Серебряным саваном лег!

Уж прокатился громовый удар
С неведомых горных высот,
И дрогнула сила безжизненных чар,
Тяжелый колеблется гнет.

И ветер пред утром повеял теплей
Во мраке на каждом шагу,
Незримые струйки ожывших ключей
Уж роются тайно в снегу.

Да скроется сумрак, да здравствует свет!
Мы вестники новых времен!
Весна молодая идет нам вослед
Под сенью несчетных знамен!*

ნეკრასოვის ლექსები

ი. ბ. სტალინი თავის ნაშრომებში, როგორც არა ერთხელ აღვნიშნეთ ზემოთ, ხშირად მიმართავს დიდი რუსი ხალხის უკვდავი პოეტებისა და მწერლების ნაწარმოებებს, როგორც საილუსტრაციო მასალას. არა ერთხელ ვხვდებით ი. ბ. სტალინის ნაშრომებში ნეკრასოვის პოეტურ სტრიქონებსაც.

ი. ბ. სტალინი განსაკუთრებულ პატივსა სცემდა „ხალხის ვარამის მომღერალ“ პოეტს ნეკრასოვს. თავის ნაშრომებში ი. ბ. სტალინი ხშირად მიმართავს ნეკრასოვის პოეზიას, მოჰყავს იქიდან დასამახსოვრებელი პოეტური გამოთქმები, იყენებს პოეტის ეპითეტებს, მხატვრულ სახეებს.

გავიხსენოთ რამდენიმე მაგალითი.

სიტყვაში სამეურნეო მუშაკთა ამოცანების შე-

---

* ამ ლექსის ტექსტი არა ერთხელ დაბეჭდილა რუსულ საბჭოთა გამოცემებში—იხ. კრებულები. „Из искры пламя“. М. 1925 г., стр. 397; „Революционная поэзия. 1890—1917“. М.—Л., 1950 г., стр. 142, და სხვ.

სახებ, 1931 წელს, ი. ბ. სტალინმა, დაახასიათა რა ძველი, მეფისდროინდელი რუსეთის ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენილობა, მოიგონა „რევოლუციის წინადროის პოეტის“ სიტყვები: „შენ უხვიცა ხარ, თან უბადრუკიც, შენ ძლიერიც ხარ, თანაც უძლური, დედავ რუსეთო“ (ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამოც., გვ. 422).

„რევოლუციის წინადროის პოეტად“ სტალინი აქ, როგორც ცნობილია, გულისხმობს ნეკრასოვს. მოყვანილი ციტატი ამოღებულია პოემიდან „ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად?“:

Ты и убогая,
Ты и обильная,
Ты и могучая,
Ты и бессильная,
Матушка — Русь!

როგორც ვიცით, ეს სტრიქონები გამოიყენა ვ. ი. ლენინმა 1918 წელს თავისი სტატიისათვის „ჩვენი დროის მთავარი ამოცანა“.

ვ. ი. ლენინს ჯერ სტატიის ეპიგრაფად ჰქონდა მოყვანილი ეს სტრიქონები, შემდეგ, განსაზღვრავდა რა მიმდინარე მომენტის მთავარ ამოცანას, — მიუთითებდა: „რადაც უნდა დაგვიჯდეს, მივაღწიოთ იმას, რომ რუსეთი აღარ იყოს უბადრუკი და უძლური, რომ ის გახდეს ძლიერი და უხვი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით“ (ტ. 27, გვ. 174, 176).

ნეკრასოვის პოეტურ სტრიქონებს, აგრეთვე ცალკეულ სიტყვებს და გამოთქმებს ი. ბ. სტალინი არა ერთხელ იყენებდა თავის ადრინდელ ნაშრომებშიაც.

ასე, მაგალითად, არალეგალურ გაზეთ „ბრძოლის“ (1901 წ. № 2-3) ფურცლებზე დაბეჭდილ წერილში „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი უახლოესი ამოცანები“, ი. ბ. სტალინი ძალიან მარჯვედ იყენებს ნეკრასოვის ერთ-ერთ მხატვრულ-სტილისტიკურ ხერხს—ემოციურად მნიშვნელოვანი სიტყვის ხშირ გამეორებას, მკითხველზე ძლიერი შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით.

ზემოხსენებული სტატიის მეორე თავი იწყება წინადადებით: „მარტო მუშათა კლასი არ კვნესის მეფის წყობილების უღელქვეშ“. ამ წინადადებაში ნახმარი სიტყვა „კვნესის“ მთელი მომდევნო გრძელი აბზაცის მანძილზე მეორდება რამდენიმეჯერ — თითქმის ყოველი ახალი წინადადება იწყება ამ სიტყვით, რაც გარკვეულ განწყობილებას ქმნის მკითხველში. მოვიყვანოთ შემოკლებით ეს აბზაცი ი. ბ. სტალინის წერილიდან:

„მარტო მუშათა კლასი არ კ ვ ნ ე ს ი ს* მეფის წყობილების უღელქვეშ. თვითმპყრობელო-

---

* სიტყვები „კვნესის“ და „კვნესიან“ ყველგან ჩვენ მიერაა ხაზგასმული.—ლ. ა.

ბის მძიმე თათი ახრჩობს სხვა საზოგადოებრივ კლასებსაც. კ ვ ნ ე ს ი ს მუდამ შიმშილით დასიებული რუსეთის გლეხკაცობა, გაღატაკებული აუტანელი გადასახადებით და მსხვერპლად შეწირული ჩარჩ-ბურჟუებისათვის, „კეთილშობილი“ მემამულეებისათვის. კ ვ ნ ე ს ი ა ნ წვრილი მოქალაქეები, სახელმწიფო და კერძო დაწესებულებების წვრილი მსახურები, წვრილი მოხელეები...“ „კ ვ ნ ე ს ი ს ნაწილი წვრილი და თითქმის საშუალო ბურჟუაზიისაც, რომელიც ვერ შერიგებია მეფის შოლტსა და მათრახს, განსაკუთრებით განათლებული ნაწილი ბურჟუაზიისა, ეგრეთწოდებული თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლები (მასწავლებლები, ექიმები, ადვოკატები, სტუდენტები და საზოგადოდ მოსწავლეები); კ ვ ნ ე ს ი ა ნ შევიწროებული ერები და სარწმუნოებანი რუსეთში, მათ შორის თავისი სამშობლოდან დევნილი და წმინდა გრძნობებ-შეურაცხყოფილი პოლონელები, ფინელები, რომელთაც თვითმპყრობელობამ ურცხვად გაუთელა ისტორიისგან მიცემული უფლებები და თავისუფლება; კ ვ ნ ე ს ი ა ნ მუდამ დევნილნი და შეურაცხყოფილნი ებრაელნი...“ „კ ვ ნ ე ს ი ა ნ ქართველები, სომხები და სხვა ერები, მოკლებულნი უფლებას — იქონიონ თავისი სკოლები, იმუშაონ სახელმწიფო დაწესებულებებში, იძულებულნი დაემორჩილონ იმ სამარცხვინო და შემავიწროებელ

პოლიტიკას გარუსებისას (ხაზი ავტორისაა.— ლ. ა.), რომელსაც ასე გულმოდგინედ ატარებს თვითმპყრობელობა; კვნესის მრავალი მილიონი რუსი სექტანტობა, რომელსაც სურს ირწმუნოს და აღიაროს ის, რასაც უბრძანებს მისივე სინიდისი, და არა ის, რაც სურთ მართლმადიდებელ ხუცებს. კვნესიან... მაგრამ ყველა შეიწროებულთ, ყველა დევნილთ რუსეთის თვითმპყრობელობისაგან ვერც კი ჩამოსთვლი". (ტ. 1, გვ. 21-22).

ზემომოყვანილ აბზაცში ი. ბ. სტალინს სიტყვა „კვნესის", ისევე, როგორც ნეკრასოვს, გამოყენებული აქვს სტილისტიკურ ხერხად. ცნობილია, რომ ნეკრასოვს თავის პოემაში „ფიქრები საპარადო შესავალთან" მთელი პასსაჟი აქვს, სადაც თითქმის ზედიზედ მეორდება სიტყვა „стонет".

გავიხსენოთ ნეკრასოვის პოემის ეს ადგილი:

... Назови мне такую обитель,
Я такого угла не видал,
Где бы сеятель твой и хранитель,
Где бы русский мужик не стонал?
Стонет* он по полям, по дорогам,
Стонет он по тюрьмам, по острогам,
В рудниках, на железной цепи;
Стонет он под овином, под стогом,

---

* ამ სიტყვის ხაზგასმა ყველგან ჩვენია.—ლ. ა.

Под толстой, почуя в стени,
Стонет в собственном бедном домишке,
Свету божьего солнца не рад;
Стонет в каждом глухом городишке,
У подъезда судов и палат...

აქაც, ისევე, როგორც ამხანაგ ი. ბ. სტალინის ტექსტში, სიტყვა „კვნესა“ დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური შინაარსით არის დატვირთული და გარკვეულ ემოციურ განწყობილებას ქმნის მკითხველში. ამგვარად, როგორც ვნახეთ, ჯერ კიდევ ოცდაერთი წლის ი. ბ. სტალინი, ღრმა მცოდნე და პატივისმცემელი ნეკრასოვის პოეზიისა, დიდი ოსტატობით იყენებდა გენიოსი რევოლუციონერი-პოეტის მხატვრულ ხერხს თავისი პოლიტიკურ-პუბლიცისტური სტატიის იდეური ზეგავლენის გასაძლიერებლად მკითხველთა ფართო მასებზე*.

ნეკრასოვის ლექსის სტრიქონითვეა შთაგონებული ამხანაგ ი. ბ. სტალინის მიერ 1905 წ. და-

---

* მეტად საგულისხმოა, სხვათა შორის, ის გარემოება, რომ თავის დროზე ნეკრასოვის სტრიქონმა პოემიდან „ფიქრები საპარადო შესავალთან“ ანალოგიური პარალელი ჰპოვა ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივში“:

Выдь на Волгу: чей стон раздается
Над великой русской рекой?

წერილი პროკლამაციის ფრაზა „ვთესოთ კეთილი თესლი“. აი ეს ადგილი პროკლამაციიდან „კავკასიის მუშებო, დროა შური ვიძიოთ“:

„დიახ, ამხანაგებო, შორს აღარაა ის დრო, როცა რუსეთის რევოლუცია აფრებს აუშვებს და „აღგვის პირისაგან მიწისა“ საზიზღარი მეფის საძაგელ ტახტს! ჩვენი წმინდა მოვალეობაა მზად ვიყოთ ასეთი მომენტისათვის. მაშ ვემზადოთ, ამხანაგებო! ვთესოთ კეთილი თესლი პროლეტარიატის ფართო მასებში“ (ტ. 1, გვ. 77-78).

„ვთესოთ კეთილი თესლი“ — ეს შესანიშნავი სიტყვები წარმოადგენენ ნეკრასოვის პოეტური სტრიქონის „სთესეთ გონივრული, კეთილი, მარადიული“-ს ანალოგიას ცნობილი ლექსიდან „მთესველებს“.

აღვადგინოთ მეხსიერებაში პოეტის ეს სახელგანთქმული ლირიკული ნაწარმოები, დაწერილი გასული საუკუნის 70-ან წლებში და მიმართული

Этот стон у нас песней зовется —
То бурлаки идут бичевой!..

ილიას მოთხრობის პერსონაჟი თავადი არჩილი ამბობს ქართველ გლეხებზე: „აბა იმათს სიმღერას უყურე: ერთი გრძელი კვნესაა და მაინც სიმღერას ეძახიან. ჩვენი (თავადაზნაურობის. — ლ. ა.) სიმღერა კვნესა არ არის და მაინც ლხენა ვერ დაგვირქმევია“.

ხალხისათვის თავდადებული, მისი ინტერესებისათვის მებრძოლი ახალგაზრდა ინტელიგენციისადმი:

СЕЯТЕЛЯМ

Сеятель знанья на ниву народную!
Почву ты, что ли, находишь бесплодную,
Худы ль твои семена?
Робок ли сердцем ты? Слаб ли ты силами?
Труд награждается всходами хилыми,
Доброго мало зерна!
Где же вы, умелые, с бодрыми лицами,
Где же вы, с полными жита кошницами?
Труд засевающих робко, крупицами,
Двиньте вперед!
Сейте разумное, доброе, вечное,
Сейте! Спасибо вам скажет сердечное
Русский народ...

ასეთია ნეკრასოვის ეს შესანიშნავი ლექსი-მოწოდება. აქ, სხვათა შორის, საგულისხმოა ის გარემოება, რომ ნეკრასოვის ზემომოყვანილი სტრიქონი „სთესეთ გონივრული, კეთილი, მარადიული“ არა ერთხელ ყოფილა გამოყენებული მომდევნო დროის რევოლუციურ დოკუმენტებშიაც. ასე, მაგალითად, პარტიის ორგანო „რაბოჩაია პრავდა“ 1913 წელს, სახელოვანი უკრაინელი პოეტი ჭალის გარდაცვალების გამო, წერდა: „ლესია უკრაინკა, ახლოს იდგა რა საერთოდ განმათავისუფ-

ლებელ საზოგადოებრივ მოძრაობასთან და, კერძოდ, პროლეტარულთან, მთელ თავის ძალებს სწირავდა მას, სთესდა გონივრულს, კეთილს, მარადიულს“.

ნეკრასოვის ლექსების, პოეტური სახეებისა და გამოთქმების გახმაურება ამხანაგ ი. ბ. სტალინის ნაწერებში საკმარისი სიცხადით მოწმობს, თუ რაოდენ მაღალ შეფასებას აძლევდა დიდი სტალინი რუსული კლასიკური ლიტერატურის ბრწყინვალე წარმომადგენლის, შესანიშნავი რევოლუციონერი-დემოკრატი პოეტის შემოქმედებას.

* *

აქვე გვინდა დავსძინოთ, რომ ნეკრასოვისებური გამოთქმა, სადაც ხალხისათვის ნათქვამი ცოცხალი სიტყვა შედარებულია ხნულში გადაგდებულ თესლთან, არა ერთხელ გვხვდება როგორც რუსულ, ისე ქართულ პუბლიცისტიკასა და მხატვრულ ლიტერატურაში.

უპირველეს ყოვლისა ამ თვალსაზრისით საჭიროა მოვიგონოთ ვ. ი. ლენინის ცნობილი წერილი „გერცენის ხსოვნას“, სადაც ვკითხულობთ: „რევოლუციისადმი უსაზღვრო ერთგულება და რევოლუციური ქადაგებით ხალხისადმი მიმართვა მაშინაც კი არ ჩაივლის ამაოდ, როცა მთელი ათეული წლები აშორებს თესვას მკისაგან“ (ტ. 18, გვ. 19).

ქართულ რევოლუციამდელ მწერლობაშიც ხში-

რად ვხვდებით ანალოგიურ გამოთქმებს. რამდენიმე მაგალითი აკაკის ნაწერებიდან:

„სიტყვა თესლია, რომელიც შთავარდება ხალხში, აღძრავს მას, ამოქმედებს და მითი ნაყოფად გადაიქცევა“ („დროება“, 1876 წ. № 101); „სიტყვა თესლია, ხალხია ნიადაგი — თამამად და პატიოსნურად ხალხში გატყორცნილი მართალი სიტყვა უნაყოფოდ არ რჩება“ („დროება“, 1881 წ. № 19); „დასთესე თესლი კეთილი, შესარგო მამულისაო“ (ლექსი „გორი“, 1884 წ.); „სიტყვა იგივ თესლი არის, ნორჩი გული—მიწა-ხნული“ (ლექსი „ბოდვა“, 1902 წ.) და სხვ. აკაკი ერთ თავის წერილში აღნიშნავს ამ ჩვენთვის საინტერესო გამოთქმის წარმომავლობას სახარების „იგავიდან მთესველზე“, რაც, ცხადია, სრულ სიმართლეს წარმოადგენს.

საგულისხმოა, რომ ამავე თემატიკურ რკალს უახლოვდება ვაჟა-ფშაველას ცნობილი ლექსიც „სიტყვა ეული“: „სიტყვა გადვაგდე ერშია, სიტყვა, რა სიტყვა — ეული, ტანჯულის გულის ნაცრემლი, ჯავრით ნაკვები, სნეული...“

ნადსონის გახსენება

ი. ბ. სტალინის პროკლამაციაში „რუსეთის ყველა მუშას და მუშა-ქალს“, რომელიც მის მიერ რუსულად იქნა დაწერილი 1912 წლის დეკემბერში (ტ. 1, გვ. 285; რუს. გამოც. ტ. 1, გვ. 267),

ავტორს გამოყენებული აქვს ფართო საზოგადოებაში იმ დროს საკმაოდ გავრცელებული, ფრთოვან ფრაზად ქცეული სტრიქონი: „Как мало прожито, как много пережито!“

ი. ბ. სტალინის პროკლამაცია დაწერილია ვ. ი. ლენინის მითითებით, 9 იანვრის აღსანიშნავი დღისათვის. „კვლავ ვეგებებით ჩვენ ცხრა იანვარს,—ვკითხულობთ პროკლამაციაში,—იმ დღეს, რომელიც აღბეჭდილია მრავალი ასეული ჩვენი ძმების—მუშების სისხლით, რომლებიც 1905 წლის 9 იანვარს დახვრიტა მეფე ნიკოლოზ რომანოვმა იმისთვის, რომ ისინი მშვიდად, უიარაღოდ მივიდნენ მასთან უკეთესი ცხოვრების სათხოვნელად“.

პროკლამაციაში აწერილია რუსეთში გამეფებული საშინელი პოლიტიკური რეჟიმისათვის დამახასიათებელი ფაქტები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ უკანასკნელი რვა წლის მანძილზე — 1905 წლიდან მოკიდებული 1913 წლამდე. ჩამოთვლილია ყველა ის მძიმე დანაშაული, რომელიც ამ ხნის განმავლობაში ჩაიდინა მეფის ხელისუფლებამ ხალხის მიმართ: მუშების დახვრეტა ლენის ოქროს სამადნოებში; მილიონობით გლეხთა შიმშილობა 1911 წელს; ხალხის საუკეთესო წარმომადგენელთა წამება და აბუჩად აგდება საპყრობილეებში; უწყალო ხვრეტა მატროსებისა და ჯარისკაცების, რომლებიც მოითხოვდნენ მიწას გლეხებისათვის და თავისუფლებას მთელი ხალხისათვის.

ჩამოსთვლის რა ყველა ზემოხსენებულ ფაქტს, ავტორი დაასკვნის: „რვა წელი! რა ცოტა ვიცხოვრეთ, რა ბევრი განვიცადეთ...“

ეს სტრიქონი, რომლის რუსული დედანი ზემოთ მოვიყვანეთ, როგორც ცნობილია, ეკუთვნის რუსეთის პროგრესულ საზოგადოებრიობაში თავის დროზე ფართოდ პოპულარულ დემოკრატ პოეტს ს. ნადსონს (1862—1887).

ი. ბ. სტალინი ნადსონის სტრიქონს ძალიან დროულად და მოხერხებულად იყენებს თავისი პროკლამაციის ემოციური ძალის განსამტკიცებლად. ნადსონის სტრიქონის ციტირება ნათლად ადასტურებს ამხანაგ სტალინის მაღალ შეხედულებას ამ პოეტის შემოქმედების პროგრესულ, დემოკრატიულ ხასიათზე.

აქვე გვინდა დავსძინოთ ცნობისათვის, რომ ს. ნადსონის შემოქმედება, რომელიც თავის საუკეთესო ნაწილში აგრძელებდა ნეკრასოვის პოეზიის ტრადიციებს და გამსჭვალული იყო მოქალაქეობრივი პათოსით, ხალხისა და სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულის გრძნობით, საკმაო ყურადღებასა და დაფასებას ჰპოვებდა დიდი ლენინის მხრივაც. გავიხსენოთ ნ. კ. კრუპსკაიას წერილი ვ. ი. ლენინის დედის, მ. ა. ულიანოვასადმი, მოწერილი კრაკოვიდან 1913 წლის 26 დეკემბერს. ნ. კ. კრუპსკაია ამ ბარათში იწერებოდა, რომ კრაკოვის ემიგრაციაში ყოფნის დროს, რუ-

სული წიგნების ნაკლებობის გამო მშობლიურ მწერლობას მოწყურებულმა ვ. ი. ლენინმა „თითქმის ზეპირად დაისწავლა ნადსონი და ნეკრასოვი“*.

მეტად საგულისხმოა ის გარემოება, რომ ნადსონის სამოქალაქო ლირიკის საუკეთესო ნიმუშებს თავის დროზე საპატიო ადგილი ეთმობოდა რევოლუციამდელი ქართული ბოლშევიკური პრესის ფურცლებზეც. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ნადსონის ლექსის თარგმანი, მოთავსებული გაზ. „დროს“ 1907 წ. № 8-ში. ამ ლექსის ძირითად იდეას წარმოადგენს სიმართლის მსახურება და ხალხის ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლა.

მოგვყავს თარგმანის ტექსტი, როგორც ნიმუში ნადსონის სამოქალაქო პოეზიისა, რომელსაც ფართოდ იყენებდა ბოლშევიკური გაზეთი სააგიტაციო მიზნებისათვის:

* * *

(ნ ა დ ს ო ნ ი დ ა ნ)

არ გეკუთვნი მხოლოდ შენ ერთს,—
სხვაც მყავს სატრფო-იდეალი:
მას ვერ გავცვლი შენს ალერსში,
მით მიხარის მომავალი.

ცხოვრებისა მიზნად მხოლოდ
ვერ გავიხდი შენს სიყვარულს,
და სიმართლის მსახურებას
ვერ მივაკლებ საზრდოდ ჩემს გულს.

---

* В. И. Ленин, „Письма к родным“. Москва, Партиздат, 1934 г., стр. 396.

არ გავურბი მძვინვარ ტალღებს,
არ მაშინებს ბნელ-წყვდიადი;
ვიცი და მრწამს—ბრძოლას ითხოვს
სანეტარო განთიადი!

თარგმანის სიზუსტისათვის

მთარგმნელურ მუშაობაში, როგორც ცნობილია, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ენების ზედმიწევნითს ცოდნას, საიდანაც ითარგმნება და რომელზედაც ითარგმნება ესა თუ ის ნაწარმოები. მაგრამ არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ამ საქმეში მთარგმნელის სიზუსტეს, ყურადღებას. ეს თვისებები, ენის ცოდნასთან ერთად, თარგმანის კეთილი ღირსების აუცილებელ გარანტიას წარმოადგენენ.

ამ გარემოების საუკეთესო და ავტორიტეტულ დადასტურებას წარმოადგენს ი. ბ. სტალინის პატარა შენიშვნა, რომელიც ახლავს მისი ნაშრომის „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხის“ მეოთხე თავს (თხზულებანი, ტ. 2, გვ. 346).

როგორც ცნობილია, ამ ნაშრომში ამხანაგი სტალინი კრიტიკულად განიხილავს ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის მიერ 1899 წელს ბრიუნის კონგრესზე მიღებულ პროგრამას ნაციონალურ საკითხში.

პროგრამის ტექსტი ი. ბ. სტალინს მოჰყავს ავსტრიელი სოციალ-დემოკრატის ოტო ბაუერის წიგნიდან „ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია“.

ი. ბ. სტალინს თავისი ნაშრომის წერის დროს ხელთ ჰქონდა ბაუერის წიგნის რუსული თარგმანი (მთარგმნელი მ. პანინი, გამომცემლობა „სერპი“, 1909 წ.).

აღსანიშნავია, რომ ამხანაგი სტალინი სარგებლობდა არა მარტო რუსული წყაროებით, არამედ უცხოური, კერძოდ, გერმანული ლიტერატურითაც. ძალიან საგულისხმოა, რომ ი. ბ. სტალინი, წყაროების კრიტიკული გამოყენების დროს რუსულად თარგმნილ ნაშრომებს სიფრთხილისათვის ადარებდა მათი დედნის ტექსტს. ასე, მაგალითად, ბაუერის წიგნის რუსული თარგმანით სარგებლობის დროს, იგი თვალს ადევნებდა აგრეთვე გერმანულ ორიგინალსაც. ამ სიფრთხილეს თავისი ნაყოფიც გამოუღია. ი. ბ. სტალინს რუსულ ტექსტში აღმოუჩენია მთარგმნელის უყურადღებობით გაპარული შეცდომა. ამხანაგი სტალინი, ტექსტის ციტირების დროს, ასწორებს რა მთარგმნელის მიერ დაშვებულ ამ შეცდომას, იქვე სქოლიოში იძლევა საკუთარ განმარტებას ამ საკითხზე. იგი წერს:

„მ. პანინის რუსულ თარგმანში (იხ. პანინის

თარგმანი ბაუერის წიგნისა) „ნაციონალურ თავისებურებათა“ ნაცვლად ნათქვამია „ნაციონალური ინდივიდუალობანი„. პანინს არასწორად უთარგმნია ეს ადგილი, გერმანულ ტექსტში არ არის სიტყვა „ინდივიდუალობა“. აქ ლაპარაკია nationalen Eigenart-ზე, ე. ი. თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ე ბ ზ ე, რაც სრულიად არ არის ერთი და იგივე“.

ი. ბ. სტალინის ეს პატარა შენიშვნა უაღრესად მნიშვნელოვანია და საგულისხმო ყოველი ლიტერატორ-მთარგმნელისათვის.

უფრო მეტიც.

ეს შენიშვნა სახელმძღვანელო მაგალითს წარმოადგენს ყოველი მეცნიერი მუშაკისა, მწერლისა და კრიტიკოსისათვის: იქ საუკეთესოდ მოჩანს ამხანაგი ი. ბ. სტალინის მეცნიერულ-ლიტერატურული მუშაობის სტილის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი.

ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან

„ივერია“, 1895 14 ივნისი

ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში სამახსოვრო თარიღად რჩება 1895 წლის 14 ივნისი. ამ დღეს გაზეთ „ივერიაში“, რომელსაც რედაქტორობდა დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე, გამოქვეყნდა ჭაბუკ იოსებ ჯუღაშვილის პირველი ლიტერატურული ნაწარმოები ლექსი „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი...“

საინტერესოა ვნახოთ, რას წარმოადგენს თვითონ ის ნომერი „ივერიისა“, სადაც პირველი გამოვლინება ჰპოვა გენიოსი ჭაბუკის ყმაწვილურმა აღმაფრენამ, მისმა ფიქრმა და გრძნობებმა, ლაღმა ოცნებამ სამშობლოს ნათელ მომავალზე.

* *

უნდა ითქვას, რომ „ივერიის“ 1895 წლის 14 ივნისის ნომერი თავისი მასალით ბევრად არ გამოირჩევა ამ გაზეთის წინა ნომრებისაგან. ამ ნომერში „ჩვეულებრივია“ ყველაფერი — მოწინავე წერილიდან უკანასკნელ განცხადებამდე. მაგრამ ეს „ჩვეულებრივი“ მასალა საკმაო წარმოდგენას გვაძლევს როგორც საქართველოს, ისე მთლიანად რუსეთის იმდროინდელ სოციალ-პოლიტიკურ ვითარებაზე. ამასთან ერთად იგი ფარდას ჰხდის საერთაშორისო ვითარების ერთ მნიშვნელოვან მომენტსაც.

გაზეთი იხსნება მეთაური წერილით, რომელიც შეეხება ინგლისის ლიბერალური პარტიის კაბინეტის გადადგომასა და კონსერვატორთა პარტიის მოსვლას ხელისუფლების სათავეში. გაზეთი, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბაირაღტარი, აქაც არ ღალატობს თავის თავს და, სარგებლობს რა შემთხვევით, თავის ღრმა სიმპათიას გამოთქვამს თავისუფლებისათვის მებრძოლი, დაჩაგრული ირლანდიის ხალხისადმი.

ამ წერილში, ეხება რა ირლანდიის ამბებს, გაზეთი მკითხველის გულისყურს მიმართავს იმ აზრისაკენ, რომ ჩაგრულმა პატარა ერმა უნდა იბრძოლოს თავისი ნაციონალური თავისუფლებისათვის. გაზეთი აშკარად ილაშქრებს ინგლისის იმპე-

რიალიზმის მტაცებლური პოლიტიკის წინააღმდეგ, იცავს ჩაგრული ხალხის უფლებებს.

განსაკუთრებით საგულისხმოა გაზეთის კორესპონდენციები ადგილებიდან. გაზეთის ფურცლებზე მოთავსებულია წერილები იანეთიდან (ქუთაისის მაზრა) ქვემო-მაჩხაანიდან (ქიზიყი) და დაბა ცხინვალიდან (ახლანდელი სტალინირი).

სავალალო სურათი იშლება მკითხველის თვალწინ ამ კორესპონდენციებში. სოფლებში ყვავილი, წითელა და სხვა გადამდები სნეულება მძვინვარებს. არავინაა მშველელი, რომ დახმარების ხელი გაუწოდოს დაბეჩავებულ, სიბნელეში მყოფ მშრომელ მასებს. იანეთელი კორესპონდენტის სიტყვით, „ორი თვეა, რაც ეს ხალხის გამანადგურებელი სენი მძვინვარებს და მიმხედავი კი არავინ არის, არც ექიმი და არც უბრალო დამრიგებელი, რომელმაც მაინც აუხსნას ხალხს, თუ ყვავილს როგორ მოუარონ“. კორესპონდენტი ქვემოთ აუწერს მკითხველებს იმ ცრუმორწმუნე ჩვევებს, რომელთაც მიმართავენ სოფელში სახადით დაავადებულთა მოვლის დროს. „მე ვიყავი... ყვავილით ავადმყოფის ოჯახში, — გვიამბობს კორესპონდენტი, — ავადმყოფს ყვავილი ისე მოდებული ჰქონდა, რომ თვალებში ვერ იხედებოდა,— მეტისმეტი სიცხე ჰქონდა. მის გვერდით სტოლზედ ეყარა დამჭკნარი ყვავილები, დამცხვარი ხა-

ჰაპურები (რომელსაც ხმიადს ეძახიან), სხვადასხვა ნივთები, წყალი, ღვინო, ყველი და ნადუღი. ეს ხორაგი, ოცი დღის მოგროვილი, სრულებით დამპალი, იქაურობას სწამლავდა თავისი სუნით. მე ვუთხარი ავადმყოფის მომვლელს, რომ ის ხორაგი გადაეყარათ, ოთახი გაესუფთავებიათ და ავადმყოფისათვის ხინა ეძლიათ და აგრეთვე მსუბუქი საჭმელი, — რძე, ბულიონი და სხვ. ჩვენს დარიგებაზე ერთმა ხნიერმა დედაკაცმა მითხრა: შვილო, ნუ იტყვი მაგისთანებს, ბატონები გაჯავრდებაო, აი, ეხლაც ეწყინა ბატონებს, რამე საპატიოდ უნდა მივართვათო. შემოუყვანეს ბუდით წიწილებიანი ქათამი; ხუთმა ქალმა ერთად მეტანიით და ფორთხით ჩამოიარეს ოთახი და ბუდე კრუხ-წიწილებით მიართვეს ბატონებს. ბუდე აყროლებული ხორაგის გვერდით დასდეს, თითონ კი დაუგველს იატაკზედ დასხდენ (დაგვა არ შეიძლება, სანამ ბატონები იმ ოჯახშია და არც სკამზედ დაჯდომა), დაუკრეს ჩონგური და დაამღერეს ნანა ბატონებსო. საბინელი სანახავი იყო ერთის მხრით ძალზედ მწუხარე, დაბრმავებული ავადმყოფი და მეორეს მხრით ჩონგური და მაზედ სიმღერა. მე ტირილი მომივიდა, გამოვედი კარზედ, მოვიხმე ავადმყოფის პატრონი და ვუთხარი: რაღგან მე არ მიჯერებთ დარიგებას, ჯიხაიშში წადი ექიმ ვაშაკიძესთან... ის გირჩევს რასმეს და შენც ისე მოიქეცი-მეთქი.

მართლაც მოიტანა წამლები და ავადმყოფი უკეთ მოიქცა“...

გაზეთი თავის კორესპონდენტის პირით უამბობს მკითხველს იმ საშინელ ჩამორჩენილობაზე, ცრუმორწმუნეობასა და სიბეჩავეზე, რომელიც სუფევს სოფლად. ათასში ერთხელ თუ შეხვდები სოფლად ექიმს, ავადმყოფთა „ნკურნალობა“ უმეტეს წილად სოფლის მარჩიელებისა და ცრუმორწმუნე დედაკაცების ანაბარადაა მიგდებული.

„ივერია“ თავის ფურცლებზე ძალიან დამაჯერებლად გვიხატავს ქართველი ხალხის აუტანელ ცხოვრებას ცარიზმის პირობებში. სოციალური და ეროვნული ჩაგვრის პირობებში მშრომელთა მდგომარეობას უფრო სავალალოს ხდიდა გონებრივი სიბნელე, კულტურული ჩამორჩენილობა. თუ რამდენად განსხვავდება დღევანდელი საქართველო მეფის დროინდელ ნახევრად კოლონიურ საქართველოსაგან, ამისათვის საკმარისია შევადაროთ ისინი თუნდაც ხალხის საექიმო მომსახურების დაყენების თვალსაზრისით.

90-ანი წლების ნახევარში მარტო ერთი ჭირი როდი აწუხებდა ქართულ სოფელს. არა ნაკლებ უნუგეშო სურათი იშლება მკითხველის წინაშე „ივერიის“ მეორე კორესპონდენციაში, რომელიც ქვემო-მაჩხაანიდან არის გამოგზავნილი. შრომისმოყვარე ქიზიყელი გლეხობა ხელში ჩაუგდიათ

„მგელკაცა ვაჭარ-ჩარჩებს“. მათი ნაწვავ-ნადაგი ჭირნახული ჩალის ფასად მიაქვთ მევახშეებს. არსებულ სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებაში გლეხები სანუგეშოს ვერაფერს ხედავენ: „ერთისორის თვის შემდეგ, — წერს კორესპონდენტი, — სახელმწიფო ხარჯის აკრეფას დაიწყებენ; გლეხკაცმა ამ შემთხვევაში ვის უნდა მიმართოს, თუ არ ისევ იმის დამღუპავს „პარაზიტებს“? ერთს ქერების მდიდარს მოვაჭრეს გამოუცხადებია გლეხებისათვის, თუ ამ კალოობაშივე ბინაზედ მომიტანთ და მომიწყამთ ქერებს, ხომ ფუთში ექვს შაურს მოგცემთ, არა და მერე რომ მეხვეწოთ ფუთს ქერში აბაზსაც აღარ მოგცემთო. გლეხკაცი ვერ შეინახავს ჭირნახულს იმ დრომდის, სანამ ღირსეული ფასი დაწესდება, — იმას ფული უჭირს, — უნდა აიღოს და მიჰყიდოს ისე, როგორც მოვაჭრეს უნდა. ასეთს ბასრს ბრჭყალებში არიან მომწყვდეულნი გლეხები“. აღნიშნავს რა ამ ამბავს, კორესპონდენტი მწუხარებით დასძენს წერილის დასასრულს: „ჯერ გვიან არის ის დრო, როდესაც გლეხკაცობას წვრილის, იაფის კრედიტით სარგებლობა ეღირსება და შეიგნებს შეკავშირების, ერთობის ძალას“. ავტორი ოცნებობს მშრომელ გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო დაწესებულებათა დახმარებით. მისი იდეალია სასოფ-

ლო კოოპერატიული სავაჭროს — ე. წ. დეპოს გახსნა, ისეთის, როგორიც იმხანად ქვემო-მაჩხაანში მოქმედებდა ენტუზიასტი მოღვაწის დიმიტრი მაჩხანელის ხელმძღვანელობით. მაგრამ, ცხადია, ეს იყო ფუჭი ოცნება. მშრომელ გლეხთა ეკონომიური განთავისუფლების საქმეში სასოფლო დეპოები და საკრედიტო საზოგადოებანი მხოლოდ დროებითს, პალიატიურ ზომებს წარმოადგენდნენ.

„ივერიის“ მესამე კორესპონდენტი იტყობინება ყაჩაღობის გაძლიერების ამბებს ქართლში. გამოჩენილა ვიღაც ილიკო ფუხაშვილი, რომელიც შიშის ზარსა სცემს ყველას. კორესპონდენტი იგონებს ცოტა ადრინდელ ამბავსაც: „ამ სამი წლის წინათ ჯიოშვილის მეთაურობით შემდგარმა ბრბომ მთელი ქართლი აამტუტა... ბოლოს, როგორც იყო, შეიპყრეს ეს ბრბო და გორში ჩამოარჩევეს“.

ცხოვრების სიმწარე და გაჭირვება, ამ ქვეყნის ძლიერთა უსამართლობა მიერეკებოდა სოფლის მშრომელებს ტყისაკენ, თოფით ხელში, შურისძიების მწველი ცეცხლით გულში.

ყაჩაღი ჯიოშვილი... ცნობილია, როგორც ისტორიული ფაქტი, რომ ამ ჯიოშვილის ჩამოხრჩობას დაესწრნენ გორის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლენი და მათ შორის მოწაფე სოსო ჯუღაშვილი... საკვირველმა შემთხვევამ ამ ფაქტის მოწმედ გახადა ქალაქ გორზე გზად მიმავალი

ახალგაზრდა მაქსიმ გორკიც, რომელმაც თავისი შთაბეჭდილებანი შემდეგ აღწერა ნარკვევში „გორი“.

„ივერიის“ 1895 წლის 14 ივნისის ნომრის მთელი მასალა, რომელიც ეხება ქართველი მშრომელი ხალხის ყოფა-ცხოვრებას, უკარნახებდა მკითხველს ეფიქრა თავისი ქვეყნის მდგომარეობაზე, ებრძოლა მისი გაუმჯობესებისათვის... და ამ შავბნელ ფონზე, გაზეთის პირველ გვერდზე, საიმედო მოწოდებად ჟღერდა ღრმა ოპტიმიზმით შთაგონებული ლექსის სტრიქონები:

„აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ივერთ მხარეო!..“

დღეს, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ, ეს სიტყვები გაისმის, როგორც რეალობად ქცეული ოცნება. და ამ ოცნების განხორციელებაში უზომო ღვაწლი სწორედ ამ სიტყვების ავტორს მიუძღვის.

ლევ ტოლსტოის წერილი გაზეთ „ბრძოლის“ ფურცლებზე

დიდმა ლენინმა ლევ ტოლსტოის რუსეთის რევოლუციის სარკე უწოდა. მთელ რიგ წერილებში მან გენიალურად განმარტა და შეაფასა „ანა კარენინას“ ავტორის მხატვრული შემოქმედება, მისი მსოფლმხედველობის ხასიათი და ბუნება. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ლ. ტოლსტოის გარდაცვალებასთან ერთად „წარსულს ჩაბარდა რევოლუციამდელი რუსეთი, რომლის სისუსტე და უძლურება გამოიხატა გენიალური მხატვრის ფილოსოფიაში, დასურათებულია მის ნაწარმოებებში. მაგრამ მის მემკვიდრეობაში, — დასძენდა ვ. ი. ლენინი,— არის ის, რაც წარსულს არ ჩაბარებია, რაც მომავალს ეკუთვნის. ამ მემკვიდრეობას იღებს და ამ მემკვიდრეობაზე მუშაობს რუსეთის პროლეტარიატი“ (ტ. 16, გვ. 406).

როგორ უნდა წარმართულიყო, რაში უნდა გამოხატულიყო გენიოსი მწერლის მემკვიდრეობის ათვისება რუსეთის პროლეტარიატის მიერ?

ვ. ი. ლენინი ამ კითხვაზე სავსებით ნათელს და ამომწურავ პასუხს იძლეოდა. მისი აზრით, რუსეთის პროლეტარიატი „განუმარტავს მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მასებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს, ეკლესიის, მიწის კერძო საკუთრების ტოლსტოისებურ კრიტიკას, არა იმისათვის, რომ მასები კმაყოფილდებოდნენ თვითსრულყოფითა და ღვთისნიერ ცხოვრებაზე ამოოხვრით, არამედ იმისათვის რომ ისინი აღსდგნენ და ახალი ლახვარი ჩასცენ მეფის მონარქიასა და მემამულურ მიწათმფლობელობას, რომლებიც 1905 წელს მხოლოდ ოდნავ შეირყა და რომლებიც მოსპობილ უნდა იქნას. ის განუმარტავს მასებს კაპიტალიზმის ტოლსტოისებურ კრიტიკას, არა იმისათვის, რომ მასები დაკმაყოფილდნენ კაპიტალისა და ფულის მეუფების შეჩვენებით, არამედ იმისათვის, რომ მათ თავიანთი ცხოვრებისა და თავიანთი ბრძოლის ყოველ ნაბიჯზე ისწავლონ დაყრდნობა კაპიტალიზმის ტექნიკურ და სოციალურ მონაპოვრებზე, ისწავლონ შემჭიდროება იმ სოციალისტურ მებრძოლთა ერთიან მილიონიან არმიად, რომლებიც დაამხობენ კაპიტალიზმს და შექმნიან ახალ საზოგადოებას, სადაც არ იქნება ხალხის სიღატაკე, არ იქნება ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია“ (ტ. 16, გვ. 407).

ამხანაგი სტალინი მუდამ მაღალ შეფასებას

აძლევდა ლევ ტოლსტოის გენიალურ შემოქმედებას. სამამულო ომის მრისხანე დღეებში, 1941 წლის 6 ნოემბერს, ი. ბ სტალინმა თავის ისტორიულ მოხსენებაში სიამაყის გრძნობით გაიხსენა დიდი რუსი ხალხის სახელოვანი ადამიანები და, მათ შორის, პუშკინთან, ჩეხოვთან და გორკისთან ერთად ახსენა ლევ ტოლსტოის სახელიც. ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, შორეული ჭაბუკობის წლებში, ი. ბ. სტალინი დიდად აფასებდა ლევ ტოლსტოის შემოქმედებას, განსაკუთრებული სიყვარულით ახსენებდა დიდი რუსი მწერლის სახელს.

ი. ბ. სტალინი თავისი რევოლუციური მოღვაწეობის ჯერ ისევ ადრინდელ ეტაპებზე, სათანადო მნიშვნელობას ანიჭებდა დიდი მწერლების და მათ შორის ლევ ტოლსტოის უკვდავი ქმნილებების გამოყენებას რევოლუციური პროპაგანდის საერთო მიზნებისათვის. ეს პროპაგანდა მშრომელთა ფართო მასებში ნერგავდა და აღვივებდა თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთებას.

ამის საუკეთესო დადასტურებას ვპოულობთ ქართული არალეგალური ბოლშევიკური პრესის ფურცლებზეც. რომლის იდეური სულისჩამდგმელი, ორგანიზატორი და ხელმძღვანელი იყო ი. ბ. სტალინი. ჩვენ ამჟამად მხედველობაში გვაქვს ლევ ტოლსტოის მიერ იტალიური გაზეთების თა

ნამშრომლის პიეტრო მაცინისადმი მიმართული წერილის გამოქვეყნება გაზეთ „ბრძოლის“ 1901 წლის № 2—3-ში. ლევ ტოლსტოის ეს ბარათი დართული აქვს პუბლიცისტურ წერილს — „რუსეთის იმპერატორი საფრანგეთში“, რომელიც გაზეთმა „ბრძოლამ“ გადმობეჭდა სოციალ-დემოკრატიული გაზეთიდან „იუჟნი რაბოჩი“.

მკითხველისათვის რომ გასაგები გახდეს ლევ ტოლსტოის ბარათის აზრი და დანიშნულება, ჩვენ აქ მოკლედ გადმოვცემთ „ბრძოლაში“ მოთავსებული სტატიის შინაარსს.

სტატია „რუსეთის იმპერატორი საფრანგეთში“ იწყება საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის მოკლე მიმოხილვით. ამას მისდევს რუსეთის ოფიციალური გაზეთების ცნობებზე დამყარებული აღწერა რუსეთის იმპერატორის სტუმრობისა საფრანგეთში, რომლის ოფიციალურ მიზანსაც შეადგენდა საფრანგეთის ჯარების აღლუმის ნახვა კომპიენში.

„როგორც ყველამ ვიცით,—ვკითხულობთ სტატიაში, — რუსეთის იმპერატორი საფრანგეთის ჯარის დასახედად წავიდა კომპიენში, და აი ათასი და ათი ათასი თავისუფალი მამულიშვილი საჭიროდა სთვლის, რაც შეიძლება თამამად და მამაცურად გამოიჭიმოს რუსეთის თვითმპყრობელის წინაშე... საფრანგეთის უპირველესი წარმომადგე-

ნელნი პრეზიდენტი და მინისტრები „თავმდაბლად“ სალამს უძღვნიან რუსეთის ბატონს და მის ხელის ჩამორთმევას ბედნიერებადა სთვლიან. მერე რამ გააგიჟა ასე თავისუფალი საფრანგეთი, რამ გადარია ასე ეს ქვეყანა რევოლუციონერთა და თავისუფლების მაძიებელთა? რამ შეაყვარათ ასე რუსეთის თვითმპყრობელიო? იკითხავთ. პასუხი ადვილი საპოვნელია, თუ კი ცოტა ეჭვის თვალით შევხედავთ ზემოთ დასახელებული გაზეთების მონათხრობს. ნუთუ მართლა საფრანგეთის მთელმა ერმა გამოიჩინა ასეთი სიყვარული მეფისადმი? სრულიადაც არა. მეფის სტუმრობამ გადარია მარტო ბურჟუაზია, მარტო კაპიტალისტები, ხოლო რაც შეეხება საფრანგეთის მუშებს (პროლეტარიატს), ხელოსნებს და გლეხებს, ამათ ყურიც არ გაუბერტიათ მეფის მობრძანების გამო და უფროსს ერთ შემთხვევაში მტრულადაც კი დაუხვდნენ. მეფემ ძლიერ კარგად იგრძნო ფრანგთა უმრავლესობის გულისთქმა და მოკავშირე ერის „აღტაკება“ ცოტა არ იყოს შიშის ზარსა ჰგვრიდა“...

„...ხელმწიფეს პარიზშიაც უნდოდა შესვლა, მაგრამ იგრძნო, რომ იქ ბევრს უსიამოვნებას შეხვდებოდა და პარიზის უნახავად რუსეთისაკენ იბრუნა პირი. როგორც სჩანს მუშათა პარტიის გან-

ცხადებიდან, პარიზის მუშები მართლა და ხეირს არ დააყრიდნენ „საყვარელ და მოკავშირე ერის თვითმპყრობელს“...

ამის შემდეგ გაზეთს მოჰყავს ტექსტი დოკუმენტისა, რომელსაც ეწოდება „მანიფესტი სოციალისტურ პროლეტართა მიმართ“. მანიფესტი მოუწოდებს საფრანგეთის მუშებს მონაწილეობა არ მიიღონ „იმ სამარცხვინო მხიარულება-დახვედრაში, რომელიც რუსეთის მტარვალის მოსვლამ გამოიწვია“.

შემდეგ ვკითხულობთ წერილში:

„როგორღა უყურებს თვით რუსეთის ხალხი საფრანგეთთან კავშირს, საფრანგეთში გადახდილ დღესასწაულებს რუსეთის მეფის მოგზაურობის გამო? ამ კითხვებზე საყურადღებო პასუხს იძლევა რუსეთის დიდებული მწერალი ლევ ტოლსტოი. აი რას უპასუხებს ტოლსტოი პიეტრო მაცინის—იტალიური გაზეთების თანამშრომელს (წერილი დაბეჭდილია საფრანგეთის გაზეთებში):

„მოწყალეო ხელმწიფევ!

თქვენს პირველ კითხვაზე—რა თვალით უყურებს რუსეთის ერი საფრანგეთთან კავშირსაო, გიპასუხებთ: რუსეთის ერს წარმოდგენაც კი არა აქვს ამ კავშირის შესახებ და არც კი იცის, არსებობს სადმე ასეთი კავშირი თუ არა. რომ იცო-

დეს კიდეც, დარწმუნებული ვარ, ავის თვალით შეხედავს ამ კავშირს, რადგან ერის საღი გონება ადვილად მიხვდება, რომ ერთ რომელიმე ერთან განსაკუთრებული დაახლოვება და კავშირი უბედურების მეტს ვერას მოუტანს მოკავშირე ერს, ვინაიდგან ადვილი შესაძლებელია, რომ ამ განსაკუთრებულის კავშირის მეოხებით სხვა ერებთან სიძულვილი და ომიც კი მოუხდეს.

კითხვაზე — თანაუგრძნობს თუ არა რუსეთის ერი ფრანგების აღტაცებასაო? მე მგონია, რომ რუსეთის ერი არ უნდა თანაუგრძნობდეს ფრანგების გატაცებას (თუ კი მართალია საფრანგეთის მთელი ერის აღტაცება ჩვენთან კავშირით, რაშიც მე ძრიელ ვიჭვნეულობ). თუნდაც რომ თანაუგრძნობდეს, მე მგონია, რომ თუ გაიგო, რაც კეთდება და რასაც ლაპარაკობენ ამ კავშირის სახელით, ურწმუნოთ შეხედავს და იგრძნობს ზიზღს იმ ხალხისადმი, რომელიც სრულებით უმიზეზოდ უცებ უცხადებს მას რაღაც უცნაურ სიყვარულს.

რაც შეეხება თქვენს მესამე კითხვას—რა მნიშვნელობა აქვს ამ კავშირს კაცობრიობის წინმსვლელობა-განვითარებისათვისაო (ცივილიზაციისათვის), უნდა მოგახსენოთ, რომ, ჩემი აზრით, ამ კავშირს, მავნებლობის გარდა, არავითარი სიკეთის მოტანა არ შეუძლიან ქვეყნისათვის, რადგან ამ კავშირს სხვა არავითარი მიზანი არ აქვს, გარდა

იმისა, რომ ან ომი ასტეხოს, ან ძალის შიშის ზარი დასცეს მეზობელ ერებს. რაც შეეხება კერძოდ საფრანგეთსა და რუსეთს, ამ კავშირს ჯერ არავითარი ხეირი არ მოუტანია ამ ერებისათვის და ვერც მომავალში მოუტანს. პირიქით, ჯერჯერობით ზარალის მეტს ვერასა ვხედავთ. საფრანგეთის მთავრობა, გაზეთები და საზოგადოების ის ნაწილი, რომელნიც ტაშს უკრავენ ამ კავშირს, იძულებული შეიქმნენ ბევრ შემთხვევაში უარეყოთ ზნე-ჩვეულება თავისუფალის, ლმობიერის ერისა და თვალთმაქცობით ან გულწრფელად შეერთებოდენ იმ მთავრობის გულის თქმასა, რომელიც მთელ ევროპაში ყველაზე დაქვეითებული, ბარბაროსული და სასტიკია. ეს კი ძრიელ მაზარალებელია მთელის საფრანგეთისათვის, ხოლო რუსეთს ხომ ამ კავშირმა კიდევაც მოუტანა და მომავალშიც მოუტანს დიდს უბედურებას... ამგვარად ეს ბედუკუღმართი კავშირი, ჩემი აზრით, დიდად მაზარალებელია, როგორც ორივე ერისათვის, ისე მთელი კაცობრიობისათვის.

ლ. ტოლსტოი.

9 სექტემბერი, 1901 წ.“

„ჩვენ, შეგნებული მუშები,—ვკითხულობთ ამის შემდეგ სტატიაში,—უნდა შევუერთდეთ რუსეთის

დიდებულის მწერლის აზრს. ჩვენ რუს-ფრანგთა კავშირი მავნებლადა და საზარალოდ უნდა ჩავთვალოთ, ვიბრძოლოთ პოლიტიკური თავისუფლების მოსაპოვებლად და ამ ბრძოლით მოვიპოვებთ მას, რომ მივცემთ მთელი ქვეყნის წინაშე პასუხს ჩვენი მეფეების და მინისტრების ფარისევლურ სიტყვებზე, როგორი პასუხიც მისცეს საფრანგეთის მუშებმა. გვწამდეს, რომ ჩვენ ჩვენის ბრძოლით მივაღწევთ ერთა შორის ფარისევლურ კავშირს კი არა, არამედ ისეთ კავშირს, რომელიც ერთა შორის ნამდვილ ძმობას დაამყარებს, რომელიც ბოლოს მოუღებს ყოველგვარ შევიწროებას, ცარცვა-გლეჯასა და რომელიც თითოეულ დამაშვრალს მყუდრო და ადამიანურ ცხოვრებას მიანიჭებს".

დასასრულ, წერილში ლაპარაკია რუსეთის იმპერატორის საფრანგეთში მოგზაურობის ნამდვილ მიზანზე. გაზეთის აზრით, ეს არის რუსეთის მთავრობის განზრახვა საფრანგეთისგან სესხის აღებისა.

„მუდმივმა შიმშილობამ,—ვკითხულობთ გაზეთში,—ბოლო მოუღო რუსეთის გლეხთა კეთილდღეობას, ხაზინას შემოსავალი დღითი-დღე აკლდება და ვიტტეს* თვალთმაქცობა ველარასა შვე-

---

* ს. ი. ვიტტე (1849—1915)—მეფის რუსეთის ფინანსთა მინისტრი 1892—1903 წ. წ. და პრემიერ-მინისტრი 1905—1906 წ. წ.

ლის. ფული კი ძლიერ საჭიროა ჯარისა და ხომალდების გასაძლიერებლად. ძალაუნებურად რუსეთის მთავრობას სესხზე უნდა ეფიქრნა და კიდეც ამიტომ გაემგზავრა რუსეთის მეფე საფრანგეთში".

ასეთი შინაარსისა იყო „ბრძოლაში" მოთავსებული სტატია. ლევ ტოლსტოის წერილი, სადაც აშკარად იყო მოცემული რუსეთის თვითმპყრობელური რეჟიმის სასტიკი, გამანადგურებელი კრიტიკა, ცხადია, ერთგვარად ხელს უწყობდა ქართველ მშრომელ მასებში რევოლუციური სულის გაღვივებას, მეამბოხე განწყობილების დანერგვას სოციალური და პოლიტიკური უსამართლობის წინააღმდეგ.

ამ მხრივ სტალინურ „ბრძოლაში" დაბეჭდილი ლევ ტოლსტოის წერილი თავის მიზანდასახულებას სავსებით ამართლებდა.

ფელეტონი 1906-1907 წლების ქართულ ბოლშევიკურ პრესაში

ჩვენი ხალხის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში განუზომლად დიდი როლი შეასრულეს ლეგალურმა ბოლშევიკურმა გაზეთებმა, რომლებიც 1906-1907 წლების მანძილზე გამოდიოდა ი. ბ. სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით. რეაქციის საშინელი თარეშის პირობებში ეს გაზეთები სასტიკ დევნას განიცდიდნენ. ყოველი მათგანი მხოლოდ რამდენიმე თვეს, ზოგჯერ რამდენიმე დღეს თუ გამოდიოდა. მეფის ადმინისტრაციის ბრძანებით გაზეთი იხურებოდა, როგორც მთავრობის საწინააღმდეგო მიმართულების ორგანო. რეაქციის წლებში ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, ერთიერთმანეთის მიყოლებით გამოდიოდა შემდეგი გაზეთები: „ახალი ცხოვრება“ (1906 წ.), „ახალი დროება“ (1906 წ.), „მნათობი“ (1907 წ.), „ჩვენი ცხოვრება“ (1907 წ.), „დრო“ (1907 წ.).

მეფის მთავრობის მხრით დევნისა და სასტიკი

ცენზურული შეიწროების პირობებში ძნელი და მძიმე საქმე იყო მუშათა ინტერესების დამცველი ლეგალური პოლიტიკური გაზეთის გამოცემა. ამხანაგი სტალინი ჯერ კიდევ 1901 წელს აღნიშნავდა: „მუშებზე „მზრუნველ“ მთავრობას მშვენივრად აქვს მოწყობილი საქმე ლეგალურ გაზეთებთან. მთელი ხროვა ჩინოვნიკები, ცენზორებად წოდებულნი, მიჩენილი ჰყავთ მათ და ისინი საგანგებოდ ადევნებენ თვალს, წითელ მელანს და მაკრატელს მიმართავენ, თუ სადმე, თუნდ ჭუჭრუტანიდან, გამოსჭვივის სიმართლის და ჭეშმარიტების სხივი“ (ტომი 1, გვ. 5). მიუხედავად ასეთი დევნა-შეიწროებისა, ბოლშევიკური პრესა მედგრად იბრძოდა, რაზმავდა მშრომელ მასებს. ამხანაგი ი. ბ. სტალინი, ეხებოდა რა ცარიზმის პირობებში მოქმედ ბოლშევიკური პრესის აქტუალურ ამოცანებს, წერდა: „გაზეთი ვალდებულია განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს რუსეთის პოლიტიკურ მდგომარეობას, აღნუსხოს ყოველი შედეგი ამ მდგომარეობისა და რაც შეიძლება ფართოდ დააყენოს საკითხი პოლიტიკური ბრძოლის საჭიროებაზე“ (ტ. 1, გვ. 8).

ბოლშევიკურ გაზეთებში ი. ბ. სტალინი მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებს—ლექსებს, პროზას, მხატვრულ პუბლიცისტიკას, ფელეტონს, სატირას.

ი. ბ. სტალინი მწერლობას უსახავდა უდიდეს საზოგადოებრივ ამოცანებს, აქცევდა მას დიდი პოლიტიკური და სოციალური იდეების რუპორად, რევოლუციური ბრძოლების უშუალო მონაწილედ, მშრომელი ხალხის ჭირისა და ლხინის ერთგულ მოზიარედ.

ბოლშევიკურ გაზეთებში დაბეჭდილი ლექსები წარმოადგენენ პოლიტიკური ლირიკის ჩინებულ ნიმუშებს. ამ ლექსების თემატიკა აღებული იყო რევოლუციური მოძრაობის სინამდვილიდან და ასახავდა ქართველი მშრომელი ხალხის ცხოვრებას, მის შეუპოვარსა და თავგანწირულ ბრძოლას თვითმპყრობელობისა და კაპიტალისტურ-მემამულური წყობილების წინააღმდეგ.

ბოლშევიკური გაზეთების ფურცლებზე ამხანაგი სტალინი ათავსებდა ქართული, რუსული და უცხოური რევოლუციური პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს.

სტალინური გაზეთების ფურცლებზე, მაგალითად, საპატიო ადგილი ეჭირა ირ. ევდოშვილის ლექსებს. იქვე მკითხველი ნახულობდა სოციალისტური ლიტერატურის დიდი ფუძემდებლის ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის ერთ-ერთ ადრინდელ ლექსს „მზე ამოდის და მზე ჩადის“, იქვე იბეჭდებოდა ვიქტორ ჰიუგოს ცნობილი ლექსი „ბარიკადაზე“ და სხვ.

ამხანაგი სტალინი მარტო პოეზიის ნიმუშებით არ კმაყოფილდებოდა. სთვლიდა რა, რომ „გაზეთი არ უნდა ტოვებდეს არც ერთ საზოგადო მოძრაობას აუნუსხავად და სოციალ-დემოკრატიული კრიტიკით გაურჩევლად“ (ტ. 1, გვ. 9), ი. ბ. სტალინი თავის მებრძოლ პოლიტიკურ გაზეთებში, როგორც აღვნიშნეთ, მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა აგრეთვე იუმორისა და სატირის ნიმუშებს, მახვილ ფელეტონებს საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების უაღრესად აქტუალურ პრობლემებზე.

დიდი ნაწილი ამ ფელეტონებისა ეკუთვნოდა პოეტ იროდიონ ევდოშვილს. აქაც ევდოშვილი თავისი სატირული მახვილით ამათრახებდა ხალხის მჩაგვრელებს, ამხილებდა ცარიზმის ერთგულ ლაქიებს, ბობოლა მოხელეებს, რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკური ცხოვრების სათავეში მდგომ ყოველი ჯურის შავრაზმელებს.

ირ. ევდოშვილმა ბოლშევიკურ გაზეთებში მოათავსა შემდეგი ფელეტონები: „საახალწლო ვიზიტები“ („ახალი დროება“, 1906 წლის № 8); „ყარამანიანი“ (მნათობი“, 1907 წ. № 2); „ტრაგიკომედია“, ფელეტონი ლექსად („ჩვენი ცხოვრება“, 1907 წ. № 4); „პატარა ფელეტონი“ („ჩვენი ცხოვრება“, 1907 წ. № 5); „პატარა ფელეტონი“ („დრო“, 1907 წ. №№ 7, 9, 15); „ტრაგი-კომედია“ („დრო“, 1907 წ. № 19).

უნდა აღინიშნოს, რომ ირ. ევდოშვილის გარდა, ბოლშევიკური პრესის ფურცლებზე ფელეტონებს ბეჭდავდნენ სხვა ავტორებიც. ასეთი იყო, მაგალითად, მწერალი და დრამატურგი ნატალია აზიანი, რომელმაც მოათავსა ფელეტონები: „ბობოლების დღიურიდან“ („დრო“, 1907 წ. № 1); „ჰინჰარი — გაზეთი გაზეთში“ („დრო“, 1907 წ. № 13); „ვინ როგორ გამოეთხოვა ძველ წელიწადს“ („შნათობი“, 1907 წ. № 1). ბოლშევიკური გაზეთების თანამშრომელი იყო აგრეთვე მუშა-მწერალი ვ. ხანდამაშვილი, რომელიც „მიმინოს“ ფსევდონიმით ბეჭდავდა თავის ფელეტონებს (პატარა ფელეტონი — „ჩვენი ცხოვრება“, 1907 წ. № 6; „კადეტების თათბირი“, სურათი ერთ მოქმედებად, „დრო“ 1907 წ. № 14).

ყველა ეს ფელეტონი გამსჭვალული იყო რევოლუციური სულისკვეთებით. სტალინური პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ მხატვრულ პროდუქციას იგივე ფუნქცია ენიჭებოდა, რაც პოლიტიკურ სტატიებს, პუბლიცისტურ წერილებს, თეორიულ ნარკვევებს: ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რათა მშრომელთა ფართო მასები დარაზმულიყვნენ ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ, რათა რევოლუციური სულისკვეთებით და შეგნებით გამსჭვალულიყო მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა.

ამხანაგმა სტალინმა ფელეტონის ჟანრი,—ისევე როგორც მხატვრული შემოქმედების სხვა ნიმუშები — ლირიკული ლექსები, პროზა, დრამატული სცენები, — პოლიტიკური ბრძოლის იარაღად გამოიყენა ცარიზმისა და ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების წინააღმდეგ. მისი პირდაპირი მითითებით ფელეტონის ავტორები მიმართავდნენ არა მარტო ადგილობრივ, ქართულ თემატიკას, არამედ საერთოდ რუსეთის პოლიტიკური ცხოვრებისა და რევოლუციური მოძრაობის ყურადღების ცენტრში მყოფ მოვლენებს.

ბოლშევიკური გაზეთების დიდ დამსახურებას წარმოადგენს ქართული ფელეტონის ჟანრის აყვავება განვითარების ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე, ფელეტონის თემატიკის გაფართოება და გამდიდრება, მისი გამსჭვალვა რევოლუციური, მებრძოლი, მარქსისტულ-ლენინური იდეურობით.

იმის გასათვალისწინებლად, თუ როგორი იყო რევოლუციამდელ ბოლშევიკურ პრესაში გამოქვეყნებული ფელეტონები, ჩვენ მოგვყავს ნაწყვეტი გაზეთ „ჩვენი ცხოვრების“ ერთ-ერთ ნომერში (1907 წ. 22 თებერვალი, № 4) დაბეჭდილი ფელეტონიდან. ეს ფელეტონი ეკუთვნის ირ. ევდოშვილს და სათაურად აქვს „ტრაგი-კომედია“.

ფელეტონის ამოცანას შეადგენს მეფის რუსეთის სახელმწიფო საბჭოს რეაქციონერი წევრების

და მეფის შავრაზმელი მინისტრების ნამდვილი სახის ჩვენება, მათი ზნეობრივი უბადრუკობისა და სულიერი არარაობის გამოაშკარავება.

ფელეტონი წარმოადგენს ლექსად დაწერილ სატირულ სცენას. ირ. ევდოშვილი, როგორც ლექსად დაწერილი ფელეტონის ავტორი, ამ შემთხვევაში აგრძელებს იმ საუკეთესო ტრადიციებს, რომელიც ფელეტონს საქართველოში შეუქმნა აკაკიმ და რომლის საუკეთესო წარმომადგენელი რუსულ რევოლუციამდელ ჟურნალისტიკაში იყო ნეკრასოვი.

ირ. ევდოშვილის ფელეტონში მოთხრობილი ამბავი წარმოებს პეტერბურგში, თავრიდის სასახლეში, სადაც მიმდინარეობდა სახელმწიფო სათათბიროს სხდომები. მოქმედ პირებად ავტორს გამოყვანილი ჰყავს რუსეთის პრემიერ-მინისტრი, პირსისხლიანი ჯალათი სტოლიპინი და ცარიზმის სხვა რეაქციონერი-მინისტრები და ბობოლა მოხელეები: ვიტტე, გრაფი პალენი, პობედონოსცევი, გურკო.

საინტერესოა, რომ თავის ნაწარმოებში ავტორს მოქმედ პერსონაჟად გამოჰყავს წითელი აჩრდილიც — სიმბოლო რუსეთის რევოლუციისა.

აი დასაწყისიც ამ ფელეტონისა:

„**სტოლიპინი** (იდაყვით სტოლზე დაყრდნობილი მღერის ტირილის ხმაზე):

არ ვიცოდი, ხალხში ძალა ყოფილა,
მასთან ბრძოლა ხათაბალა ყოფილა!

(გრაფ პალენს)

აბა გახედე, მგონი მოდიან,
დურბინდში ვხედავ მე იმათ რაზმსა.
მგონი წითელი ფერი მოადგა
თავრიდის კედლებს, დიად დარბაზსა?

პალენი:

მართალსა ბრძანებ, დიდო პრემიერ,
აი, ლორნეტით მეც ვაკვირდები,
ყელში მიწყდება მრავალქამიერ,
მათ გარეგნობას რომ ვუკვირდები!
ამ „დუმაშიაც“ სულ ცოტა არი
ჩვენი მოსარჩლე და მეგობარი!

პობედონოსცევი:

გავცემ ბრძანებას, სამრეკლოებზე
ყველგან ჩამოჰკრან გლოვისა ზარი,

პარაკლისები, პანაშვიდები,
წირვა, ცისკარი, სახსნილ-სამარხო,
ყოველდღე იყოს, თუ გავიმარჯვეთ,
თუ არა მაშინ სჯობს დავიმარხო!

სტოლიპინი:

კარგი იქნება, მეც ვიხმარ ზომებს,
თოფ-ზარბაზნებსა, ეგზეკუციას,
სამთო-საველე სამსჯავროებსა
და მით ჩავაქრობ რევოლუციას!“

ფელეტონის მომდევნო ტექსტში ავტორი ამ. ხილებს მეფის მთავრობის ვერაგობასა და თვალთ.

მაქცობას. დამახასიათებელია მეფის გაქნილი ლაქიის, პოლიტიკური ავანტიურისტის ვიტტეს სიტყვები, რომლითაც იგი მიმართავს შავრაზმელ მინისტრებს, თავის კოლეგებს, როდესაც ისინი რეაქციული პოლიტიკის გატარებაში მოღალატეობას უკიჟინებენ მას:

„მე თქვენ მოგმართავთ და გიპასუხებთ:
სცდებით, როცა მე მწამებთ ღალატსა,
ვერ გაგიგიათ, კონსტიტუციით
რომ ვატყუებდი რუსეთის ხალხსა!
სიტყვით ვაძლევდი, საქმით კი არა,
და სწორედ დღესაც ასე მწადიან...
...საქმე მომანდეთ მე, როგორც რომ გმირს,
და კარზე მომდგარ რევოლუციას,
ვფიცავ, დავამხობთ, ჩამოვაგდებთ ძირს!"...

ფელეტონი მთავრდება შემდეგი სცენით: მეფის მინისტრები ურთიერთის ლანძღვა-გინებით არიან გართულნი, თავრიდის სასახლის კარები გაიხსნება და შიგ შემოვლენ სათათბიროს წევრდეპუტატები. შემდეგ, ავტორის სიტყვით, უცებ „დარბაზს წითელი ფერი მოეფინება". წითელი ფერის დანახვაზე საშინელი განგაში და შეშფოთება ატყდება მეფის მინისტრებს შორის: სტოლიპინს თვალთ უბნელდება, პობედონოსცევს გული უღონდება და წვეთებს ყნოსავს. სხვები გასაქცევად ემზადებიან. დარბაზში გამოჩნდება „დიდებული წითელი აჩრდილი",—სიმბოლო რუსეთის

რევოლუციისა. აჩრდილი ამაყად გაივლის დარბაზში და დამსწრეთა მისამართით წარმოთქვამს შექსპირის ტრაგედიის ცნობილ სიტყვებს: „ყოფნა — არყოფნა, საკითხავი აი ეს არის!“ — ამაზე ფარდა ეშვება და ფელეტონიც თავდება. მკითხველის საგულისხმოდ ფელეტონის ავტორი ხაზს უსვამს იმას, რომ უკვე დასმულია თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების ყოფნა — არყოფნის საკითხი...

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით გამოცემულმა ქართულმა ბოლშევიკურმა გაზეთებმა ახალ, გაცილებით უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანეს ქართული პროგრესული პუბლიცისტიკის საუკეთესო, მოწინავე ტრადიციები, ახალი სული შთაბერეს საგაზეთო სატირის პოპულარულ ჟანრს — ფელეტონს, მოგვცეს ჩინებული ნიმუშები ამ ჟანრისა, ნიმუშები, რომლებიც საფუძვლად დაედო საბჭოთა ეპოქის ფელეტონის განვითარებას.

აკაკი—„ინტერნაციონალის“ მთარგმნელი

მარქსიზმის კლასიკოსთა ნაშრომებში არა ერთხელ ვხვდებით მუშათა საერთაშორისო ჰიმნის „ინტერნაციონალის“ ციტირებას. ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი თავიანთ ნაშრომებში ხშირად იყენებდნენ ამ ჰიმნის ტექსტის ავტორის, ეჟენ პოტიეს სტრიქონებს.

კომუნარი პოეტის უკვდავი ლექსის პოპულარიზაციას საქართველოს მშრომელთა შორის დიდად შეუწყო ხელი ამხანაგ ი. ბ. სტალინის რევოლუციურმა მოღვაწეობამ, დიდი ლენინის გენიალური იდეებით შთაგონებულმა ბოლშევიკურმა ბეჭდვითმა სიტყვამ. ცნობილია, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამხანაგი სტალინი რევოლუციურ პოეზიას, რევოლუციურ სიმღერას, როგორც უალრესად ქმედითს იარაღს მუშათა კლასის განმათავისუფლებელ ბრძოლაში. „საბრძოლველი სიმღერა... ააშკარაკებს არსებულ წეს-წყობილებას, ააშკარავებს ჩვენს საზოგადოებრივ წყლულებს“—წერდა

ი. ბ. სტალინი 1901 წელს გაზეთ „ბრძოლის“ ფურცლებზე (ტ. 1, გვ. 26). ი. ბ. სტალინი „ძვირფას სიტყვებს“ უწოდებდა „ინტერნაციონალის“ ტექსტის სიტყვებს.

ქართული მოწინავე მწერლობა მხურვალედ გამოეხმაურა დიდი სტალინის მიერ მშრომელთა ფართო მასებში აღძრულ ცხოველ ინტერესს რევოლუციური სიმღერებისადმი. ამის საუკეთესო დადასტურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ „ინტერნაციონალის“ ტექსტი ჯერ კიდევ პირველი რევოლუციის დღეებში ითარგმნა ქართულ ენაზე, ითარგმნა ისეთი ცნობილი, ხალხისათვის საყვარელი პოეტების მიერ, როგორიც იყვნენ მაშინ უკვე ჰაღარით მოსილი აკაკი და რევოლუციის მგზნებარე მომღერალი, ახალგაზრდა იროდიონ ევდოშვილი.

სანამ აკაკისეული თარგმანის ისტორიას შეეხებოდეთ, გვინდა რამდენიმე სიტყვით შევჩერდეთ თვით „ინტერნაციონალის“ ავტორზე.

* *

„ვერსალელებს შეუძლიათ გულდამშვიდებულნი იყვნენ, მათი ხსოვნა დარჩება: მათ იპოვეს თავიანთი იუვენალი!“—ასე წერდა ფრანგი პუბლიცისტი ჰანრი როშფორი წინასიტყვაობაში, რომელიც უძღვოდა ეჟენ პოტიეს „რევოლუციური

სიმღერების“ კრებულს, გამოცემულს 1887 წელს, პარიზის კომუნის მონაწილეთა მიერ.

მართლაც, არც ერთს პოეტს არ შეუქმნია ისეთი მძულვარებით, რისხვითა და შურისძიების წყურვილით გაჟღენთილი ლექსები ვერსალის ჯალათების წინააღმდეგ, როგორიც შექმნა „ინტერნაციონალის“ ავტორმა. და არა მარტო ტიერისა და გალიფეს სისხლისმსმელ ძაღლებს აუგო სამარცხვინო ძეგლი რევოლუციონერმა პოეტმა; არა მარტო სედანის ბრძოლის ველიდან ლაჩრულად გაქცეული და პარიზის უმწეო ბავშვებისა და ქალების წინაშე გამამაცებული „გმირები“ „შეამკო“ თავის მწვავე პამფლეტებში შესანიშნავმა კომუნარმა. არა, მან სააშკარაოზე გამოიყვანა მთლიანად ბურჟუაზია და მისი საზოგადოებრივი წყობილება, აგებული ცრემლსა და სისხლზე, ჩაგვრასა და ექსპლოატაციაზე. სამოც წელზე მეტმა ხანმა განვლო ეჟენ პოტიეს გარდაცვალებიდან და დღესაც საერთაშორისო მუშათა კლასი სხვადასხვა ენაზე მღერის მისი უკვდავი „ინტერნაციონალის“ ბრძოლის პათოსით ანთებულ სიტყვებს:

ეს არის ჩვენი მედგარი
გადამწყვეტი ბრძოლა—
ინტერნაციონალში
ჰპოვებს შვებას ყველა!

იშვითია მსოფლიო პოეზიაში პოეტი, რომლის სიტყვა და საქმე ისე ყოფილიყოს შეხამებული, როგორის მაგალითსაც წარმოადგენს ეჟენ პოტიეს ცხოვრება და შემოქმედება. იგი დაიბადა 1816 წელს პარიზში, მუშის ოჯახში. თითონ მან განვლო პროლეტარის მძიმე და მკაცრი ცხოვრების სკოლა. ჯერ კიდევ ადრინდელ ლექსებში გამოხატა მან მშრომელი ხალხის უნუგეშო ხვედრი და მკაფიოდ გამოთქვა მასების რევოლუციური განწყობილება. ჯერ კიდევ 1848 წელს იგი იბრძვის ბარიკადებზე. ამავე დროს თავის ლექსებსა, სიმღერებსა და პამფლეტებში მოუწოდებს მუშათა კლასს ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ივნისის აჯანყების დამარცხების შემდეგ ეჟენ პოტიეს მიუსაჯეს სიკვდილი, მაგრამ იგი თავს აღწევს ჯალათებს და უფრო მეტის სიმძლავრით აღვივებს თავისი ლექსებით მუშათა კლასის რევოლუციურ სიძულვილს და ბრძოლის ენერგიას მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

1866 წელს ეჟენ პოტიე შედის პირველ ინტერნაციონალში, როგორც წარმომადგენელი ქსოვილის მომხატველ მუშათა პროფესიული კავშირისა, — თვით პოტიე ქსოვილზე ხატვის დახელოვნებული ოსტატი იყო.

საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს მან სხვებთან ერთად მოაწერა ხელი გერმანიის სოციალისტებისადმი მიმართულ, ომის საწინააღმდეგო მოწო-

დებას. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო კომუნის მომზადებაში, ხოლო კომუნის გამარჯვების შემდეგ, – როგორც კომუნის წევრმა,—მთელ რიგ სოციალურ-პოლიტიკურ ღონისძიებათა გატარებაში. ამ დროს ეჟენ პოტიე 55 წლის ასაკში იყო. ხანდაზმულობამ მას ხელი არ შეუშალა, რომ კომუნისათვის თავგანწირულად და ვაჟკაცურად ებრძოლა ბარიკადებზე. მაგრამ კომუნა დამარცხდა. ვერსალელები შეიჭრენ პარიზში...

ტვირთმძიმეთ და მაშვრალთ მხსნელი
დიდი დროშა დაიშალა...
კვლავ ქვეყნისა მჩაგრავ ძალამ
იგი დროშა დასცა დაბლა.

(ი. ჭავჭავაძე—„1871 წელი, 23 მაისი).

ეჟენ პოტიე იატაკქვეშეთს შეეფარა. 1871 წლის ივნისში იგი წერს თავის „ინტერნაციონალს“—უკვდავ ლექსს, რევოლუციური პოეზიის ერთ უდიდეს ძეგლთაგანს ლიტერატურის ისტორიაში. * 1871—1880 წ.წ. ეჟენ პოტიე იმყოფება ემიგრაციაში, ჯერ ლონდონში, შემდეგ ამერიკაში. იქ იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს მუშათა სო-

* მისი ტექსტი პირველად დაიბეჭდა მხოლოდ თექვსმეტი წლის შემდეგ დღიდან დაწერისა. 1888 წელს „ინტერნაციონალის“ ტექსტი მუსიკაზე იქნა გადაღებული ბელგიელი სოციალისტის, პიერ დეგეიტერის მიერ,

ციალისტურ მოძრაობაში. ამავე დროს იგი განაგრძობს შემოქმედებითს მუშაობას—წერს სოციალურ მოტივებზე სიმღერებსა და პამფლეტებს.

ამერიკაში აქვს დაწერილი პოტიეს პოემები: „პარიზის კომუნა“, „მუშათა პარტია“ და „ამერიკელი მუშა—საფრანგეთის მუშებს“. ამ პოემებში და აგრეთვე ამდროინდელ ლექსებში პოტიე იძლევა ამერიკული კაპიტალიზმის დაუნდობელ კრიტიკას და მოუწოდებს მუშებს მიბაძონ გმირ კომუნარებს და განაგრძონ ბრძოლა თავისუფლებისათვის.

პოტიე მოურიდებლად ამხილებს ამერიკელი ბურჟუაზიის მხეცურ ბუნებას, შეერთებული შტატების სახელმწიფოს, რომელიც არა მარტო ჩაგრავს თავის ხალხს, არამედ ავიწროებს და ძარცვავს ევროპისა და აზიის ხალხებსაც. ეჟენ პოტიე მისთვის ჩვეული სითამამით და სარკაზმით ამათრახებს ამერიკის ფსევდო-დემოკრატიას და ამერიკის ბურჟუაზიულ ხელისუფალთა სიცრუესა და ვერაგობას.

1880 წელს, ამნისტიის შემდეგ, პოტიე ბრუნდება სამშობლოში, მოხუცებული, დამბლადაცემული. აქ იგი კვლავ მუშათა პარტიის რიგებში დგება და პრაქტიკულ მოღვაწეობასთან ერთად ქმნის პოლიტიკური პოეზიის მთელ რიგ შედევრებს. თემატიკურად იგი ძალიან ხშირად უბრუნდე-

ბა პარიზის კომუნის დაუვიწყარ დღეებს. კვლავ ზიზღით იხსენებს ვერსალის ჯალათებს, იგონებს სისხლიან კვირას, დახვრეტილ ბავშვებს, ქალებს, კომუნის ბარიკადებზე დახოცილ გმირებს, რომლებმაც თავი დასდვეს მუშათა კლასისათვის. მას ხშირად ესახება გმირთა აჩრდილები, როგორც, მაგალითად, „სასიკვდილოდ მიმავალი, ამაყად თავაწეული დელეკლუზი“... ეს აჩრდილები კვლავ მოუწოდებენ მშრომელებს შურისძიებისაკენ („კომუნართა ძეგლი“).

ეჟენ პოტიე გარდაიცვალა 1887 წლის 6 ნოემბერს. მისი ნეშტი მოწიწებით გააცილა პარიზის მრავალათასოვანმა მუშათა კლასმა პერ-ლაშეზის სასაფლაომდე, სადაც სამუდამო სავანე ჰპოვა რევოლუციის მგზნებარე პოეტმა.

* *

ბოლშევიკურმა გაზეთმა „პრავდამ“ 1913 წლის № 2-ში საგანგებო წერილი უძღვნა ე. პოტიეს გარდაცვალების 25 წლისთავს.* ეს უაღრესად მნიშვნელოვანი წერილი დიდ შეფასებას აძლევს

---

* სტატია ხელმოწერილია ინიციალებით Н. Л.; თავის დროზე გამოთქმულ იქნა მოსაზრება, რომ იგი ეკუთვნის ვ. ი. ლენინს (იხ. ვ. ი. ლენინის თხზულებანი, მეორე რუსული გამოცემა, ტ. 16, გვ. 648).

კომუნის პოეტის შემოქმედებას. წერილი თავდება შემდეგი სიტყვებით:

„1887 წლის 8 ნოემბერს პარიზელმა მუშებმა გააცილეს ევგენი პოტიეს ნეშტი პერ-ლაშეზის სასაფლაოზე, სადაც დამარხული არიან დახვრეტილი კომუნარები. პოლიციამ მოაწყო თავდასხმა: ართმევდნენ წითელ დროშებს. სამოქალაქო დასაფლავებაში მონაწილეობას იღებდნენ დიდძალი მასები. ყოველი მხრიდან გაისმოდა შეძახილები: „გაუმარჯოს პოტიეს!“

„პოტიე გარდაიცვალა სიღატაკეში. მაგრამ მან დატოვა ჭეშმარიტად ხელთუქმნელი ძეგლი. ის იყო ერთი ყველაზე უდიდესი პროპაგანდისტთაგანი სიმღერის საშუალებით. როდესაც იგი სთხზავდა თავის პირველ სიმღერას, სოციალისტ მუშათა რიცხვი, დიდი-დიდი ათეულობით დაითვლებოდა. ევგენი პოტიეს ისტორიულ სიმღერას ახლა იცნობენ პროლეტართა ათეული მილიონები“.*

რუსულ ენაზე „ინტერნაციონალის“ ტექსტი სთარგმნა 1902 წელს რუსმა მაღაროელმა მუშამ არკადი კოცმა. ის, როგორც ჟანდარმერიისაგან დევნილი რევოლუციონერი, ამ დროს ემიგრანტად იმყოფებოდა პარიზში. ტექსტი „ინტერნაციონალის“ რუსული თარგმანისა პირველად გამოქვეყნ-

* „Дооктябрьская „Правда“ об искусстве и литературе“. Гослитиздат, М., 1937 г., стр. 194.

და საზღვარგარეთულ ჟურნალ „Жизнь“-ის ფურცლებზე (ლონდონი, 1902 წ., № 5).

თავდაპირველად არკადი კოცს თარგმნილი ჰქონდა „ინტერნაციონალის“ მხოლოდ სამი სტროფი და ასე იყო ეს სიმღერა ცნობილი რუსეთის რევოლუციონერ მებრძოლთა ფართო მასებისათვის.* მხოლოდ 1937 წელს, ექვსი პოტიეს ლექსთა პირველი რუსული კრებულისათვის, არკადი კოცმა მთლიანად სთარგმნა „ინტერნაციონალის“ ტექსტი.**

* *

„ინტერნაციონალი“ ბევრჯერ უთარგმნიათ ქართულ ენაზე. ერთი პირველი მთარგმნელთაგანი იყო აკაკი. ცნობილია, რომ მხცოვანმა მგოსანმა პირველი რევოლუციის ჭარიშხლიან დღეებში მრავალი ლექსი უძღვნა ბარიკადებზე მებრძოლ რევოლუციურ თაობას. ეს ლექსები გამსჭვალულია დიდი მოქალაქეობრივი გამბედაობით, გულწრფელი და შეურიგებელი სიძულვილით თვითმპყრობელური

---

* იხ. კრებულები: „Пролетарские поэты“, т. I (1895—1910), изд. „Сов. Писатель“, Л., 1935 г., стр. 94-95; „Русская революционная поэзия девятнадцатого века“, Антология. Л., 1937 г., стр. 277.

** არკადი კოცი გარდაიცვალა სვერდლოვსკში 1943 წელს. მის შესახებ იხ. შენიშვნა: „75 лет со дня рождения А. Я. Коца“. „Литерат. Газета“ 1947 г., № 63.

რეჟიმისადმი („ნატვრა“, „ძირს მთავრობავ, უსამართლო“ და მრავალი სხვა).

ამ ხანებში მოხუცმა აკაკიმ საჭიროდ დაინახა აგრეთვე ეთარგმნა საერთაშორისო მუშათა კლასის საყვარელი ჰიმნიც—ეჟენ პოტიეს „ინტერნაციონალი“. ეს ლექსი მან გადმოიღო თავისუფალი თარგმანის სახით, თავისებურად — აკაკისებურად.

აქვე მოგვყავს ამ თარგმანის ტექსტიც:

ინტერნაციონალი

(მარსელიეზას სმაზე)

აღსდექ, ყოველი მხრის მუშავ!
გაიღვიძე, პროლეტარო!
ჩვენვე უნდა მოვუპოვოთ
ჩვენს თავს აწ დრო სანეტარო!
უნდა მტერი დავამარცხოთ,
ძალმომრეკი, უსამართლო!
რა გვაქვს მასთან ჩვენ საერთო,
საპირფერო, ან სამადლო?
ეს იქნება საბოლოო
შეტაკება... მწარე ომი,
და, თუ ვსძლიეთ, ჩვენთან ერთად
გაიხარებს ყველა ტომი.
ეს-ღა მხოლოდ დაგვრჩენია!..
ამით ვფიქრობთ თავის დახსნას.
გაუმარჯოს მშიერ მუშას,
მის მკლავსა და მის მარჯვენას!

სხვა სუყველა ტყუილია:
ღმერთი, მეფე, ვინმე გმირი!
ძალა არის შეერთება!—
ერთი ლხინი! ერთი ჭირი!..
მსხვერპლი უნდა დიად საქმეს,
კავშირი და შეერთება.
საბერველს რომ დაუბერვენ,
რკინა მაშინ ფოლადდება.
ჩვენც დავჰბეროთ, თავს ნუ ვზოგავთ!
საბოლოო მწარე ომი!..
მხოლოდ ჩვენის გამარჯვებით
გაიხარებს ყველა ტომი.
მოცლილ ხალხის მუქთახორას,
ამ ქვეყნად რომ დაწანწალებს,
ნამუშევარს სტაცებს ღარიბს
და უკიდებს გულში ალებს,
უნდა დავსცეთ თავზე მეხი,
გაურჯელად ვინც ნეტარებს!
გაუმარჯოს მხოლოდ შრომას,
მუშებსა და პროლეტარებს!
ყოველი მხრის მუშა ხალხი
დროა, შევკრბეთ, ნუ გაქვთ შიში!
უნდა მედგრად მივიტანოთ
იმ ჩვენს მტრებზე იერიში!
ეს იქნება საბოლოო
მშრომელ ხალხის მწარე ომი!
ეს დაგვიხსნის მხოლოდ და მით
გაიხარებს ყველა ტომი!

აკაკის „ინტერნაციონალის“ ტექსტი გამოქვეყნდა „პატარა გაზეთის“ 1906 წლის 1-ლი იანვ-

რის ნომერში. დაუსჯელად არ ჩაუარა გაზეთს ამ გაბედულმა საქციელმა: საერთაშორისო მუშათა ჰიმნის დაბეჭდვისათვის გაზეთი დახურა მეფის მთავრობამ და ამასთან ერთად პასუხისგებაში მისცა როგორც მთარგმნელი ტექსტისა, ისე გაზეთის რედაქტორიც — ცნობილი ქართველი მსახიობი კოტე მესხი. ამ საგანზე ჩვენს არქივთსაცავებში შენახულია დოკუმენტური მასალაც, სადაც გადმოცემულია ამ საქმის ისტორია. ეს მასალაა საცენზურო კომიტეტის მიმართვა სასამართლო პალატის პროკურორისადმი, დათარიღებული 1906 წლით.* მოგვყავს იგი შემოკლებით:

„მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან,—ვკითხულობთ მიმართვაში, — უმაღლესი სამხარეო ხელისუფლების ნებართვით თბილისში იწყო გამოსვლა ქართულ ენაზე ყოველდღიურმა გაზეთმა „პატარა გაზეთმა“, მისი გამომცემლის აზნაურ კონსტანტინე სიმონის-ძე მესხის რედაქტორობით... აღნიშნული გაზეთის პირველ ნომერში, რომელიც 1-ლ იანვარს გამოვიდა, დაბეჭდილია აკაკის (თავადი აკაკი წერეთლის ლიტერატურული ფსევდონიმი) ლექსი სათაურით „ინტერნაციონალი“, რომელიც დაწერილია „მარსელიეზას“ მოტივზე. ლექ-

* პუბლიკაცია ამ დოკუმენტისა იხ. გაზ. „კომუნისტში“ 1940 წ. № 142—ნინო ხოშტარია, „აკაკი წერეთლის „ინტერნაციონალი“ და მეფის ცენზურა“.

სის ავტორი მოუწოდებს ყველა ქვეყნის მუშებს აჯანყებისაკენ, მოძალადისა და უკანონოდ მომქმედის დასამარცხებლად და აცხადებს, რომ ეს იქნება უკანასკნელი შეტევა, სასტიკი ბრძოლა. მუშებს ეს-ღა დარჩენიათ, ამით ფიქრობენ ისინი თავის განთავისუფლებას. ღმერთი-მეფე-გმირი,— ყველაფერი ეს სიცრუეა, ძალა მხოლოდ ერთობაშია. დიადი საქმე მსხვერპლს მოითხოვს... კავკასიის საცენზურო კომიტეტმა დაადგინა: თბილისის სასამართლო პალატის პროკურორის საშუალებით... აღძრულ იქნას სისხლის სამართლის საქმე ლექს „ინტერნაციონალის“ ავტორის აკაკი წერეთლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის დებულების მე-129 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით და „პატარა გაზეთის“ რედაქტორ-გამომცემლის აზნაურ კონსტანტინე სიმონის ძე მესხის წინააღმდეგ ზემოაღნიშნული ლექსისათვის...“

საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე ამავე მიმართვაში მოითხოვდა რედაქტორ კოტე მესხისადმი დამატებითი საბრალმდებლო მუხლის წაყენებასაც იმავე გაზეთის მესამე ნომერში „ჯარისკაცთა სიმღერის“ გაშვებისათვის, რადგან ეს ლექსი, ცენზორის სიტყვით, მოუწოდებდა სამხედრო პირებს შეერთებოდნენ მეამბოხეებს და დაერღვიათ სამსახურის მოვალეობა.

ასეთი იყო რეზონანსი აკაკის „ინტერნაციო-

ნალისა“ ხელისუფალთა წრეებში. მთავრობა ფხიზლად ადევნებდა თვალს დიდი ქართველი მგოსნის ნაწარმოებებს და ყოველნაირად ცდილობდა აღეკვეთა მათი რევოლუციური ზეგავლენა მკითხველთა ფართო მასებზე. ცნობილია, რომ 1907 წელს მეფის ხელისუფლება რეპრესიულ ზომასაც არ მოერიდა მხცოვანი პოეტის წინააღმდეგ: თავის ჟურნალ „ხუმარას“ ფურცლებზე გუბერნატორის რაუშ-ფონ-ტრაუბენბერგის კარიკატურისა და სატირული ლექსის მოთავსებისათვის აკაკიმ მეტეხის ციხის პატიმრობაც იგემა...

ასეთია ისტორია „ინტერნაციონალის“ თარგმანისა აკაკის მიერ. დიდი პოეტი სწორად უღებდა ალღოს თავისი ხალხის რევოლუციურ სულისკვეთებას. იმდროინდელ ლექსებში იგი გამოხატავდა ბარიკადებზე მებრძოლი მუშებისა და გლეხების გრძნობებსა და ფიქრებს.

ხალხის უფართოესი მასები, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით აღმდგარნი ცარიზმისა და კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ, სიყვარულით იმეორებდნენ „ინტერნაციონალის“ ძვირფას სიტყვებს, ქართულად ნათქვამს მოხუცი აკაკის მიერ:

ყოველი ჩხრის მუშა ხალხი
დროა, შევკრბეთ, ნუ გაქვთ შიში!
უნდა მედგრად მივიტანოთ
იმ ჩვენ მტრებზე იერიში!

ირ. ევდოშვილი—რევოლუციის მომღერალი

ორი წლით ადრე იროდიონ ევდოშვილის გარდაცვალებამდე, ერთ-ერთი ქართული გაზეთის სურათებიან დამატებაში გამოქვეყნებული იყო პოეტის უკანასკნელი პორტრეტი, შესრულებული მხატვარ მოსე თოიძის მიერ. ამ სურათზე ნიჭიერმა ოსტატმა სწორად ასახა არა მარტო უიმედო სენით შეპყრობილ მგოსნის გარეგანი ხატება—მან კარგად გადმოგვცა აგრეთვე მისი კაეშნით აღსავსე, მაგრამ მაინც გაუტეხელი და მედგარი სულის შინაგანი ვითარებაც.

---

* ქართულ რევოლუციამდელ ბოლშევიკურ პრესაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თავის დროზე, როგორც ეს ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ახლობელ თანამშრომლობას ეწეოდა იროდიონ ევდოშვილიც. ამ კრებულში, რომელიც მთლიანად დიდი სტალინის სახელთანაა დაკავშირებული, შეგვაქვს ეს წერილიც, მიძღვნილი გამოჩენილი ქართველი რევოლუციონერი-პოეტის შემოქმედებისადმი.—ა ვ ტ.

ევდოშვილი ამ სურათზე გამოხატულია ავადმყოფი, სარეცელზე მწოლარე... მის ფერმიხდილ სახეს საბედისწერო ჩრდილი გადაჰკვრია; ეტყობა, სიკვდილი უკვე შეჰხებია თავისი შავი ფრთებით მის არსებას. დაფიქრებული და ნაღვლიანი ის გასცქერის უსაზღვრო სივრცეს. სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე მყოფი, ის თითქოს უკანასკნელად თვალს ავლებს განვლილი ცხოვრების ქარიშხლიან მღელვარებას.

ეს პორტრეტი მომაკვდავი ევდოშვილისა საოცრად ეხამებოდა პოეტის მიერ გამოთქმულ წინაგრძნობას ერთ მის ადრინდელ ლექსში, რომელსაც „ფიქრები“ ეწოდება:

მაგრამ, ვგრძნობ, დილას—ჩემს საალერსოს
ოდესმე დაჰკრავს შავი საღამო
და, ვგრძნობ, ჩემს ჭაბუკ ძალას და ღონეს
ოდესმე უნდა გამოვესალმო;
მაშინ მძვინვარე გამთელავს ტალღა,
სულით უძლეველს, ღონით გატეხილს,
სამგლოვიაროდ დამიკრავს ზარსა,
გადამატარებს გულზე ქარტეხილს.

ევდოშვილი მართლაც რომ „ღონით გატეხილი, მაგრამ სულით უძლეველი“ ჩავიდა საფლავში. ის მოკვდა იარაღით ხელში, როგორც მეომარი ბრძოლის ველზე,—ის მოკვდა ფეხზე და არა დაჩოქილი. თავისი შემოქმედების საუკეთესო ნაწილ-

ში, რომელიც ძვირფას მემკვიდრეობად გადმოეცა ჩვენს კულტურას, ირ. ევდოშვილი ერთგული დარჩა თავისი იდეალებისა. ამ იდეალებისათვის იბრძოდა იგი თავისი ცხოვრების მანძილზე როგორც შემოქმედი, როგორც მოქალაქე და ადამიანი.

* *

ირ. ევდოშვილის შემოქმედება, ისევე, როგორც შემოქმედება ყოველი მწერლისა, უსათუოდ უნდა შეფასდეს ჩვენი ხალხის სოციალური და პოლიტიკური ისტორიის საერთო ფონზე. იმ დიდი პოეტური მისიის შეგნებაში, რომელიც თავიდანვე ასულდგმულებდა ევდოშვილს, მთავარი იყო მისი გაგება პოეზიის, როგორც იარაღისა ხალხის სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების გარდასაქმნელად.

მას არ ამოძრავებდა ესთეტიკური ამოცანა ახალი ეტაპის შექმნისა ქართული პოეტური კულტურის განვითარებაში. ევდოშვილმა ამ მხრივ განაგრძო ტრადიციული გზა იმ მიღწევებისა, რომელიც მოგვცა მეცხრამეტე საუკუნის ქართულმა კლასიკურმა პოეზიამ—ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის სახით. თავისი პოეტური ფანტაზიით, შთაგონების სიღრმითა და სიტყვის ოსტატობით ევდოშვილი ვერ უსწორდებოდა თავის დიდ წინამორბედებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან მაინც

შესძლო მნიშვნელოვანი სვრელის გავლება ქართული პოეზიის განვითარებაში. მან, როგორც ეს სჩვევიათ ჭეშმარიტი შემოქმედებითი ალღოთი დაჯილდოებულ მწერლებს, ცხოვრების ახალ ვითარებაში დაინახა ის ახალი თემატიკური სამყარო, რომელიც უსათუოდ საჭიროებდა თავის მხატვრულ გააზრებას და რეალური სინამდვილიდან ხელოვნების განზომილებაში გადატანას.

ევდოშვილმა, როგორც პოეტმა, პირველმა შეამჩნია ქართველი ხალხის 90-იანი წლების ცხოვრებაში მომხდარი ძვრები, სოციალურ ძალთა გადაჯგუფება და ახალ, მანამდე უცნობ ადამიანთა გამოსვლა სამოქმედო ასპარეზზე. ამ მხრივ მისი როლი ქართულ პოეზიაში ანალოგიური იყო იმ როლისა, რომელიც ქართული პროზის მიმართ შეასრულეს დ. კლდიაშვილმა, ეგ. ნინოშვილმა და მათი თაობის რამდენიმე სხვა ბელეტრისტმა.

ირ. ევდოშვილის შემოქმედებაში იმთავითვე გამოჩნდნენ წარმომადგენლები კლასობრივად დიფერენცირებული ქართული საზოგადოებისა. ახალი ცხოვრების ფონს ახლა, 90-იან წლებში უკვე მებატონისა და ყმის ურთიერთობა აღარ ქმნიდა, რამაც თავისი მძლავრი გამოხატულება ჰპოვა ი. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის შემოქმედებაში. არა, ახლა კაპიტალისტური საზოგადოების განვითარებამ ცხოვრების ასპარეზზე გამოიწვია ახალი,

კლასობრივად დაპირისპირებული, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში შეჯახებული სოციალური ძალები.

ევდოშვილი ამ ახალი სოციალური ძალების, განსაკუთრებით ქალაქის მაშვრალთა და ჩაგრულთა ფენების მხატვარი, მათი შინაგანი სამყაროს გამომთქმელი შეიქნა. ჯერ კიდევ დასაწყის ეტაპზე თავისი შემოქმედებისა ევდოშვილის თემატიკური სამყარო იშლება ქალაქის მშრომელთა და აგრეთვე პროტესტანტულად განწყობილი ქართული სოფლის ფონზე. ევდოშვილის ლექსების პერსონაჟები არიან ქალაქის მუშები და სოციალური უკუღმართობის გამო ცხოვრების ფსკერზე დაშვებული ადამიანები, ყველა ეს — ლოთები, უსახლკარო მატანტალები, მეძავი ქალები, უპატრონო ქუჩის ბავშვები. მათთან ერთად პოეტი ხატავს ქართული პოეზიისათვის მანამდე უცნობ სახეებსაც: ასოთამწყობებს, მკერავ ქალებს, სახურავის ხელოსნებს.

მაგრამ ცხოვრების ნეგატიური მხარეების ასახვაში უკვე საგრძნობია ევდოშვილის მებრძოლი სული. ის არ კმაყოფილდება უკუღმართი სოციალური სამყაროს პასიური ჰვრეტით, მისთვის ცოტაა ზოგადი ჰუმანიზმის გამოხატვა, ის უკვე მოუწოდებს არსებული სამყაროს გარდაქმნისაკენ, სოციალური უსამართლობის მოსპობისაკენ. ეს აქტივისტური საწყისი უკვე ახალ ხარისხს აძლევს

ევდოშვილის პოეტურ შემოქმედებას. ამ დროს (1895 წ.) ეკუთვნის მისი სახელგანთქმული ლექსიც,—ქართული სამოქალაქო პოეზიის უკვე კლასიკურ ნიმუშად ქცეული,—„მეგობრებს“:

წინ, წინ, მედგრად შევებრძოლოთ,
ჩარხუკულმართ ამ ჩვენ დროსა,
ჰირის ოფლში გავატაროთ
სიმართლის და ძმობის დროშა!

ეს მებრძოლი განწყობილება თავიდანვე არსებით თვისებას შეადგენს ევდოშვილის პოეზიისათვის. დაუცხრომელი ოპტიმიზმი, ურყევი რწმენა ხალხის ბედნიერ მომავლისა იხატება მის ლექსებში.

პოეტი ასეთი სიტყვებით მიმართავს ხალხს, ანუ, როგორც თვითონ ამბობს, „მაშვრალ ერს“:

მაგრამ მოვა დრო და სიტკბოებით
შენ გაგიღიმებს დღის განთიადი,
იგი იქნება დრო ბედნიერი,
დროი ბრწყინვალე, დროი დიადი!

ეს ღრმა ოპტიმიზმიც, თანადროული ლიტერატურის საერთო პესიმისტურ ფონზე, ახალსა და განსხვავებულ იდეურ მომენტს შეადგენდა ევდოშვილის შემოქმედებაში.

ამ თემატიკურმა სიახლემ, იდეურმა გამიზნულობამ და მებრძოლმა ოპტიმიზმმა განაპირობეს ევდოშვილის ნოვატორული როლი და განსაკუთრებული მნიშვნელობა ქართული პოეზიის საერთო

განვითარებაში ეს გარემოება სამართლიანად აღნიშნა ევდოშვილის თანადროულმა ქართულმა კრიტიკამაც. „ევდოშვილის პოეზიის საგანი სრულიად ახალია და ორიგინალური ქართულ ლიტერატურაში,—წერდა ალ. ხახანაშვილი,—ასეთი მიმართულების პოეტს შეეძლო მოსვლა მხოლოდ კლასთა ურთიერთობისა და შეჯახების გარკვეულ ვითარებაში. ევდოშვილი თანამედროვე საზოგადოების მშრომელთა მასების მომღერალია“*.

ახალსა და უფრო მაღალ ეტაპს ევდოშვილის პოეტურ შემოქმედებაში წარმოადგენს მისი ლექსები, დაწერილი პირველი რევოლუციის შემზადებისა და თვით რევოლუციური ბრძოლის პერიოდში. ჯერ კიდევ ხუთი წლით ადრე, სანამ იჭექებდა პირველი რევოლუციის მეხი, ევდოშვილი ამბობდა ერთ თავის სიმღერაში:

მაინც ველით განთიადსა,
არ შედრკება ჩვენი გული,
უკვე ადგა ქარიშხალი,
განთიადის მოციქული!

1905 წლის ქარტეხილიან დღეებში ევდოშვილი გვევლინება, როგორც ტრიბუნი და პოეტი, თავდადებული მებრძოლი და მომღერალი რევოლუციური ბარიკადებისა.

* Очерки по истории грузинской словесности, вып. IV, М., 1906 г., стр. 448.

ამ დროს მისი პათოსი აღწევს თავის უმაღლეს მწვერვალს. მისი ლექსები საოცარი ზეგავლენის ძალას პოულობენ რევოლუციურად აზვავებული ხალხის უფართოეს ფენებში. თვით ევდოშვილის ლექსიც, თავისი პოეტური ფორმის თვალსაზრისით, ამ დროს იღებს გარკვეულ მხატვრულ სპეციფიკას. ის ხდება ლაკონიური, უაღრესად გამომეტყველი, ემოციურად გაჟღენთილი. ზედმიწევნითი სისადავე და ამავე დროს ღრმა იდეური გამიზნულობა აძლევენ ამ ლექსებს უჩვეულო აღმაფრთოვანებელ ძალას. წარმტაცი და მომხიბლავი რევოლუციური რომანტიზმით არიან აღბეჭდილნი ევდოშვილის ლექსები, სადაც გამოხატულებას პოულობს 1905 წლის ბრძოლისა და თავგანწირვის დღეები.

ვისაც ახსოვს ევდოშვილის ისეთი ლექსები, როგორიცაა: „მეგობრებო, ვაჟკაცურად!“ „ტალღა ტალღაზე მიდის, მიგორავს!“, „უკანასკნელი ზვირთი“, „წითელი დროშა გავშალოთ!“, „თავისუფლებავ, თავისუფლებავ“ და მრავალი სხვა, მისთვის სავსებით ცხადია, თუ რა დიდი და განუზომელი ძალა უნდა ჰქონებოდათ ამ პოეტურ პროკლამაციებს ბარიკადებზე მებრძოლი გმირული თაობისათვის.

ევდოშვილი ორგანული იყო თავის რევოლუციურ პოეტურ შემოქმედებაში, რადგან მისი პა-

თოსი მტკიცე საფუძველს პოულობდა მის იდეურ მსოფლმხედველობასა და პოლიტიკურ აზროვნებაში. პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ, შავი რეაქციის წლებში, მან განიცადა ერთგვარი მერყეობა თავის მსოფლმხედველობაში, თავის ფილოსოფიურ შეხედულებებში; მაგრამ ამ გარემოებას ხელი არ შეუშლია მისთვის, რომ როგორც პოეტს, მთელის ხმით ემღერნა, ქება-დიდება შეესხა რევოლუციურ ბრძოლებში დაღუპულ გმირებისათვის — ლადო კეცხოველისა და ქართველი ხალხის სხვა საუკეთესო შვილებისათვის, როგორიც იყვნენ არსენ ჯორჯიაშვილი და მისი მსგავსი ათეული ათასები, რომელთაც რაინდულად თავი დასდვეს ბარიკადებსა, სახრჩობელებსა და კატორღის ჯურღმულებში.

მან თავის ლექსებში ასახა ტრაგედია დამარცხებული ხალხისა, ფეხქვეშ გათელილი, ხუნდებში ჩაჭედილი მშრომელი მასების.

ბუნებრივია, რომ ამ პერიოდის ლექსებში შავნაღვლიანი, თალხი ფერები სჭარბობენ, მათში გაისმის დროებით დამარცხებული, შავი რაზმებისა და კაზაკთა ცხენებით გათელილი სამშობლო ქვეყნის ზარი და გოდება.

ევდოშვილის პესიმიზმი, რეაქციის პერიოდის მთელ რიგ ლექსებში გამოხატული, გამოწვეულია ხალხის ცხოვრების თანადროული ვითარებით, ის

სოციალური წარმოშობისაა. მართალია, ბევრი ამ-დროის ლექსი ევდოშვილისა გამსჭვალულია სევ-დითა და კაეშნით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პოე-ტის გულსა და გონებას არასოდეს არ დაუფლე-ბია უიმედო სკეპსისი.

მეტეხის ციხის მარტოობაში, სოლვიჩეგოდსკის და ჩორნი-იარის შორეულ გადასახლებაში მას მუ-დამ ეხატებოდა თავისი ხალხის მომავალი თავის-უფლება და მზიური ცხოვრება.

ევდოშვილის პოეზიაში, განსაკუთრებით მისი შემოქმედების მომწიფების პერიოდში, საპატიო ადგილი უკავია პატრიოტულ თემას.

პოეტმა უღრმესი გულწრფელობით და მგზნე-ბარე განცდით უმღერა უფლებააყრილ სამშობლო ქვეყანას. მის წარმოდგენაში სავსებით მართებუ-ლად გაერთიანდა იდეა მშობელი ხალხის სოცია-ლური განთავისუფლებისა, მისი ნაციონალური განთავისუფლების იდეასთან.

ევდოშვილმა ღრმა პათოსით აღსავსე ხოტბა მიუძღვნა კრწანისის ისტორიული ბრძოლის გმი-რებს. კიდევ უკეთესად კი სამშობლოსადმი სიყვა-რულის გრძნობა მან გამოხატა მთელ რიგ გვიან-დელ ლექსებში და განსაკუთრებით იმ მწარე ელე-გიებში, რომელიც მან დაწერა წიწამურთან და-ღუპული უკვდავი ქართველი პოეტის ხსოვნის სა-დიდებლად.

* *

ირ. ევდოშვილის ერთ-ერთ უდიდეს დამსახურებას მშობელი ხალხის რევოლუციური აზროვნების განვითარებაში ის გარემოებაც წარმოადგენს, რომ მან, პირველმა ქართველ პოეტებს შორის, თამამად მოჰკიდა ხელი რუსული რევოლუციური პოეზიის საუკეთესო ტრადიციების გადმონერგვას ქართული პოეზიის ნიადაგზე. მან სთარგმნა და ქართველ მშრომელთა ფართო ბასებში პოპულარული გახადა თავისი დროის რუსული რევოლუციური პოეზიის შედევრები.

ირ. ევდოშვილის შემოქმედებითი ზეგავლენის ფართო დიაპაზონის დასახასიათებლად საჭიროა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მისი სახელი ახლობელი და საყვარელი იყო რევოლუციის დიდი პოეტის ვლ. მაიაკოვსკისათვის. ირ. ევდოშვილის ლექსმა „მეგობრებს“ გარკვეული როლი შეასრულა ყრმა მაიაკოვსკის იდეურ-მსოფლმხედველობრივ ფორმირებაში. ამიტომ იყო, რომ ბავშვობიდან დამახსოვრებულ ამ ლექსს ვლ. მაიაკოვსკი დიდის პათოსით, ზეპირად, ქართულ ენაზე წარმოთქვამდა ხოლმე თავის მოწიფულობის წლებშიც.

* *

ერთ თავის უკანასკნელ ლექსში, რომელიც სიკვდილის წინა ხანებში იყო დაწერილი, ევდოშვილი საკუთარ თავზე ამბობდა:

ტალღათ ფაფარზე გამოხრდილი ვარ,
არ ვარ ჩვეული მე მოსვენებას,
ნაპერწკალი ვარ მედგარ მეხისა,
მათ ვუმღეროდი ქებათა-ქებას!

პოეტი მართალს ამბობდა. ის თავისი შემოქმედებით, ანთებული გრძნობებით და ცეცხლოვანი რევოლუციური პათოსით, მართლაც რომ მედგარი მეხის ნაპერწკალს წააგავდა. და ეს ნაპერწკალი უკვალოდ არ გამქრალა ქართულ პოეზიაში, ქართველი ხალხის საზოგადოებრივ მოძრაობის ისტორიაში.

უკვე საგრძნობი ხანი გავიდა ევდოშვილის გარდაცვალების შემდეგ. ეს დრო სავსებით საკმარისია ადამიანის და პოეტის დავიწყებისათვის. თაობებმა ჩაიარეს და მოვიდნენ კვლავ ახალი თაობები ახალი ცხოვრებით, ახალი გულის ფეთქვით, ახალი იდეალებით. ახალი ვარსკვლავები ამოკიაფდნენ ჩვენი ლიტერატურის ცაზე, მაგრამ ჩვენს თაობას მაინც უშუქებს წარსულ დროთა მედგარი მეხის ის ნაპერწკალი, რომელიც ჯერ კიდევ ღვივის ევდოშვილის პოეტურ მემკვიდრეობაში.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ავტორისაგან 3

ი. ბ. სტალინის ადრინდელი ნაშრომები და ბრძოლა ქართული ენის სიწმინდისათვის 5

ქართული ბოლშევიკური პროკლამაციების ენა და სტილი 35

ქართული მუშათა რევოლუციური პოეზიის სათავეებთან (რევოლუციური პოეზია 1901—1907 წ.წ. ქართულ ბოლშევიკურ პრესაში) 50

ი. ბ. სტალინის წერილები საბჭოთა მწერლებისადმი 122

სატირისა და იუმორის გამოყენება ი. ბ. სტალინის ნაშრომებში 142

ი. ბ. სტალინის ნაშრომების კითხვის დროს (ლიტერატორის შენიშვნები)

რუსთაველის სტრიქონები 170

უოლტ უიტმანიდან 172

ნეკრასოვის ლექსები 179

ნადსონის გახსენება 188

თარგმანის სიზუსტისათვის 192

ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან

„ივერია", 1895 წ. 14 ივნისი 195

ლევ ტოლსტოის წერილი გაზეთ „ბრძოლის" ფურცლებზე 203

ფელეტონი 1906—1907 წლების ქართულ ბოლშევიკურ პრესაში 213

აკაკი—„ინტერნაციონალის" მთარგმნელი 223

ირ. ევდოშვილი—რევოლუციის მომღერალი 237

სურათები:

ი. ბ. სტალინის ჰაბუკობის დროინდელი ლექსი გაზ. „ივერიაში", 1895 წ. 197

აკაკის ავტოგრაფის პირველი გვერდი 235

Леван Асатиани

СТАЛИН и ВОПРОСЫ

ГРУЗИНСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ

(На грузинском языке)

Изд-во „Сабчота Мцерали"

* *

Типография изд-ва „Сабчота Мцерали"

Плехановский, 181

19 Тбилиси 54

* *

რედაქტორი გ. ნატროშვილი

გამ-ბის რედაქტორი თ. შავიშვილი
ტექრედაქტორი შ. დემეტრაძე

* *

ხელმოწერილია დასაბეჭდად 3. I. 1954 წ., ანაწყობის ზომა 4,5×7, საალრიცხვო-საგამომცემლო ფორ. რაოდ. 7, საავტორო ფორ. 6,73, ქაღალდის ზომა 70×92 1/32, ტირაჟი 10000, შეკვ. № 667, უე 01675

* *

გამ-ბა „საბჭოთა მწერალის" სტამბა
თბილისი, პლეხანოვის, 181

ფასი 4 მან. 30 კაპ.

ტორი ჩამოთვლის ხალხის დაჩაგრებასა და შევიწროებას, რომელსაც იგი იტანს უსამართლო პოლიტიკური რეჟიმის მხრივ,—ციხეს, დევნას, ბორკილებს, სახრჩობელებს, ციმბირში გადასახლებას,—ყველა იმ სისასტიკეს, რომელსაც მიმართავს ცარიზმი თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირების გასანადგურებლად. ყოველი ტაეპი ამ მოზრდილი ლექსისა მთავრდება სტრიქონით: „ძმებო, გავიდეთ ბრძოლისა ველზე!“

ეს სამაისო ლექსი-სიმღერა, თავისი მოტივებითა და იდეურ-პოლიტიკური გამიზნულობით, გამოძახილია რუსეთის მუშათა კლასისათვის ცნობილი და პოპულარული ლექსებისა, რომელთაც მუშები მღეროდნენ საპირველმაისო დღესასწაულებზე.

საქართველოს მუშათა კლასს ამ დროისათვის საპირველმაისო დემონსტრაციების უკვე საკმაო გამოცდილება ჰქონდა. უკანასკნელი წლების მანძილზე თბილისელი მუშები, ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით, უკვე რამდენიმეჯერ იყვნენ გასული საპირველმაისო ზეიმზე.

საინტერესოა, რა სიმღერებს მღეროდნენ ამ შეკრება-დემონსტრაციების დროს მუშები? რა სიტყვებითა და მელოდიებით გამოხატავდნენ ისინი თავიანთ რევოლუციურ განწყობილებას, აღფრთოვანებასა და სიხარულს?

წმინდა საქმისთვის მთელის ქვეყნისა
გაჰოვალთ ერთად ჩვენ დასაცველად.
მაშ, ძმებო, აბა გავსწიოთ წინა!
წმინდა საქმისთვის წინ, წინ და წინა!

და სხვ.

ვინ არის მთარგმნელი ქართული „ვარშაულასი“? ეს საკითხი ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ დადგენილი. მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მასალების მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ ამ სიმღერის თარგმნაში უშუალო მონაწილეობა აქვს მიღებული თვითონ ლადო კეცხოველს. მაგრამ სულ ერთია, როგორიც უნდა იყოს კეცხოველის დამოკიდებულება თარგმანის განხორციელების საქმესთან, ეს ლექსი მაინც უშუალოდ დაკავშირებულია რევოლუციის ამ კეთილშობილი რაინდის სახელთან და ეს აძლევს მას შთამომავლობის თვალში დაუფასებელი ისტორიული დოკუმენტის ღირებულებას*.

„ვარშაულაზე“ უფრო მნიშვნელოვან მოვლენას ჩვენი ხალხის რევოლუციური მოძრაობის ისტო-

---

* „ვარშაულა“ გაცილებით გვიან, 1906 წელს, გადმოთარგმნა ირ. ევდოშვილმაც („ძმებო, შავბედი თავს დაგვტრიალებს“). იხ. მისი „თხზულებანი“, შ. რადიანის რედაქციით, 1935 წ., ტ. I, გვ. 298—299.

ეს ლექსი პოეტ იასამანსაც (მიხ. კინწურაშვილს) აქვს თარგმნილი 1905 წ.